www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 18 თებერვალი, 2005 წელი. №37 (897) | ფასი 50 თეთრი


## სამართალი



### ზელიმხან იანდარბიევის მკვლელები დაიკარგნენ(?!)

კატარის სასამართლოს მიერ დადანაშაულებული, რუსეთის ორი მოქალაქე, რუსეთში გადმოყვანის შემდეგ გაქრა. ეს ფაქტი რუსეთის ხელისუფლებას საერთაშორისო სკანდალს უქადის.

A7

## მონიტორინგი

### რა ხდება დღეს „საქართველოს რკინიგზაში„?



შპს "საქართველოს რკინიგზა" - ამ საწარმოს დღევანდელი მდგომარეობა იმითაც არის საინტერესო, რომ უკვე თითქმის ერთი წელია მას შემდეგ, რაც რკინიგზას ექსპრეზიდენტთან ერთ-ერთი ყველაზე დაახლოებული პირი კაკო ჩხაიძე აღარ მართავს. რა იყო და რა შეიცვალა?

A8


იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება. A7-A8


## ამინდი

| | 18/2 | 19/2 | 20/2 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 14 | 15 | 15 |
| ქუთაისი | 17 | 17 | 14 |
| ბათუმი | 17 | 18 | 13 |
| სოხუმი | 16 | 14 | 9 |
| ფოთი | 17 | 17 | 13 |
| თელავი | 13 | 13 | 14 |
| ზუგდიდი | 18 | 17 | 13 |
| გორი | 11 | 12 | 10 |
| ახმეტა | 13 | 14 | 13 |
| ჭიათურა | 12 | 14 | 12 |
| გაგრა | 15 | 12 | 8 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8400 |
| ევრო | 2.3944 |
| ბირჟანქა სტერლ. | 3.4811 |
| რუბლი | 0.0657 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| ეკონომიკა | A4 | სპორტი | B4 |
| რეკლამა | A5 | სპორტი | B5 |
| საზოგადოება | A6 | თვალსაზრისი | B6 |
| სამართალი | A7 | TV პროგრამა | B7 |
| მონიტორინგი | A8 | სხვადასხვა | B8 |




ახალი მთავრობა ძველი სახეებით.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

# ორი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება

*გუშინ პარლამენტმა ორი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღო - ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრთა რაოდენობა 150-მდე შეამცირა და მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობა დაამტკიცა. თუკი პირველი გადაწყვეტილება ძალაში მომავალი საპარლამენტო არჩევნების წინ შევა, მეორე დაუყოვნებლივ, პრეზიდენტის ხელმოწერის შემდეგ ამოქმედდება. ისე კი, საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის გუშინდელი გადაწყვეტილებებით სავსებით სამართლიანად იყო კმაყოფილი, რადგან ყველა ის მოთხოვნა, რომელიც მან ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წაუყენა, შესრულდა. მართალია, ოპოზიციონერებმა წყალი ოდნავ, მაგრამ მაინც აამღვრიეს, მაგრამ ამას ხელი არაფრისთვის შეუშლია. ერთადერთი უსიამოვნო ფაქტი უმრავლესობის წევრის გოჩა ჯოჯუას დემარში აღმოჩნდა, მაგრამ ამასაც მალე მოევლო - ურჩი პარლამენტარი უმრავლესობის ლიდერებმა საჯაროდ გაკიცხეს და განაცხადეს, რომ ჯოჯუას უმრავლესობის დატოვება თავად რომ არ მოესურვებინა, ჩვენ მაინც გავრიცხავდითო.*

თამარ მჭედლიშვილი

### საკონსტიტუციო ცვლილება მიღებულია

დღის პირველ ნახევარში პარლამენტის სხდომათა დარბაზი სავსე იყო - სრული მობილიზაცია ერთი დღით ადრე იყო გამოცხადებული. უმრავლესობის წევრებმა გუშინ თავი შესაშური დისციპლინით გამოიჩინეს - სხდომაზე არ დააგვიანეს და საკითხის განხილვის დროს დარბაზი არ მიატოვეს. შესაძლოა, ამის მიზეზი თავად საკითხის აქტუალობაც იყო. საქმე ის არის, რომ დილიდან პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილების პროექტის განხილვა დაიწყო, რომელიც დეპუტატთა რაოდენობის 235-დან 150-მდე შემცირებას შეეხება (შეგახსენებთ, რომ ინიციატივა პრეზიდენტს ეკუთვნის).

ამთავითვე ვიტყვით, რომ გოჩა ჯოჯუას გარდა, საკონსტიტუციო ცვლილებას მხარი ყველა დეპუტატმა დაუჭირა. თუმცა, კითხვები მაინც ისმოდა და ზოგი რამ პარლამენტარებისთვის (უფრო ზუსტად, ოპოზიციონერი

გაგრძელება A3 გვერდზე

# ითამაშებს თუ არა სტეფანია?

7 წლის შემდეგ ვლადიმერ სტეფანია საქართველოში ბრუნდება

ზურა უსუფაშვილი

*კალათბურთის ქართველი გულშემატკივრები დიდი ხანია ელიან საქართველოს ნაკრებში ვლადიმერ სტეფანიას დაბრუნებას. ენ-ბი-ეი-ში მოთამაშე ყველაზე გამოცდილ ქართველ კალათბურთელს თითქოს შარშან ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს ნაკრებში უნდა ეთამაშა კიდეც, მაგრამ ბოლო მომენტში ის თბილისში არ ჩამოვიდა, რისი მიზეზიც კლუბთან და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები გახდა.*
*ახლა კი ვლადიმერ სტეფანია ისეთ მდგომარეობაშია, ისიც არ იცის, საერთოდ შეძლებს თუ არა კალათბურთის თამაშს.*

გაგრძელება B1 გვერდზე







იხილეთ B3 გვერდზე


## საკონსტიტუციო ჭრა-კერვა სამთავრობო თარგებით

ნანა ტომარაძე

მთავრობის დამტკიცებასთან ერთად, საქართველოს პარლამენტი ხუთშაბათს რიგგარეშე სხდომაზე საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვითაც დაკავდება. 2003 წლის 2 ნოემბერს ჩატარებული რეფერენდუმის თანახმად, პარლამენტართა რაოდენობა 235-დან 150-მდე უნდა შემცირდეს. რეფერენდუმის შედეგს კი, როგორც ცნობილია, სავალდებულო ხასიათი აქვს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მტკივნეულთან ერთად ეს პროცედურა რთულად განსახორციელებელია.

ქართული საკანონმდებლო სივრცისთვის რეფერენდუმი სამართლებრივად საკმაოდ უცნაური თემა ყოფილა. კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ხმალაძე რეფერენდუმის კითხვას – მხარს უჭერთ თუ არა საქართველოს პარლამენტის წევრთა რაოდენობის 150-მდე შემცირებას – არაკორექტულს უწოდებს. მისი თქმით, თავიდანვე ზუსტად უნდა განსაზღვრულიყო კანონმდებელთა რაოდენობა და მკაფიოდ უნდა ასახულიყო პარლამენტის სისტემა (პროპორციული და მაჟორიტარული). კითხვაში მითითებული უნდა ყოფილიყო რეფერენდუმის შედეგის ძალაში შესვლის ზუსტი დრო, რადგან არსებული შედეგით, ჯერ კიდევ 2003 წლის მიწურულს უნდა დანიშნულიყო ახალი, ასორმოცდაათკაციანი პარლამენტის არჩევნები. ხმალაძის განმარტებით, უპრიანი იქნებოდა, თუ კითხვაში ჩაიწერებოდა, რომ რეფერენდუმის შედეგები ძალაში ამ მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების დასრულების შემდეგ შევა. არსებობს კონსტიტუციური ნორმა, რომელიც რეფერენდუმს ეხება და არსებობს ორგანული კანონი რეფერენდუმის შესახებ. მასში ცალსახადაა აღნიშნული, რომ რეფერენდუმის შედეგებს პირდაპირი მოქმედების იურიდიული ძალა აქვს და იგი ძალაში გამოქვეყნებისთანავე შედის. ამასთან, კანონში მითითებულია, რომ ხელისუფლებამ ერთი თვის ვადაში რეფერენდუმის შედეგებთან შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს კანონები, მათ შორის - კონსტიტუციაც. ცხადია, ეს საკითხი სამართლებრივად მოუწესრიგებელია, რადგან საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელებას პროცედურულად ერთთვიანი ვადა არ ჰყოფნის, თუმცა ქართული პარლამენტისთვის ასეთი დაბრკოლებების გადალახვა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, რადგან კარგად გვახსოვს მსოფლიო პარლამენტარიზმის ისტორიაში შესული ერთი წლის წინანდელი ქართული რეკორდი – 18 წუთში საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება სამივე მოსმენით. ასე რომ, თუ ჩვენი კანონმდებლები მეტი ხალისით მოეკიდებიან რეფერენდუმის შედეგების განხორციელებას, ეს სირთულეც დაიძლევა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ვარდების რევოლუციის მთავარი მონაპოვარი

საქართველოს პრეზიდენტი ისტორიულ გადაწყვეტილებას უწოდებს დეპუტატთა რაოდენობის შემცირებას და აცხადებს, რომ ეს საკანონმდებლო ცვლილება არის ვარდების რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი: **"მე ძალიან მიხარია, რომ საქართველოს პარლამენტმა, მისმა უკლებლივ ყველა პოლიტიკურმა ჯგუფმა, ყველა ფრაქციამ დაუჭირა მხარი პარლამენტის რაოდენობის შემცირებას. მომდევნო არჩევნების შემდეგ საქართველოს ეყოლება ბევრად უფრო მცირე, 150-წევრიანი პარლამენტი. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება ქართული დემოკრატიის, ქართული პარლამენტარიზმის. ეს არის ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი ვარდების რევოლუციის."**

გაგრძელება A2 გვერდზე

# ვარდების რევოლუციის მთავარი მონაპოვარი

პირველი გვერდიდან

საკუთრივ საკონსტიტუციო ცვლილების განსაკუთრებული მნიშვნელობის გარდა, პრეზიდენტი იმ ფაქტზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ ცვლილებას საფუძვლად დაედო ხალხის ნება, 2003 წლის 2 ნოემბერს ჩატარებული რეფერენდუმი. **"საქართველოს გაუჩნდა პარლამენტი, რომელიც უსმენს საკუთარ ხალხს, რომელსაც შეუძლია, დადგეს საკუთარ პიროვნულ, კორპორატიულ, პარტიულ ინტერესებზე მაღლა, გააკეთოს ის, რაც ხალხმა მოინდომა, რაც ხალხმა უთხრა,"** - აღნიშნა პრეზიდენტმა სააკაშვილმა გუშინდელ საგანგებო განცხადებაში.

მიხეილ სააკაშვილმა ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისათვის მადლობა გადაუხადა როგორც ხალხს, ასევე ამ ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტს. პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს კონსტიტუციის დახვეწა და მისი დემოკრატიულ სტანდარტებთან დაახლოების პროცესი მომავალშიც გაგრძელდება.

*24 საათი*

# მარნეულში "ნაციონალები" და გამგებელი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

მაია მოსიაშვილი

მარნეულის სახელისუფლებო და პარტიულ წრეებში, უკვე კარგა ხანია, დაპირისპირება არსებობს. ჯერ კიდევ ექვსი თვის წინ, ქვემო ქართლში პრეზიდენტის მაშინდელმა რწმუნებულმა სოსო მაზმიშვილმა მარნეულის გამგებლის ამირან შუბითიძის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ ამცნო საზოგადოებას და ის ძველი კადრების მფარველობაში დაადანაშაულა. ეს ამბავი იმით დამთავრდა, რომ მაზმიშვილი თავად გაათავისუფლეს, ხოლო შუბითიძე გამგებლის მოვალეობის დროებით შემსრულებლად დატოვეს.

"24 საათისთვის" ცნობილი გახდა ფაქტი, რომლის გამოც მარნეულის გამგებელი და "ნაციონალური მოძრაობის" ადგილობრივი ორგანიზაცია ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. სახელისუფლებო პარტიის მარნეულის ორგანიზაციის თავმჯდომარის ზაზა დეკანოიძის ინფორმაციით, რაიონის გამგებელმა რაიონის ასოცირებული საკრებულოს თავმჯდომარე ჰუსეინ იუსუპოვი აიძულა, თანამდებობიდან წასულიყო. იუსუპოვი პარალელურად კუტლიარის საკრებულოს თავმჯომარეც იყო.

**"ყველაზე მთავარი ამის შემდეგ მოხდა. გამგებელმა იუსუპოვის ადგილზე სხვა ადამიანი დანიშნა. დიხ, დანიშნა, რადგან საკრებულოს სხდომა ამ საკითხზე არ ჩატარებულა. იუსუპოვმა სწორედ ეს უკანონო ქმედება გაასაჩივრა სასამართლოში, სადაც უკვე ოთხი თვეა, ამ საქმის განხილვა იწყება,"** - ამბობს დეკანოიძე. მისი თქმით, იუსუპოვის საქმიანობა ამ ხნის მანძილზე რამდენიმე მაკონტროლებელმა სტრუქტურამ შეამოწმა, თუმცა ვერანაირი დარღვევა ვერ აღმოაჩინა.

**"იუსუპოვი "ნაციონალური მოძრაობის" აქტიური წევრია და სოფელში კარგი ავტორიტეტით სარგებლობს. სწორედ მისი დამსახურება იყო, რომ 2 ნოემბრის არჩევნებში ამ სოფელში "ნაციონალებმა" გაიმარჯვეს. თუ მას დანაშაული აქვს ჩადენილი, უნდა დაისაჯოს კიდეც, მაგრამ თუ არ დაუშავებია არაფერი, რატომ უნდა იყოს გამგებლის მხრიდან უკანონოდ შევიწროებული?!"** - კითხულობს მარნეულელი "ნაციონალების" თავკაცი.

ზაზა დეკანოიძე არ უარყოფს, რომ რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელთან უთანხმოება აქვს: **"მე, რა თქმა უნდა, წინაალმდეგი ვარ იმისა, რომ რაიონის კულტურის სახლს მერაბ კოსტავას სახელი გადაერქვა და ნარიმან ნარიმანოვის სახელი დაერქვა. ასევე მიუღებელია მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლის სხვაგან გადატანა, იმის გამო, რომ იმ ადგილას ალიევის ძეგლი უნდა დაიდგას. მარნეულის გამგეობის წინ დგას 26 კომისრიდან ერთ-ერთის - ნარიმან ნარიმანოვის ძეგლი. ჩვენ ვთავაზობდით, რომ ჯავახიშვილის ძეგლი მის ადგილას დაგვედგა, ხოლო კომისრისა სხვაგან გადაგვეტანა, რაზეც გამგებელთან შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ."**

დღეს მარნეულის რაიონულმა სასამართლომ საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის სარჩელი უნდა განიხილოს და სწორედ მის გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული, კიდევ უფრო გამწვავდება თუ არა კონფლიქტი, რომელიც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მარნეულელ წევრებს შორის უკვე ოთხი თვეა არსებობს.

# სერგეი ლავროვი თბილისშია



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი უკვე საქართველოშია. გუშინ საღამოს მისი თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში დაეშვა.

**"მოხარული ვარ, რომ საქართველოში ჩამოვედი. იმედი მაქვს, მოლაპარაკებები წარმატებული და ნაყოფიერი იქნება,"** - განუცხადა ჟურნალისტებს ლავროვმა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოს არა ოფიციალური, არამედ სამუშაო ვიზიტით ეწვია. ვიზიტის ფორმატის შეცვლის მიზეზი პროტოკოლით გათვალისწინებული ერთ-ერთი ღონისძიება გახდა, რომელიც ლავროვის მიერ საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა მემორიალის მონახულებას და გვირგვინებით შემკობას ითვალისწინებდა. ლავროვმა აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

ვიზიტის დეტალების შესათანხმებლად გუშინ რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვლადიმერ ჩხიკვიშვილი საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს გელა ბეჟუაშვილს შეხვდა. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა ლავროვის გადაწყვეტილებას არაკეთილმეზობლური ჟესტი უწოდა. ამასთან, მინისტრმა განაცხადა, რომ მომხდართან დაკავშირებით ვითარების გამწვავებას არ აპირებს. თავად სერგეი ლავროვი იმედოვნებს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა მემორიალის ყვავილებით შემკობისგან თავის შეკავება თბილისში დაგეგმილ მოლაპარაკებებს პრობლემას არ შეუქმნის.

მისივე თქმით, მან გაითვალისწინა ის ემოციური მუხტი, რაც მემორიალის სახალხოდ გვირგვინით შემკობას თან ახლავს. ამასთან, რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გვირგვინით შეამკობს ზურაბ ჟვანიას საფლავს.

*24 საათი*







## საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისიის განცხადება

1. საქართველოს ეროვნული ბანკის, 2005 წლის ბიუჯეტის სახსრებით გათვალისწინებული სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევისა და დამატებითი რისკების ნებაყოფლობით დაზღვევაზე, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევაზე აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევისა და დამატებითი რისკების ნებაყოფლობითი დაზღვევა უნდა მოქმედებდეს 2005 წლის მაისიდან ერთი წლის განმავლობაში, ხოლო სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა უნდა მოქმედებდეს 2005 წლის ნოემბრიდან ერთი წლის განმავლობაში. დაზღვევის ტექნიკური სპეციფიკაციის მიხედვით, თავის დანიშნულებით და გამოყენებით უნდა აკმაყოფილებდეს სეკ (CPA)002-99 შესაბამის მოქმედ სტანდარტებს გოსტ-J.66.03.10;CPC81291-81299;

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, განცხადების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა, სებ-ის კანცელარიაში 17.00-სთ-მდე სათანადო რეგისტრაციის გავლით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ.3/5, სატენდერო კომისიის სამდივნო. ტელ/ფაქსი: 98-21-34. ტელ: 44-23-88, 44-24-99. შიდა ტელ: 4-99; 3-88.

4. დაინტერესებულ პირთა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციებს რომ:

ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან);

ბ)მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

გ)მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით სააღსრულებო წარმოება (ცნობა სააღსრულებო ბიუროდან);

დ)ტენდერის დაწყების მომენტისთვის მისი ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

ვ)ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).

ზ) ბოლო სამი წლის აუდიტირებული ბალანსი აუდიტის დასკვნასთან ერთად;

თ) დადგენილების ასლი სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ;

ი) მინდობილობა ხელისმომწერ უფლებამოსილ პირზე;

კ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ;

ლ) საქმიანობასთან დაკავშირებული ლიცენზია, სერთიფიკატი ან ნებათვა;

მ) რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ნ) წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია შესაბამისი დოკუმენტაციით რისკების გადამზღვევ კომპანიებთან თანამშრომლობის შესახებ.

ო) წარდგინების წერილი წარმოდგენილი საბუთების ჩამონათვალისა და გვერდების აღნიშვნით. (უცხო ქვეყნის წარმომადგენლებმა ზემოაღნიშნული დოკუმენტაციები უნდა წარმოადგინონ ქვეყნის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებიდან, რომლებიც გასცემენ აღნიშნულ ცნობებს).

5. მე-4 პუნქტში განსაზღვრული დოკუმენტაცია უნდა იქნეს წარმოდგენილი ორიგინალების სახით. ორიგინალის წარმოდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში აღნიშნული დოკუმენტები დამოწმებულ უნდა იქნეს სათანადო წესით.

6. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკავალიფიკაციო მონაცემებს თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ სებ-ის სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტად აღიარებული ის პირები, რომლებიც შეტყობინებიდან 3 დღის განმავლობაში, გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს 500 ლარის ოდენობით, საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ N000904742 "შესყიდვებთან დაკავშირებით მიღებული სატენდერო მოსაკრებლის" სპეციალურ ანგარიშზე, ბანკის კოდი 220101107.

8. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის სამდივნოს საქ. ეროვნული ბანკი ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, ოთახი N126,128. ტელ./ფაქსი: 98-21-34. ტელ: 44-23-88, 44-24-99 შიდა ტელ: 4-99; 3-88.

ტენდერის პირობების შესახებ ინფორმაცია ასევე განთავსებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე (www.nbg.gov.ge).

**საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისია.**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ორი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება

პირველი გვერდიდან

პარლამენტარებისთვის) მაინც გაუგებარი დარჩა. მით უფრო, რომ უმრავლესობის წარმომადგენლები ლამის ერთმანეთისგან გამომრიცხავ განცხადებებს აკეთებდნენ - თუკი მათი ნაწილი ამბობდა, რომ პარლამენტართა საერთო რაოდენობის შემცირებას მექანიკურად მოჰყვა პარტიული სიით გასულ დეპუტატთა და მაჟორიტართა ასეთი პროპორციის დადგენა, მეორე ნაწილი მიანიშნებდა, რომ მაჟორიტარული ოლქების ახალი საზღვრების დადგენა ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის წინაპირობა უნდა გამხდარიყო (ყოველ შემთხვევაში, ასეთმა ინტონაციამ გიგი წერეთლის გამოსვლაში გაიჟღერა).

თუმცა, საბოლოო ჯამში, უმრავლესობამ, მსჯელობის ბოლოს, მაინც მოახერხა ერთიანი პოზიციის გამოხატვა - საბოლოო ვერსიით, ამ ცვლილებას არანაირი კავშირი არ აქვს ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოწყობასთან, ხოლო თავად მოწყობის საკითხს პარლამენტი სულ მალე - შესაძლოა, საგაზაფხულო სესიის მიწურულს დაიწყებს.

საპარლამენტო უმრავლესობისა და მაჟორიტარ დეპუტატთა ერთიანობის დემონსტრირება თავის თავზე ბორჯომის მაჟორიტარმა დეპუტატმა ნოდარ გრიგალაშვილმა აიღო, რომელმაც საზოგადოებას ასეთი რამ ამცნო: უმრავლესობის ყველა წევრი და ყველა მაჟორიტარი დეპუტატი აღტაცებით შეხვდა პრეზიდენტის ინიციატივას და პრესაში გაჟღერებული ინფორმაცია, თითქოს მაჟორიტართა ნაწილი ამ ცვლილებების წინააღმდეგი იყო, სისულელეაო.

**"მინდა მივმართო იმ უსახელო დეპუტატს, რომელმაც ჟურნალისტს ასეთი ინფორმაცია მიაწოდა, ეყოს კაცობა და საკუთარი სახელიც თქვას. ისე, მე მას უხსენებელს დავარქმევდი. ამავე დროს, თავად ჟურნალისტს ვურჩევ, გადაამოწმოს ინფორმაცია და ასეთი სისულელეები აღარ დაწეროს,"** - განაცხადა მაღალი ტრიბუნიდან გრიგალაშვილმა. თუმცა, აქვე დავძენთ, რომ პრესაში გასული ინფორმაციები ამის თაობაზე გადამოწმებული იყო და შინაურულ საუბრებში თითქმის ყველა ადასტურებდა, რომ მაჟორიტართა ნაწილი აშკარად ცდილობდა, საკუთარი ხმების სანაცვლოდ, მმართველი პარტიისაგან პოლიტიკური გარანტიები მიეღო.

თუმცა, უმრავლესობის საჩვენებელი იდილია გუშინ დაირღვა და ეს პარლამენტარ გოჩა ჯოჯუას "წყალობით" მოხდა. მან პირდაპირ განაცხადა, რომ ხმას ვერ მისცემს ისეთ საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომელიც არ განსაზღვრავს, შემდგომში რა ფორმით უნდა იყოს არჩეული პარლამენტის დეპუტაცია. **"საპარლამენტო უმრავლესობას, ჯერჯერობით, არ გააჩნია იმის ხედვა, თუ რა ფორმით უნდა იქნეს არჩეული პარლამენტში 150 დეპუტატი. ეს კი ქვეყანაში ქაოსს გამოიწვევს. პოლიტიკურ ფრაქციებს შორის კონსენსუსის მიღწევა შეიძლებოდა და ამ საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება საჩქარო არ იყო. მოვა დრო და თავადაც მიხვდებიან, რომ აღნიშნული საკითხი ნაჩქარევად დააყენეს და თავადაც შეიცვლიან პოზიციას,"** - ასე ახსნა ჯოჯუამ თავისი გადაწყვეტილება. ამ განცხადებიდან რამდენიმე წუთში ჯოჯუამ უმრავლესობა დატოვა.

პარლამენტარმა დავით კირკიტაძემ პარლამენტის ტრიბუნიდან განაცხადა, რომ ჯოჯუა უმრავლესობის რიგებში ყოფნის ღირსი არ იყო. **"მივესალმები მის გადაწყვეტილებას უმრავლესობის დატოვების თაობაზე. ჩვენს რიგებში არ უნდა იყოს ისეთი ადამიანი, რომელიც ორი მილიონი ამომრჩევლის ინტერესებს არ ითვალისწინებს."**

რაც შეეხება ოპოზიციას, "მემარჯვენეთა" ერთ-ერთმა ლიდერმა ფიქრია ჩიხრაძემ განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია, რატომ ხდება საკონსტიტუციო ცვლილების მიღება ასეთი დაჩქარებული ტემპით. თუმცა, იქვე დასძინა, რომ მისთვის თავად პრინციპი სავსებით მისაღებია.

ოპოზიციისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ბარიერის საკითხი. ჩიხრაძის განცხადებით, საარჩევნო ბარიერის დაწევა პარლამენტსგარეთ დარჩენილ ოპოზიციის წარმომადგენლებსაც სურთ.

**"მემარჯვენეებს" უკვე შეგროვებული აქვთ ხელმოწერების საკმარისი რაოდენობა. აქციას შეუერთდნენ "რესპუბლიკელები," "კონსერვატორები," ფრაქცია "მაჟორიტარების" ნაწილი და საპარლამენტო უმრავლესობის ზოგიერთი წარმომადგენელიც,"** - აღნიშნა მან.

საგულისხმოა, რომ ბარიერის ოთხ პროცენტამდე დაწევის მომხრენი არიან "რესპუბლიკელებიც". ამასთან ერთად, გუშინ პარლამენტში რეგლამენტის გადახედვის აუცილებლობაზეც ისაუბრეს და აღნიშნეს, რომ შესამცირებელია იმ დეპუტატთა რაოდენობა, რომლებსაც ფრაქციის შექმნის უფლება აქვთ.

## "მატყუარა მთავრობა" და მინისტრთა ახალი კაბინეტი

საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებისთანავე დეპუტატები მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობის განხილვას და ახალი მთავრობის სამოქმედო გეგმის გაცნობას შეუდგნენ.

ტრიბუნასთან მდგარმა ზურაბ ნოღაიდელმა ისევ ის სიტყვები გაიმეორა, რომლის წარმოთქმაც მას, ამ ბოლო დღეებში, პარლამენტში არაერთგზის მოუწია - საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, პრივატიზაციის პროცესის წარმატებით გაგრძელება, კონტრაბანდასთან ბრძოლა, სიღარიბის დაძლევა, რეფორმების გატარება, განსაკუთრებით - განათლების სფეროში, და ა.შ.

აქედან გამომდინარე, დეპუტატები პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს თითქმის არ უსმენდნენ. თუმცა, მას მერე, რაც ნოღაიდელმა პროგრამის პრეზენტაცია დაასრულა, მიკროფონებთან რიგი დადგა. იაქტიურეს, ძირითადად, უმრავლესობის წევრებმა, რომლებმაც მას არცთუ მძაფრი შეკითხვები დაუსვეს. გამონაკლისი "ახალი მემარჯვენე" მანანა ნაჭყებიას და უმრავლესობის მიერ შერისხული გოჩა ჯოჯუას კითხვები აღმოჩნდა - პირველმა ზურაბ ნოღაიდელს "განათლების მინისტრის მიერ საშუალო სკოლების დირექტორების მიმართ უცერემონიო ქმედებების" შეფასება სთხოვა, "ახალმა ოპოზიციონერმა", ანუ ჯოჯუამ, ყურადღება სიგარეტის კონტრაბანდის გაზრდაზე გაამახვილა.

სხდომა შესვენების შემდეგ, დღის ოთხ საათზე განახლდა. ტრიბუნასთან კვლავ ზურაბ ნოღაიდელი იდგა. პარლამენტის სხდომათა დარბაზი კი თითქმის ცარიელი იყო. პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის პასუხებს არავინ უსმენდა - ყველა საკუთარი საქმეებით იყო დაკავებული: დეპუტატთა ნაწილი ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებულ სკანდალურ, არანაკლებ სკანდალური ფოტოთი ილუსტრირებულ წერილს ათვალიერებდა და ხმამაღლა იცინოდა, ნაწილი სერიოზულ თემებზე ბჭობდა, ზოგი კი, ურალოდ, თვლემდა.

ამასობაში, ზურაბ ნოღაიდელი კითხვებზე პასუხს განაგრძობდა. მან ბოლომდე გაამართლა განათლების მინისტრის მიერ სისტემაში დაგეგმილი რეფორმების მიმდინარეობა. რაც შეეხება სიგარეტის კონტრაბანდის გაზრდას, ნოღაიდელს იმის აღიარება მოუწია, რომ ეს მართლაც ასეა, თუმცა განაცხადა, რომ მთავრობა ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა პრობლემა აღმოიფხვრას.

ვითარება დარბაზში მოგვიანებით, ფრაქციების ლიდერებისა და დამოუკიდებელ დეპუტატთა გამოსვლების დროს დაიძაბა. საპარლამენტო უმრავლესობამ შესაშური თავდაჭერილობა გამოიჩინა და ოპოზიციის საკმაოდ მკვეთრ კრიტიკას ძალზე თავშეკავებულად უპასუხა. არაფერი უთქვამს არც ზურაბ ნოღაიდელს - მან კამათს დუმილი ამჯობინა.

ოპოზიციონერთა გამოსვლების პათოსი კი, დაახლოებით, ასეთი იყო:

"კონსერვატორთა" ერთ-ერთი ლიდერი კობა დავითაშვილი: **"კონსერვატორები" მთავრობის პროგრამაში ორი უმნიშვნელოვანესი საკითხის ჩასმას მოითხოვდნენ - მცირე მეწარმეების გადასახადებისგან გათავისუფლებასა და სტაჟისა და დამსახურების მიხედვით პენსიების დანიშვნას. საქართველოს მთავრობამ საკუთარ პროგრამაში არც ერთი საკითხი არ გაითვალისწინა. მცირე მეწარმეების გადასახადებისგან გათავისუფლება და პენსიების დანიშვნის წესის შეცვლა "ნაციონალური მოძრაობის" წინასაარჩევნო დაპირება იყო, რომლის შესრულებაც საქართველოს მთავრობას ევალება. მხარს ვერ დავუჭერთ მთავრობას, რომელმაც ჩვენი ამომრჩეველი მოატყუა. ჩვენ მხარს ვუჭერთ სახელმწიფო აპარატის შემცირებას და სახელმწიფო სამსახურში ხელფასების გაზრდას. თუმცა, ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია დათხოვნების ის სისტემა, რომელიც სახელმწიფო სტრუქტურებში დღეს მოქმედებს."**

"რესპუბლიკელი" დავით ბერძენიშვილი: **"ჩვენ პირველი აჭარელი პრემიერის მხარდაჭერას ვაპირებდით, თუმცა, მთავრობის მიერ პარლამენტში ძველი პროგრამის შემოტანის შემდეგ პოზიცია შევიცვალეთ. არანაირი სტრატეგიული ცვლილებები აღნიშნულ პროგრამაში არ არის. პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი ზურაბ ნოღაიდელი სააკაშვილის თუნდაც მთავარი, მაგრამ მრჩეველი ხდება. ნოღაიდელმა ნებაყოფლობით თქვა უარი პოლიტიკური პასუხისმგებლობის აღებაზე. უინიციატივო მთავრობის პირობებში, შეუძლებელი გახდება სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირება. მიგვაჩნია, რომ ნოღაიდელს პოლიტიკური სიხისტე უნდა გამოეჩინა და ვიცე-პრემიერად საკუთარი პოლიტიკური შეხედულების და საკუთარი გუნდის წარმომადგენელი უნდა დაენიშნა."**

"ახალი მემარჯვენე" დავით საგანელიძე: **" პარლამენტში "ჩვენი დროის გმირების" ჩამოთვლისას, პრეზიდენტს ის ადამიანები გამორჩა, რომლებიც საქართველოს დემოკრატიულ სახელმწიფოს ნამდვილად აშენებენ - ის 20-30-ლარიანი ხელფასის მქონე, გათავისუფლებული პროფესორ-მასწავლებლები, რომლებმაც საქართველოს განათლება და მომავალი ხონჩაზე დადებული მოუტანეს პრეზიდენტს; მაღალმთიანი რაიონის გლეხები, რომლებიც უგზოობის მიუხედავად, შიშველი ხელებით ებრძვიან მიწას, მაგრამ არ ტოვებენ საკუთარი მამა-პაპის მიწას."**

საგულისხმოა, რომ დავით საგანელიძემ თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი უკანონო ქმედებებში დაადანაშაულა. მისი თქმით, ოქრუაშვილს უფლება არ ჰქონდა, გენერალურ შტაბში მისულიყო და მისი წარმომადგენლებისთვის სამსახურიდან წასვლის თაობაზე განცხადებების დაწერა მოეთხოვა. **"საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის მიხედვით, გენერალური შტაბის წარმომადგენლების დათხოვნაც და დანიშვნაც მხოლოდ პრეზიდენტის უფლებამოსილებაა,"** - განაცხადა მან. მართალია, დავით საგანელიძის გამოსვლას დარბაზში შეძახილები მოჰყვა, მაგრამ უმრავლესობის ლიდერებმა ფიცხი დეპუტატები გააჩუმეს და პასუხის გაცემისაგან თავის შეკავება სთხოვეს.

საბოლოოდ, ყველაფერი ისე დასრულდა, როგორც დაგეგმილი იყო: საქართველოს პარლამენტმა მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობა, 175 ხმით 24-ის წინააღმდეგ, დაამტკიცა.

# საკონსტიტუციო ჭრა-კერვა სამთავრობო თარგებით

პირველი გვერდიდან

სრულიად ცხადია, რომ 150 მექანიკურად დაიყო - ასი პროპორციული სიით გასული, ორმოცდაათი – მაჟორიტარი დეპუტატი. როგორ მოხერხდება მაჟორიტართა დათანხმება და მათი რიგების ოცდახუთი კაცით შემცირება, ჯერჯერობით უცნობია. არადა, ამ ცვლილებას საკონსტიტუციო უმრავლესობა სჭირდება.

ჯერჯერობით ისიც უცნობია, გაითვალისწინებენ თუ არა ქართველი პარლამენტარები ვენეციის კომისიის ახალ დასკვნას, რომელიც საკონსტიტუციო ცვლილებებს ეხება. ვენეციიას კომისიის სათადარიგო წევრის ლევან ბოძაშვილის განმარტებით, "ევროპის კონსტიტუციათა არქიტექტორი" კომისია მიესალმება ქართველ კანონმდებელთა რიცხოვნობის შემცირებას, მაგრამ მოითხოვს პარლამენტის დაკომპლექტების პრინციპის დაკონკრეტებას. კერძოდ, ვენეციის კომისიის დასკვნის თანახმად, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დაკომპლექტების ფორმა არა ორგანული კანონით, არამედ კონსტიტუციით უნდა განისაზღვროს. კონსტიტუციაში უნდა ჩაიწეროს, თუ როგორი პრინციპით არჩეული და რამდენი პარლამენტარი ეყოლება ქვეყანას. გასათვალისწინებელია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემაც, რადგან გაურკვეველია, თუ რა ფორმით და კვოტით ისარგებლებენ საქართველოს შემადგენლობაში მოაზრებული პოლიტიკური ერთეულები. ვენეციის კომისია გარკვეულ გარანტიებსაც ითხოვს, რადგან მიაჩნია, რომ შესაძლოა, სახელისუფლებო უმრავლესობამ ბოროტად გამოიყენოს ძალაუფლება და არჩევნებამდე ერთი თვით თუ რამდენიმე კვირით ადრე პარლამენტის დაკომპლექტების წესი შეცვალოს. ამ შემთხვევაშიც, ვენეციის კომისია, საკონსტიტუციო ცვლილებათა ლოგიკიდან გამომდინარე, ვარაუდობს, რომ ასეთი ცვლილებების განხორციელების პროცედურას ბევრად მეტი დრო სჭირდება. ეს კი ოპოზიციურ პარტიებს ფორსმაჟორულ სიტუაციაში მუშაობას აარიდებს და წინასაარჩევნო კამპანიას ყველასთან თანასწორ რეჟიმში წარმართვის საშუალებას მისცემს.

რაც შეეხება საკონსტიტუციო ცვლილებების მეორე ნაწილს, რომელიც სასამართლო სისტემას შეეხება, ვენეციის კომისიის ტონი შესამჩნევად მკაცრია. მთავარი ნაკლი, რაც საკონსტიტუციო ცვლილებათა პროექტში კომისიის ექსპერტებმა აღმოაჩინეს, მოსამართლეთა გათავისუფლების ფორმაა. სასამართლოს რეორგანიზაციის საფუძველზე მოსამართლეთა გათავისუფლება გაუმართლებელია და საშიშ პრეცედენტს წარმოშობს – კომისიის დასკვნის ასეთ ინტერპრეტაციას აკეთებს ლევან ბოძაშვილი. თუმცა, ამ შემთხვევაში ცვლილებათა პროექტის ავტორებმა ერთი გამონაკლისი მაინც გაითვალისწინეს – რეორგანიზაცია და, შესაბამისად, სამსახურიდან გათავისუფლება არ ეხება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. შეუიარაღებელი თვალისთვისაც აშკარაა, რომ ეს ცვლილება ერთ ადამიანზეა მორგებული. გაირკვა, რომ ეს პიროვნება თავად გახლავთ ცვლილებათა ავტორი.

კომისიისთვის მიუღებელია საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების ახალი წესი, რომლის თანახმადაც, სასამართლოს ცხრავე წევრს პრეზიდენტი ირჩევს და დასამტკიცებლად პარლამენტს წარუდგენს. კომისია მიიჩნევს, რომ არსებული ნორმა, რომლის მიხედვითაც სამ წევრს პრეზიდენტი ნიშნავს, სამს – პარლამენტი, სამს – უზენაესი სასამართლო, შემოთავაზებულ ვარიანტზე უკეთესია. კომისიას არ მოსწონს ადამიანის უფლებათა დარღვევის კუთხით საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრების წესი, რადგან ეს სარჩელთა რაოდენობის გაზრდას გამოიწვევს, რასაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ვერ აუვა. კიდევ ერთი ასპექტი საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებით: არ შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლოსთვის არჩევნების კონსტიტუციურობის დამტკიცების უფლების ჩამორთმევა. კომისიის აზრით, ასეთ გადაწყვეტილებას შესაბამისი მოტივაცია და განმარტება სჭირდება. ევროპული სასამართლოების ავტორებისთვის მიუღებელი ყოფილა მოსამართლეთა ასაკობრივი ცენზის 27 წლამდე დაწევა. ამ პრეცედენტმა, შესაძლოა, ბევრი პრობლემა წარმოშვას – გვაფრთხილებენ ევროპელი ექსპერტები, თან პროექტით გათვალისწინებული კიდევ ერთი ცვლილების – მოსამართლეთა იმპიჩმენტის წესის შემოღებას არ გვირჩევენ. მათ მიაჩნიათ, რომ პარლამენტისთვის მოსამართლეთათვის იმპიჩმენტის გამოცხადების უფლების მინიჭება სამუდამოდ დაასამარებს მესამე ხელისუფლების დამოუკიდებლობას. ამ "რეფორმებით" კი დღეს არსებულზე უფრო უსუსურ, უუნარო და პოლიტიზებულ სასამართლო სისტემას მივიღებთ – ასეთია ვენეციის კომისიის მოსაზრება, რომელთა გათვალისწინებაც, ალბათ, კარგი იქნება.

ბოლოსთვის ერთი ოპტიმისტური ამბავი მოვიტოვეთ. საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში განსახორციელებელმა საკადრო ცვლილებებმა საკონსტიტუციო ცვლილებათა პროექტის ხელაღებით მიღების აუცილებლობა დღის წესრიგიდან მოხსნა. სამთავრობო კულუარებში გავრცელებული ინფორმაციით, ხელისუფლებაში საკონსტიტუციო ცვლილებათა ახალი პროექტი მზადდება. შესაბამისად, საინტერესოა, ამჯერად ვის თარგზე მოიჭრება საქართველოს კონსტიტუცია.






უცხოეთი

# აშშ-ს ურთიერთობები ტერორიზმის მხარდამჭერ სახელმწიფოებთან

მალხაზ ჩემელაშვილი

"ჩვენს სირიელ ძმებს საფრთხე ემუქრებათ და ვიმედოვნებ, მათ გამოადგებათ ჩვენი გამოცდილება," - ეს სიტყვები ირანის ვიცე-პრეზიდენტმა მოჰამად რეზა არეფიმ სამშაბათს წარმოთქვა, მაგრამ მას მერე მრავალი რამ შეიცვალა. საზღვარგარეთიდან სავარაუდო საფრთხის წინააღმდეგ ირან-სირიის გაერთიანებას ირანის სამხრეთში, ბუშერის პროვინციაში, ბირთვული ობიექტის მახლობლად აფეთქება მოჰყვა. თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაციით, აფეთქება უცნობი თვითმფრინავიდან ჩაგდებული რაკეტის შედეგი იყო. თუმცა, მოგვიანებით გაჩნდა ახალი ვერსია, რომლის თანახმადაც აფეთქება შესაძლოა, ირანის კუთვნილი თვითმფრინავიდან ნავთობით სავსე ავზის ჩამოვარდნის შედეგად მომხდარიყო. აფეთქებამდე ცოტა ხნით ადრე ირანის ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ირანის ბირთვული ობიექტების თავზე ამერიკული უპილოტო თვითმფრინავები იმყოფებოდა. ირანის დაზვერვის შეფის ალი იუნესის თქმით, მოციმციმე ობიექტები ამერიკული თვითმფრინავები იყო. საყურადღებოა ისიც, რომ ამ კვირის ერთ-ერთ ნომერში გაზეთი "ვაშინგტონ პოსტი" იუწყებოდა ირანის ტერიტორიაზე აშშ-ს საიდუმლო ოპერაციების შესახებ. სტატიაში აღნიშნული იყო, რომ ირანის ტერიტორიაზე აშშ-ს თვითმფრინავები ერაყიდან შედიოდნენ. მოგვიანებით პენტაგონმა არ დაადასტურა ირანში სპეცოპერაციების წარმოების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია.

რაც შეეხება ტერორიზმის მხარდამჭერ კიდევ ერთ ქვეყანასთან, სირიასთან აშშ-ს ურთიერთობას, ამ უკანასკნელთან ამერიკის ურთიერთობები ლიბანის ყოფილი პრემიერის რაფიკ ჰარირის მკვლელობის შემდეგ მკვეთრად გაუარესდა. ურთიერთობების გამწვავებას სირიიდან აშშ-ს ელჩის მარგარეტ სკობის გამოწვევაც ადასტურებს. თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაციით, აშშ-მ სირიიდან ელჩი კონსულტაციების მიზნით გაიწვია, თუმცა, როგორც მოგვიანებით აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა აღნიშნა, ეს ნაბიჯი სირიის ხელისუფლებისათვის ამერიკის უკმაყოფილების გამომხატველი იყო. ჯერჯერობით არ ზუსტდება სირიაში მარგარეტ სკობის ელჩის რანგში დაბრუნების ვადებიც. "უმთავრესი მიზეზი ლიბანია, თუმცა სირიასთან ჩვენი პრობლემების ნუსხა ისედაც იზრდება," - აღნიშნა კონდოლიზა რაისმა სენატის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის წევრებთან საუბარში. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით უცნობია, ვინ დგას ჰარირის მკვლელობის უკან, აშშ-ს სრული საფუძველი აქვს, სირიაც ეჭვმიტანილთა სიაში შეიტანოს. "ლიბანზე გავლენის ქონის გამო სირიას განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება დესტაბილიზაციის შემთხვევაში," - აცხადებს აშშ-ს სახელმწიფო მდივანი.

ირანთან ერთად გარეშე საფრთხის წინააღმდეგ თანამშრომლობის შესახებ გაკეთებული განცხადების პარალელურად, სირია აცხადებს, რომ ირანთან ალიანსი არანაირად არ ნიშნავს აშშ-სთან დაპირისპირებას.

# არიელ შარონს კორუფციაში აღარ ადანაშაულებენ

საქმე, რომელსაც ისრაელის პროკურატურა უკვე სამი წელია იძიებს, 1999 წელს პარტია "ლიკუდის" მაშინდელი ლიდერის და დღეს პრემიერ-მინისტრის არჩევნების დაფინანსებას ეხება. პროკურატურამ გადაწყვიტა ბრალდება შარონის ვაჟისთვის, ომრი შარონისთვის წაეყენებინა. მას ფიქტიური კომპანიის შექმნაში ადანაშაულებენ, რომლის მეშვეობითაც საზღვარგარეთიდან შემოსული უკანონო შემოწირულობანი მამამისის საარჩევნო კამპანიის საჭიროებისათვის ირიცხებოდა. ისრაელის გენერალურმა პროკურორმა მენახემ მაზუზმა განაცხადა, რომ პრემიერ-მინისტრის პასუხისგებაში მისაცემად არასაკმარისი მტკიცებულებებია. ომრი შარონის გასასამართლებლად, რომელიც ამავდროულად ქნესეთის დეპუტატია, პროკურორებმა ისრაელის პარლამენტს უნდა სთხოვონ, რომ მას სასამართლო დევნის იმუნიტეტი მოუხსნან. ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ისრაელში ბევრს ეგონა, რომ კორუფციული სკანდალი, რომელშიც არიელ შარონი იყო გარეული, მას პრემიერ-მინისტრის სავარძლის შენარჩუნებაში ხელს შეუშლიდა. შარშან გენერალურმა პროკურორმა მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის წინააღმდეგ აძღრული კიდევ ერთი საქმის შეწყვეტა გადაწყვიტა. ამ საქმის თანახმად, არიელ შარონს ქრთამის აღება ბრალდებოდა. მართალია, ამჟამად კიდევ ერთი სასამართლო საქმე რჩება, რომელშიც შარონი ფიგურირებს, მაგრამ ისრაელში მოსახლეობის უმეტესობა თვლის, რომ ეს საქმეც დროთა განმავლობაში დაიხურება.

**24 საათი**

ორი სიტყვით

**ეგვიპტე.** კაიროში 70 წლის ასაკში ეგვიპტის უკანასკნელი მეფის ფარუქას ქვრივი, ნარიმან სადიკი, ტვინში სისხლის ჩაქცევისაგან გარდაიცვალა. ფარუქამ ნარიმანი 1951 წელს, მონარქიის დამხობამდე ნახევარი წლით ადრე შეირთო ცოლად. მათ ვაჟი შეეძინათ. მეფის ხელისუფლების დამხობის შემდეგ, ფარუქა მეუღლესა და შვილებთან ერთად (მას წინა ქორწინებიდან სამი ქალიშვილი ჰყავდა) იტალიაში გადასახლდა. 1954 წელს მეუღლეები ერთმანეთს დაშორდნენ და სადიკი ქაიროში დაბრუნდა. **გარდიანი**

■ ■ ■

**ჩინეთი**. ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელმა პორტერ გოსმა განაცხადა, რომ ჩინეთში მიმდინარე სამხედრო მოდერნიზაცია ტაივანის ყურეში სამხედრო პოტენციალის ბალანსს არღვევს და შესაძლოა, აღნიშნულ რეგიონში განლაგებული ამერიკელი ჯარისკაცებისთვის საფრთხეს წარმოადგენდეს. პორტერის თქმით, ჩინეთის ხელისუფლება ცალმხრივ დიპლომატიურ ხერხებს მიმართავს, რათა წინ აღუდგეს იმას, რასაც იგი ამერიკის ხელისუფლების მხრიდან ქვეყნის იზოლირების მცდელობად მიიჩნევს. გოსის განცხადებით, აშშ-ს მთავრობა აღშფოთებულია ჩინეთში მიმდინარე ატომური პოტენციალის განვითარებითა და ბალისტიკური რაკეტების არსენალის ზრდით. **ფაინენშალ თაიმსი**

■ ■ ■

**უკრაინა.** უკრაინის სპეცსამსახურებმა იუშენკოსა და ტიმოშენკოს ტელეფონების მოსმენასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. "ხდებოდა სატელეფონო საუბრების მოსმენა. ეს პოლიტიკური შეკვეთაა და გადაწყვეტილებების მიღება ძალოვანი სტრუქტურების დონეზე ხდებოდა, თუმცა მე არ ვარ მზად, დავასახელო იმ ადამიანთა სახელები, რომლებიც კანონის წინაშე აგებენ პასუხს," - განაცხადა უკრაინის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელმა ალექსანდრე ტურჩინოვმა. **რიანოვოსტი**

■ ■ ■

**აზერბაიჯანი.** ქვეყნის პარლამენტი უახლოეს დღეებში "აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის" წარმომადგენლის ალი კერიმლისთვის დეპუტატის მანდატის შეწყვეტის საკითხს განიხილავს. ამის მიზეზი აღნიშნული დეპუტატის მიერ სესიების გაცდენა გახდა. პარლამენტის უწყებაში მითითებულია, რომ 30 სესიის გაცდენის შემთხვევაში დეპუტატს უფლებამოსილება უწყდება. კერიმლის კი საპარლამენტო სესიებში გასული წლის გაზაფხულის შემდეგ აღარ მიუღია მონაწილეობა, როდესაც მან პარლამენტის შენობა მის მიმართ გამოთქმული სიტყვიერი შეურაცხყოფის შემდეგ პროტესტის ნიშნად დატოვა. აღსანიშნავია, რომ პარლამენტის სპიკერმა მურთუზ ალესკეროვმა ამ დღეებში, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საკანონმდებლო ორგანოს დისციპლინის კომისიას ოფიციალურად მიმართა. რაც შეეხება კერიმლის პარტიას, მის თავმჯდომარეს დეპუტატის ბედი ნაკლებად აღელვებს, რადგანაც იგი გაცილებით მნიშვნელოვანი საკითხებითთაა დაკავებული. **day. az**




## მოკლედ

### ლეონიდ კუჩმას სიძეს ვიქტორ პინჩუკს "კრივოროჟსტალი" ჩამოართვეს

უკრაინაში პრივატიზაციის შედეგების გადასინჯვა სამთო-მეტალურგიული კომბინატით - "კრივოროჟსტალით" დაიწყო. გუშინ კიევის პეჩორსკის რაიონულმა სასამართლომ გააუქმა 2004 წლის 25 აგვისტოს მიღებული გადაწყვეტილება "კრივოროჟსტალის" აქციების 93,02 პროცენტის კონსორციუმ "საინვესტიციო-მეტალურგიული კავშირისთვის" მიყიდვის შესახებ. გუშინ, უკრაინის პრემიერ-მინისტრმა იულია ტიმოშენკომ განაცხადა, რომ უახლოეს ხანებში უკრაინის სასამართლოები დაახლოებით სამი ათასი საწარმოს პრივატიზაციის კანონიერების საქმეებს განიხილავენ. "კრივოროჟსტალის" პრივატიზაციის გადაწყვეტილების გაუქმებაზე ტიმოშენკო ჯერ კიდევ თებერვლის დასაწყისში, მინისტრთა ახალი კაბინეტის პირველ სხდომაზე საუბრობდა. მაშინ მან განაცხადა, რომ კომბინატი "კრიმინალური სქემით" გაიყიდა. "კრივოროჟსტალი" უკრაინაში ლითონის პროდუქციის უდიდესი მწარმოებელია. მისი წილი ბაზარზე 20 პროცენტს აღწევს. 2004 წელს მეტალურგიული კომბინატი "საინვესტიციო მეტალურგიულმა კავშირმა" 800 მილიონ დოლარად შეიძინა. ამ კონსორციუმის დამფუძნებლები არიან კორპორაცია "ინტერპაიპი", რომელსაც უკრაინის ექსპრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას სიძე ვიქტორ პინჩუკი აკონტროლებს და კომპანია "სისტემ კეპიტალ მენეჯმენტი." უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ განაცხადა, რომ ექსპერტთა შეფასებით, "კრივოროჟსტალის" რეალური ღირებულება 3 მილიარდ დოლარს აღემატება. ***ინტერ-პრესი***

### აშშ-ს სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტში გუშინ "იუკოსის" და "მენატეპის" ხელმძღვანელები მიიწვიეს

ნავთობკომპანია "იუკოსის" გამგეობის თავმჯდომარე სტივენ ტიდი და ჯგუფ "მენატეპის" დირექტორი ტიმ ოსბორნი გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტში დაგეგმილ მოსმენაზე იყვნენ მიწვეულნი. მათ ამერიკელ სენატორებს რუსეთში "იუკოსის" ირგვლივ შექმნილი სიტუაცია გააცნეს. მოსმენა თემაზე "რუსეთის დემოკრატიისგან გადახვევა" საგარეო საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელის რიჩარდ ლუგარის თავმჯდომარეობით ტარდება. როგორც გაზეთი "კომერსანტი" წერს, ოსბორნის 22-გვერდიანი მოხსენების ერთ-ერთი მთავარი დებულება ისაა, რომ დროა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა "იუკოსის" ექსმეთაური ხოდორკოვსკი, "მენატეპის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი პლატონ ლებედევი და "იუკოსის" უშიშროების სამსახურის თანამშრომელი ალექსეი პიჩუგინი პოლიტიკურ პატიმრებად აღიაროს. ოსბორნი "იუკოსის" დევნაში, რუსეთის ხელისუფლების გარდა, კომპანიებს - "ტრანსნეფტს", "გაზპრომსა" და "როსნეფტს" ადანაშაულებს. მისი მოსაზრებით, "იუკოსის" სახით, ამ კომპანიებს კონკურენტის მოშორება სურდათ. ჯგუფ "მენატეპის" დირექტორს ასევე მიაჩნია, რომ "იუკოსის" საქმეში ხელისუფლების პოლიტიკური ინტერესების გამო რუსეთი "დიდი რვიანის" წევრობას და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციში მიღებას არ იმსახურებს. ***ინტერ-პრესი***

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "თბილგაზის" თანამშრომლებმა მოსკოვის გამზირზე N39-ში კუსტარულად გაყვანილი გაზის მილი აღმოაჩინეს. იგი იქვე მცხოვრებმა ჯაბა ფანჩულიძემ გაიყვანა. "თბილგაზის" თანამშრომლების განცხადებით, გაზის მილი საცხოვრებელი კორპუსის სარდაფში იყო გაყვანილი, რითაც კორპუსის მაცხოვრებლებს საფრთხე შეექმნა. თავად ფანჩულიძის თქმით, უსახსრობის გამო, მას ოფიციალურად გაზის გაყვანა არ შეეძლო და ამიტომაც ამ ხერხს მიმართა. "თბილგაზის" თანამშრომლებმა უკანონო გაზის მილს დემონტაჟი გაუკეთეს. **მედიანიუსი**

„პროქტერ ენდ გემბლი", მსოფლიოში ყველაზე მსხვილი და წარმატებული კომპანია საყოფაცხოვრებო მოხმარების პროდუქციის წარმოების დარგში, აცხადებს ვაკანსიას ახალგაზრდა და დინამიური პირებისათვის

P&G

სამომხმარებლო ბიზნესის განვითარების (CBD) მენეჯერის თანამდებობაზე.

აღწერა:
CBD მენეჯერი გაუძღვება კლიენტის გადაწყვეტილებაზე კრიტიკულ და საქმიან სიტუაციებში გავლენის კონცეპტუალური მეთოდებისა და მონაცემთა ბაზის გამოყენებით. ეს მეთოდი ეყრდნობა მომხმარებელთა მოთხოვნების შესწავლას და იძლევა რეალურ სურათს, თუ რა ამოძრავებს მყიდველს ამა თუ იმ პროდუქციის შესყიდვისას. CBD მენეჯერის კომპეტენციაში შედის ასევე ბიზნეს-გეგმების შედგენა, რომელთა საშუალებით შესაძლებელი გახდება სავაჭრო ნიშნის გაფართოება-განვითარება და დაგეგმვა მყიდველის განახორციელის ისეთი საქმიანობა, რომელიც წარმატებული იქნება როგორც მისთვის, ასევე კომპანიისთვის.

კვალიფიკაცია:
წარმატებული კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე და უნდა ფლობდეს მართვის მოწმობას. სამუშაოს მოთხოვნებში შედის ქალაქისა და რეგიონის მასშტაბით საქმიანობა; საჭიროების შემთხვევაში საცხოვრებელი ადგილის შეცვლა. აუცილებელია უმაღლესი განათლება და ინგლისური ენის სრულყოფილად ფლობა. ასევე კომუნიკაბელურობა და ძლიერი საორგანიზაციო ნიჭი.

რეზიუმეს გამოგზავნა:
ესტუმრეთ ჩვენს ვებ-გვერდს მისამართზე: **www.pg-ca.com** ან **www.go2pg.com** და განათავსეთ თქვენი პროფილი - **CBD00002125 Sales/Customer Business DevelopmentAccount Manager,** ან გამოაგზავნეთ პირადი CV ელექტრონულ ფოსტაზე: **muradova.n@pg.com** ფაქსი - **995 32 94 18 94.**
შეკითხვებით მოგვმართეთ ტელეფონის ნომერზე - **+994 50 350 5855**

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია
ახალი საგადასახადო კოდექსის დანერგვა
პროექტი
უფასო სატელეფონო კონსულტაციები ახალ საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით
საგადასახადო ცხელი ხაზი 93 64 75
ცხელი ხაზი ფუნქციონირებს ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა, 11-დან 19 საათამდე.
პროექტის ფარგლებში გამოიცემა "კომენტარები ახალ საგადასახადო კოდექსზე"
საკონტაქტო ინფორმაცია: მისამართი: გრ. ორბელიანის ქ. №35, თბილისი 0105; e-mail: office@economists.ge
IRIS

# ვაგონების გაჩერებით ქართველი იმპორტიორები ზარალდებიან

დიანა ჩაჩუა

*საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე სხვადასხვა ტვირთით დატვირთული 316 ვაგონი კვლავ გაჩერებულია. როგორც გუშინ, ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარემ ვანო მთვრალაშვილმა საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა, აზერბაიჯანული მხარე კვლავინდებურად ეჭვობს, რომ გაჩერებულ ვაგონებში არსებული ტვირთი სომხეთისთვის არის განკუთვნილი. ამასობაში კი, ქართველი იმპორტიორები ზარალდებიან.*



საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე ვაგონების გაჩერებით ქართველი იმპორტიორები მნიშვნელოვნად დაზარალდნენ

**"სპეციალურმა შემოწმებამ ცხადყო, რომ ტვირთების აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს შიდა ბაზრისთვის იყო განკუთვნილი. შეიძლება, მათი ნაწილის გადატვირთვა სომხეთშიც იგეგმებოდა, მაგრამ ეს მეწარმეების პრობლემა არ არის. ოთხი თვის განმავლობაში ნავთობპროდუქტების იმპორტიორებს ჰპირდებიან, რომ ტვირთის გამოტარება დაიწყება, თუმცა - უშედეგოდ. ერთი თვის წინათ ამ საკითხთან დაკავშირებით აზერბაიჯანის რკინიგზისა და საბაჟო დეპარტამენტების წარმომადგენლები უშუალოდ იყვნენ ჩამოსული საქართველოში და დაგვპირდნენ, რომ ტვირთებს აუცილებლად გამოატარებდნენ, მაგრამ დაპირება კვლავ დაპირებად დარჩა,"** - აცხადებდა გუშინ ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი.

მისი თქმით, ის გადამზიდავი ფირმები, ვისი ტვირთიც გაჩერებულია, სერიოზულ მატერიალურ-ფინანსურ ზარალს იღებენ - მათ იმპორტის განსახორციელებლად საჭირო თანხები ბანკისგან ჰქონდათ ნასესხები და შესაბამის საპროცენტო განაკვეთებს ამჟამადაც იხდიან.

ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირი საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს მიმართავს უგზავნის და მოითხოვს, რომ აღნიშნული საკითხის მოგვარება თავად პრეზიდენტმა ითავოს.

**"აღნიშნული საკითხი მხოლოდ პრეზიდენტებს შორის ურთიერთმოლაპარაკების შედეგად შეიძლება გადაწყდეს. ნავთობპროდუქტთა იმპორტიორები გაკოტრდებიან, რაც ქვეყნის იმიჯისათვის ნამდვილად არ არის კარგი. აზერბაიჯანის მხარე არაკომპეტენტურად იქცევა, მისი მხრიდან ეს დემოკრატიული ქვეყნის ქმედება არ არის,"** - განაცხადა კავშირის წევრმა ვახტანგ იობაშვილმა.

ცნობისათვის: 316 გაჩერებულ ვაგონს შორის 195 ხორბლით არის დატვირთული, 80 - დიზელით, 36 - თხევადი აირით, 6 ვაგონში მოთავსებულია დისტივატები, ხოლო 2-2 ვაგონში - ფქვილი და ზეთი.

გუშინდელ პრესკონფერენციას "საქართველოს რკინიგზის" კომერციული დირექტორი რამაზ გიორგაძეც ესწრებოდა. როგორც მან აღნიშნა, ტვირთების გამოტარების პროცესი აზერბაიჯანულმა მხარემ რამდენიმე დღის წინ დაიწყო. **"მართალია, ამჟამად ბაიკიავიკში 316 ვაგონი კიდევ გაჩერებულია, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ვაგონები საქართველოს მიმართულებით დაიძრება. ამასთან, აღნიშნული პრობლემის გამო, "საქართველოს რკინიგზასაც" სერიოზული შემოსავალი დააკლდა,"** - დასძინა გიორგაძემ.

# ქართული დენი კონფლიქტის ზონისთვის

ნიკა მარიამიძე

დიდი და პატარა ლიახვის ხეობებისთვის ქართული დენის მიწოდების საკითხი გადაწყვეტილია. ახლა შესათანხმებელი მხოლოდ ტექნიკური დეტალები რჩება. ამისთვის დღეს ამერიკული "პი-ეი კონსალტინგის" მიერ მართული "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" (სგსე) გენერალური დირექტორი დინ უაითი გორში გაემგზავრება და ხეობების ენერგოკომპანიების წარმომადგენლებს შეხვდება.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების მიხედვით, ცხინვალის რეგიონში არსებული დიდი და პატარა ლიახვის ენერგოკომპანიების "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიასთან" შერწყმის საკითხი მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ 2005 წლის 14 იანვარს დაარეგისტრირა. ენერგოკომპანიის გენერალური დირექტორის განცხადებით, ეს ცვლილება პოზიტიურ შედეგებს გამოიღებს როგორც დიდი და პატარა ლიახვის აბონენტებისათვის, ასევე იქ არსებული ენერგოკომპანიების თანამშრომლებისთვისაც. **"ენერგოკომპანია დღეს კარგად არის მომზადებული ზუსტად გათვლილი ინვესტირებისთვის და სხვა სამუშაოების ჩასატარებლად,"** - განაცხადა უაითმა.

შეგახსენებთ, რომ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი "სგსე" 660 000-მდე აბონენტს ემსახურება. კომპანიის მომსახურების არეალი ფარავს საქართველოს ტერიტორიის 70 პროცენტს, რომლის უმეტესობა სასოფლო დასახლებებია.

რაც შეეხება მის მმართველს, "პი-ეი კონსალტინგი" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მართვას აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით ახორციელებს.

საკონსულტაციო კომპანია ზედამხედველობას უწევს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საქართველოს ენერგოუსაფრთხოების ინიციატივის რამდენიმე დიდ პროგრამას, საქართველოს ზამთრის გათბობის დახმარების, საკრედიტო სისტემის განვითარებისა და თემთა მობილიზების პროგრამის ჩათვლით.

# თბილისს ისევ დენის პრობლემა აქვს

ნიკა მარიამიძე

თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში შეზღუდვები კვლავ გრძელდება.

ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მიერ დადგენილ ლიმიტს კვლავ აპროტესტებს და, შექმნილი სიტუაციის გამოსწორების მიზნით, ბაზარს "რადიკალური ზომებისკენ" მოუწოდებს. ამასობაში, "თელასს" საბითუმო ბაზრის მიერ დადგენილი ლიმიტის გადახარჯვაში ადანაშაულებენ და შექმნილ კრიზისში დამნაშავედ თავად კომპანიას ასახელებენ.

სანამ "თელასი" საბითუმო ბაზარს "საქმეებს ურჩევს," რეგიონებში ვითარება მძიმდება. ჰიდრორესურსების მარაგის კლებისა და მოსალოდნელი დეფიციტის ფონზე, რეგიონების ურჩი გადამხდელი უბნები დაგეგმილზე კიდევ უფრო მკაცრ შეზღუდვებში ყვებიან. გუშინ, ელექტროენერგიის მოთხოვნით, ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქცია გამართა წალენჯიხის რაიონის დაბა ჯვარის მოსახლეობამ, რომელიც "ენგურჰესის" კაშხლის ძირში მდებარეობს. აქციაში დაახლოებით 500 ადამიანი მონაწილეობდა, რომლებმაც ზუგდიდი-წალენჯიხის ავტომაგისტრალი გადაკეტეს და ჯვარის ქვესადგურის შენობის ბლოკირება მოაწყვეს. ისინი აცხადებდნენ, რომ ბოლო რამდენიმე დღეა, ჯვარს ელექტროენერგია მხოლოდ 3 საათის განმავლობაში მიეწოდება.

ურჩ გადამხდელთა წინააღმდეგ ზომებს იძულებით ამკაცრებს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაც." კომპანიის წყალტუბოს მომსახურების ცენტრმა არგადამხდელი აბონენტები და ორგანიზაციები ქსელიდან გათიშა და მათ ჩართვას მხოლოდ დავალიანების დაფარვის შემდეგ აპირებს.

**"რაიონში გათიშულია დავალიანების მქონე ყველა ტრანსფორმატორი. მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობის გამო, ელექტროენერგიის მიწოდება შეწყვეტილი აქვს წყალტუბოს რაიონის სოფელ ფარცხანაყანებს. სოფელი თვეში დაახლოებით 150 ათას კილოვატსაათ ელექტროენერგიას მოიხმარს, გადახდის მაჩვენებელი კი თითქმის ნულის ტოლია. ამჟამად ენერგოკომპანიის მიმართ სოფლის მომხმარებელთა მიმდინარე დავალიანება დაახლოებით 19 ათას ლარს შეადგენს. აბონენტებს ელექტროენერგიის მიწოდება აღუდგებათ გასულ თვეში მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის დაფარვისთანავე, ან იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალურ გამრიცხველიანებაზე თანხმობას განაცხადებენ და შესაბამის თანხას გადაიხდიან,"** - ამბობენ კომპანიაში.

მათი ინფორმაციით, წყალტუბოს მომსახურების ცენტრის წარმომადგენლებისა და სოფელ ფარცხანაყანების მაცხოვრებელთა შეხვედრის შემდეგ ერთ-ერთი ტრანსფორმატორის აბონენტებმა გამრიცხველიანების სურვილი გამოთქვეს.

# საბანკო სექტორის ექსპერტები ახალ კოდექსში ორაზროვან მუხლებს ებრძვიან

დიანა ჩაჩუა

*საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსის მთავარი "ღირსებები", როგორც ჩანს, ეკონომიკის ზოგიერთი სფეროსთვის ნაკლებად მისაღებია. მეტიც: წინააღმდეგობაში მოდის თვით ამ სფეროს სპეციფიკასთან. სამწუხაროდ, აღნიშნული სფეროების კატეგორიას ქართული ფინანსური სისტემის უნიშვნელოვანესი რგოლი - საბანკო სექტორიც მიეკუთვნება. საყოველთაოდ ცნობილია მთავრობისა და ექსპერტების პოზიცია ახალ საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით, თუმცა ამჯერად "24 საათი" შეეცადა, კონკრეტულად საბანკო სექტორში დასაქმებული ადამიანების მოსაზრებები გაეგო.*

როგორც საბანკო სფეროში დასაქმებული ექსპერტები მიიჩნევენ, კოდექსის ზოგიერთი მუხლი თანამედროვე საბანკო ინსტრუმენტების შინაარსს ნაკლებად ითვალისწინებს. ეს კი, მათი აზრით, კოდექსში ცვლილებების შეტანის აუცილებლობას ერთი-ორად აძლიერებს.

საგადასახადო კოდექსის განხილვების პერიოდში საქართველოს ბანკების ასოციაციის საექსპერტო ჯგუფმა, რომელიც წევრი ბანკების წამყვანი სპეციალისტებისგან შედგება, საპარლამენტო განხილვებისთვის საქართველოს "საგადასახადო კოდექსში" ცვლილებებისა და დამატებების პროექტი მოამზადა. პროექტი საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გაეგზავნა. თუმცა, როგორც ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ცუცქირიძემ განაცხადა, საბანკო საზოგადოების მიერ მთავრობისთვის შეთავაზებული ცვლილებების ნაწილი კოდექსის საბოლოო რედაქციაში არ გაითვალისწინეს. **"გაუთვალისწინებელი დარჩა მთელი რიგი წინადადებებისა, რომელთა არსებული სახით დატოვებაც, ჩვენი აზრით, ახლო მომავალში მკვეთრად უარყოფით შედეგებს გამოიღებს,"** - განაცხადა გიორგი ცუცქირიძემ "24 საათთან" საუბრისას.

შენიშვნები ეხება მუხლებს, როგორც ადმინისტრირების, ისე ანგარიშსწორების კუთხით. როგორც ცუცქირიძემ აღნიშნა, უკმაყოფილებას იწვევს 70-ე მუხლი, რომელიც საგადასახადო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით ბანკებისა და სხვა ორგანიზაციების ვალდებულებებს ეხება. მუხლის ერთ-ერთ პუნქტში ნათქვამია, რომ **"გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის, სხვა ვალდებული პირის ანგარიშზე ფულადი სახსრების არსებობისას, ბანკს უფლება არა აქვს, შეაფერხოს გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის, სხვა ვალდებული პირის საგადახადო დავალება ან საგადასახადო ორგანოს საინკასო დავალება შესაბამის ბიუჯეტში გადასახადის ჩარიცხვის თაობაზე."**

**"მოცემული პუნქტის მიხედვით, ცალსახად იკვეთება შემდეგი - საინკასო დავალება ნაღდდება კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან, მიუხედავად ამ ანგარიშის სტატუსისა, რაც პირდაპირ კავშირშია დეპოზიტების ანგარიშებთან, რომელიც კლენტებს ბანკში აქვთ გახსნილი,"** - განაცხადა ცუცქირიძემ. მისი თქმით, მოცემული პუნქტის მიხედვით, ბანკის საკუთრების არაკანონიერი მითვისება ხდება და, შესაბამისად, ირღვევა კანონი და ბანკის უფლებები.

**"საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 874-ე და 875-ე მუხლების მიხედვით ვადიან ანაბარზე საკუთრების უფლებას ბანკი ანაბრის ვადის გასვლამდე მოიპოვებს, აქედან გამომდინარე, იქ, სადაც საუბარია გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის, სხვა ვალდებული პირის ანგარიშზე ფულადი სახსრების არსებობის შემთხვევაზე, აუცილებლად უნდა იყოს ჩანაწერი, გარდა ვადიანი ანაბრების ანგარიშებისა,"** - განმარტა ცუცქირიძემ.

შენიშვნებია საგადასახადო კოდექსში ანგარიშსწორების კიდევ ერთი მუხლის მიმართ. საბანკო ანგარიშიდან გადასახადის, საურავისა და ჯარიმის თანხების ჩამოწერის შესახებ მუხლში არის ერთი პუნქტი, რომელიც, ცუცქირიძის აზრით, კორექტივებს საჭიროებს. ციტატა დებულებიდან: **"საგადასახადო ორგანოს საინკასო დავალებას გადასახადის, საურავისა და ჯარიმის თანხების შესაბამის ბიუჯეტებში ჩარიცხვის შესახებ საბანკო დაწესებულება უპირობოდ ასრულებს."** ამის მიხედვით, თუ კლიენტის საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალება დაიდება საგადასახადო და სააღსრულებლო ორგანოების მიერ და, ამავე დროს, კლიენტი ოპერაციის შესრულების თაობაზე თავის საგადასახადო დავალებას წარადგენს, მაშინ ბანკი ვალდებულია, პირველ რიგში, კლიენტის მიერ წარმოდგენილი საგადასახადო დავალება შეასრულოს. ყოველივე ეს, საქართველოს ბანკების ასოციაციის პოზიციით, წინააღმდეგობაში მოდის არსებულ კანონმდებლობასთან. კერძოდ, ცუცქირიძე აცხადებს, რომ საინკასო დავალება, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, პირველი რიგის შესასრულებელ დავალებას წარმოადგენს და საინკასო დავალების შესრულება არ უნდა იყოს პრივილეგირებული მისი წარმომდგენის მიხედვით. **"გარდა ერთი შემთხვევისა, როდესაც საინკასო დავალებას საქართველოს ეროვნული ბანკი წარმოადგენს. ეს უკანასკნელი სხვა ორგანოების მიერ წარმოდგენილ ინკასოებთან შედარებით, უპირატესი უფლებით სარგებლობს. ხოლო, როცა საქმე გვაქვს საგადასახადო, სააღსრულებო, საბაჟო და სხვა ორგანოების მიერ წარმოდგენილი ინკასოების შესრულებასთან, საინკასო დავალების განაღდება რიგისობის მიხედვით ხორციელდება, რადგან სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ კანონი, საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კოდექსი თანაბარი ძალის საკანონმდებლო აქტებს წარმოადგენენ,"** - დააკონკრეტა ცუცქირიძემ. მისივე თქმით, მოცემული განმარტება საინკასო დავალების შესრულების წესს არსებულ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში მოიყვანს.

თუმცა, საბანკო სექტორის მხრიდან შენიშვნები საგადასახადო კოდექსის ადმინისტრირების ნაწილის მისამართითაც ისმის. კოდექსის 140-ე და 142-ე მუხლები, ცუცქირიძის აზრით, ბანკებისთვის პრინციპულად მიუღებელ მუხლებს წარმოადგენს. **"მოცემული მუხლებით ჯარიმების გაუმართლებლად მაღალი დონეა დადგენილი. მაგ: თუ საგადასახადო ორგანო ინკასოს დაადებს კლიენტის ანგარიშს და პირობითად ჩაერიცხება კლიენტს ანგარიშზე 1 თეთრი, ხოლო ბანკი არ გაანაღდებს ამ 1 თეთრს, მოცემულ ბანკს დაერიცხება წლიური 730 პროცენტი ჯარიმა ინკასოს თანხაზე ანუ 7 300 000 ლარი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ნებისმიერი ბანკის მყისიერი გაკოტრება და ა.შ."** - განაცხადა საქართველოს ბანკების ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა. ცუცქირიძე მიიჩნევს, რომ პრობლემიდან გამოსავალი შემდეგში მდგომარეობს: 141-ე და 142-ე მუხლების მე-3 და მე-4 პუნქტებში ნებისმიერი საჯარიმო სანქცია, გასავლის ოპერაციიდან გამომდინარე, 10 პროცენტით უნდა შემცირდეს. **"ეს ვარიანტი ბანკებისათვის მისაღები იქნება,"** - დასძინა ცუცქირიძემ.

საგადასახადო კოდექსში ბუნდოვანი მუხლების არსებობას ბანკებიც აღიარებენ. **"რამდენადაც საგადასახადო განაკვეთების შემცირება ცალსახად ბიზნესის სტიმულირების ფაქტორად უნდა განვიხილოთ, იმდენად სამწუხაროა, რომ ახალ საგადასახადო კოდექსში ჯერ კიდევ შემორჩა ე.წ. "ბუნდოვანი მუხლები," რომელიც სხვადასხვა ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა,"** - აცხადებენ "თი-ბი-სი" ბანკში. ბანკის ვიცე-პრეზიდენტი ვანო ბალიაშვილი ბუნდოვან მუხლებს საბანკო დაწესებულებების მიერ კლიენტების ანგარიშების გახსნის წესს მიაკუთვნებს. მისი თქმით, შემოტანილია ე.წ. "საბანკო ანგარიშის" ცნება, რომლის განმარტება არ არის მოცემული, რაც გაურკვეველს ხდის, ბანკში არსებული სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების ანგარიშებიდან კონკრეტულად რომელი ტიპის ანგარიშზეა საუბარი. **"ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური ხდება იმ ფონზე, როდესაც ჯარიმების ოდენობა საბანკო დაწესებულებებისათვის ზოგიერთი ტიპის საოპერაციო შეცდომებზე (და არა გადასახადის დამალვაზე) არამართლზომიერად დიდია - დღეში თანხის 2 პროცენტი, რაც, ჩვენი აზრით, არ შეესაბამება დარღვევის სიმძიმის ხარისხს,"** - აღნიშნა ბალიაშვილმა.

"24 საათთან" საუბრის ბოლოს საბანკო სფეროს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აუცილებლად მიიღებენ მონაწილეობას საგადასახადო კოდექსისთვის ცვილებების მომზადებაში. **"ჩვენი აზრით, აუცილებელია ინტენსიური და კონცენტრირებული მუშაობა წარიმართოს საგადასახადო კოდექსის იმ მუხლების გამოსავლენად, რომლებიც ცალსახად აღქმადი არ არის, რათა შემდგომში მოხდეს მათი სათანადო რედაქტირება. ეს, ერთის მხრივ, თავიდან აგვაცილებს კეთილსინდისიერი გადამხდელისათვის მოულოდნელი და არასამართლიანი ფინანსური სანქციების წარმოშობას, ხოლო მეორეს მხრივ, შეამცირებს მსგავს მუხლებთან დაკავშირებული კორუფციული გარიგებების ალბათობას,"** - განაცხადა "თიბისი" ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა. საქართველოს ბანკების ასოციაციაც, თავის მხრივ, აცხადებს, რომ მზად არის ითანამშრომლოს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ბიზნესფედერაციასთან, პარლამენტთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რათა ახალ საგადასახადო კოდექსში სათანადო ცვლილებების შეტანა შესაძლებელი გახდეს.

BR ბანკი რესპუბლიკა




ბანკი "რესპუბლიკა"
ყველაზე ეფექტური
ფინანსური ინსტიტუტი

2004 წელი
აქტივები = 129 028 334
გადახდილი გადასახადები = 2 917 950
წმინდა მოგება = 6 529 776

ბანკი "რესპუბლიკა", თბილისი, გრ.აბაშიძის ქ. 2 ტელ.: (995 32) 294598 ფაქსი: 227566 www.republic.ge

## განცხადება თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატისათვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკის შესასყიდად ტენდერის გამოცხადების შესახებ

1. ქალაქ თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატი აცხადებს ღია ტენდერს აპარატისათვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკის შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტრესებულ პირს.

შესასყიდია:

| დასახელება | მონაცემები | სასურველია მსგავსი |
|---|---|---|
| CPU | 2.40Ghz/400/256K 478pin Box | Intel/Celeron |
| Motherboard | P4BP-MX | ASUS |
| Memory | DDR DIMM 184pin/ 256MB/ PC2700 | Transcend |
| HDD | 40 Gb 7200RMP | |
| Monitor | 17" Flat ,0,22/1024x768 85Hz | |
| LAN | Integrated 10/100 | |
| VGA | Integrated 64MB | |
| Sound | Integrated | |
| FDD | FDD 3.5" 1.44MB | |
| CD Drive | CD-ROM 52x | |
| Power Supply | 300w | ATX |
| UPS | 600W | |
| Mouse | Optical +Eye PS/2 | Genius/ Net scroll |
| Keyboard | KB-06 PS/2 | Genius |
| Speaker | SP-Q06s | Genius |
| Cooler | | Celeron titanum |

- 70 ცალი პერსონალური კომპიუტერი (P4) შემდეგი კონფიგურაციით:
- **20** ცალი შავ-თეთრი ლაზერული პრინტერი. სასურველია hp 1010-ის მსგავსი.

2. მიწოდების სავალდებულო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 50 დღის განმავლობაში. ტენდერში გამარჯვებულის მიერ კომპიუტერული ტექნიკის მიწოდება განხორციელება ეტაპობრივად, შემსყიდველის მიერ მიმწოდებელზე გადაცემული ტექნიკური დავალების საფუძველზე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 4 მარტის 1000 საათიდან 8 მარტის 1700 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, საკრებულოსა და მთავრობის აპარატი.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მათი ხელმძღვანელები 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2 ფიზიკური პირისათვის:

a) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

b) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ არა უგვიანეს 10 მარტის 1000 საათიდან 14 მარტის 1700 საათის ჩათვლით, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, საკრებულოსა და მთავრობის აპარატი. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: რუსუდან გელბახიანი - 99 53 26 და გიორგი ბეჟიტაშვილი 93 37 90, მისამართზე ქალაქი, თბილისი, თავისუფლების მოედანი N2 საკრებულოსა და მთავრობის აპარატი.

*სატენდერო კომისია*

## განცხადება თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატისათვის საჭირო სამსახურებრივი ავტომანქანების შესასყიდად ტენდერის გამოცხადების შესახებ

**1.** ქალაქ თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატი აცხადებს ღია საერთაშორისო ტენდერს აპარატისათვის საჭირო სამსახურებრივი ავტომანქანების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვა ხორციელდება შემდეგი პოზიციების (ლოტების) მიხედვით:**

**I ლოტი - 2 ცალი ზედა-საშუალო კლასის მსუბუქი ავტომანქანა:**

ძარა - სედანი; ძრავის მოცულობა - 6 ცილინდრი, არანაკლებ 2,4-3,0 ლიტრი, არანაკლებ 160-190 ცხენის ძალა; გადაცემათა კოლოფი -ავტომატური; სალონი - ტყავის; უსაფრთხოების მინიმუმ 4 ბალიში; გამოშვების წელი - 2005; განბაჟებული; გარანტია არანაკლებ ორი წელი; საგარანტიო მომსახურების პერიოდში უფასო დიაგნოსტიკა; სრული ელექტრო პაკეტი; ცენტრალური საკეტი დისტანციური პულტით, მოცურების საწინააღმდეგო ელექტრონული სისტემა, სიგნალიზაცია, კონდიციონერი, ბენზინის ძრავი, 4 კარი, მაღალი კლირენსი, გაძლიერებული დაკიდება, საჭის ჰიდრო გამაძლიერებელი; ალუმინის დისკები, აუდიოსისტემა.

**- 2 ცალი ზედა-საშუალო კლასის მსუბუქი ავტომანქანა:**

ძარა - სედანი; ძრავის მოცულობა - 6 ცილინდრი, არანაკლებ 2,4-3,0 ლიტრი, არანაკლებ 160-190 ცხენის ძალა. გადაცემათა კოლოფი - 5 საფეხურიანი მექანიკა; სალონი - ნაჭრის; უსაფრთხოების მინ. 4 ბალიში; გამოშვების წელი - 2005; გარანტია არანაკლებ ორი წელი; საგარანტიო მომსახურების პერიოდში უფასო დიაგნოსტიკა; სრული ელექტრო პაკეტი; ცენტრალური საკეტი დისტანციური პულტით, მოცურების საწინააღმდეგო ელექტრონული სისტემა, სიგნალიზაცია, კონდიციონერი, ბენზინის ძრავი, 4 კარი, მაღალი კლირენსი, გაძლიერებული დაკიდება, საჭის ჰიდრო გამაძლიერებელი, ალუმინის დისკები; აუდიოსისტემა.

**II ლოტი - 18 ცალი ქვედა-საშუალო კლასის მსუბუქი ავტომანქანა:**

ძარა - სედანი; ძრავის მოცულობა - 4 ცილინდრი, არანაკლებ 1,6-2,0 ლიტრი, არანაკლებ 110 ცხენის ძალა, გადაცემათა კოლოფი - 5 საფეხურიანი მექანიკა; სალონი - ნაჭრის, უსაფრთხოების მინ. 4 ბალიში; გამოშვების წელი - 2005; გარანტია არანაკლებ ორი წელი; საგარანტიო მომსახურების პერიოდში უფასო დიაგნოსტიკა; სრული ელექტრო პაკეტი; ცენტრალური საკეტი დისტანციური პულტით, მოცურების საწინააღმდეგო ელექტრონული სისტემა, სიგნალიზაცია, კონდიციონერი, ბენზინის ძრავი, 4 კარი, მაღალი კლირენსი, გაძლიერებული დაკიდება, საჭის ჰიდრო გამაძლიერებელი, ალუმინის დისკები, აუდიოსისტემა.

**- 7 ცალი კომპაქტ კლასის მსუბუქი ავტომანქანა:**

ძარა - სედანი; ძრავის მოცულობა - 4 ცილინდრი, არანაკლებ 1,4-1,6 ლიტრი, არანაკლებ 75 ცხენის ძალა. გადაცემათა კოლოფი - 5 საფეხურიანი მექანიკა; სალონი - ნაჭრის; უსაფრთხოების მინ. 1 ბალიში; გამოშვების წელი - 2005; გარანტია არანაკლებ ორი წელი; საგარანტიო მომსახურების პერიოდში უფასო დიაგნოსტიკა; ელექტრო პაკეტი; ცენტრალური საკეტი დისტანციური პულტით, გატაცების საწინააღმდეგო სისტემა, კონდიციონერი, ბენზინის ძრავი, 4 კარი, მაღალი კლირენსი, გაძლიერებული დაკიდება, საჭის ჰიდრო გამაძლიერებელი.

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 63 დღისა.

**3.** დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ და საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ (უცხო ქვეყნის წარმომადგენლების მონაწილეობის შემთხვევაში ინგლისურ) ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 4 მარტის 10:00 სთ-დან **8 მარტის 17:00 სთ-მდე** შემდეგ მისამართზე: ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, საკრებულოსა და მთავრობის აპარატი.

უცხო ქვეყნის წარმომადგენლების მიერ ინგლისურ ენაზე წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებს თან უნდა ახლდეს მათი ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას*:

**4.1** იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია

ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მათი ხელმძღვანელები 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2** ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**4.3** როგორც იურიდიული ისე ფიზიკური პირისათვის:

ა) ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნის სახით, ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების მითითებით;

**5.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**6.** სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს მონაწილეობის მსურველის სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს.

**7.** ტენდერში მონაწილეობისათვის დაიშვებიან მწარმოებლის ოფიციალური დილერები (დისტრიბუტორები), რაზედაც უნდა იყოს წარმოდგენილი შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ხელშეკრულება, ცნობა, მინდობილობა, სერთიფიკატი ან სხვა).

**8.** ტენდერში მონაწილეობის მსურველებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისად აღჭურვილი და ლიცენზირებული ავტოსატრანსპორტო საწარმო თბილისში, რომელშიც განხორციელდება ავტომანქანების გარანტიული მომსახურება (უნდა იყოს წარმოდგენილი ლიცენზიის დამოწმებული ასლი და ინფორმაცია საწარმოს შესახებ);

**9.** სასურველია წარმოდგენილ იქნეს შესაბამის სფეროში არსებული გამოცდილება.

**10.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ არა უგვიანეს 10 მარტის 10:00 საათიდან 11 მარტის 17:00 საათის ჩათვლით, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, საკრებულოსა და მთავრობის აპარატი. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

**11.** ტენდერში საქართველოსა და უცხო ქვეყნების პრეტენდენტების მონაწილეობის შემთხვევაში, საქართველოში რეგისტრირებული პირების მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების ფასის მიმართ გამოყენებული იქნება პრეფერენციული შეღავათი 15%-ის ფარგლებში.

**12.** ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი ან ორი გამარჯვებულის გამოვლენა ლოტების მიხედვით.

**13.** ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი.

**14.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: რუსუდან გელბახიანი - 995326 და გიორგი ბეჟიტაშვილი 933790, მისამართზე: ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, საკრებულოსა და მთავრობის აპარატი.

* უცხო ქვეყნის წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

*სატენდერო კომისია*

## განცხადება თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატის სამსახურებრივი ავტომანქანებისათვის საჭირო საწვავი მასალების შესასყიდად ტენდერის გამოცხადების შესახებ

**1.** ქალაქ თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატი აცხადებს ღია ტენდერს აპარატის ბალანსზე რიცხული სამსახურებრივი ავტომანქანებისათვის საჭირო საწვავი მასალების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესასყიდია: 95 000 ლიტრი საწვავი - ბენზინი პრემიუმი - აი-95.**

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 1 იანვრამდე. ტენდერში გამარჯვებულის მიერ საწვავი მასალების მიწოდება განხორციელება ეტაპობრივად, შემსყიდველის მიერ მიმწოდებელზე გადაცემული ტექნიკური დავალების საფუძველზე, შესაბამისი საწვავის ბარათებით. მიწოდების ადგილია მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგური. სასურველია, რომ მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურები მდებარეობდეს ქალაქის ცენტრალურ რაიონებში.

**3.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 4 მარტის 1000 საათიდან 8 მარტის 1700 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, საკრებულოსა და მთავრობის აპარატი.

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1** იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მათი ხელმძღვანელები 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2** ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**5.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**6.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, შეეძლებათ არა უგვიანეს 10 მარტის 1000 საათიდან 14 მარტის 1700 საათის ჩათვლით, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

**7.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: რუსუდან გელბახიანი - 995326 და გიორგი ბეჟიტაშვილი 933790, მისამართზე: ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი N2 საკრებულოსა და მთავრობის აპარატი.

*სატენდერო კომისია*

## განცხადება

**თბილისის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში სასადილოს (კაფეტერიის) მართვით ან იჯარით გაცემასთან დაკავშირებით**

ქალაქ თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატი აცხადებს კონკურსს თბილისის მერიის ადმინისტრაციული შენობის სასადილო ფართის იჯარით ან სასადილოს მართვის უფლების აღებით დაინტერესებულ იურიდიულ პირთა შორის.

1. დაინტერესებულმა იურიდიულმა პირებმა თავიანთი მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2005 წლის 1 - 7 მარტს 13:00 საათიდან 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, საკრებულოსა და მთავრობის აპარატის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამსახური.

2. იურიდიულ პირთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან კვალიფიკაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანქციის საქმე;

ბ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მათი ხელმძღვანელები 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

3. კონკურსის პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ მოკლე გეგმა და პირობები, რომლითაც ისინი აპირებენ სასადილოს მართვას.

**4. კონკურსში მონაწილეობის მსურველებს დოკუმენტაციის წარდგენამდე ნება ეძლევათ დაათვალიერონ საკონკურსე ფართი და ადგილზე მიიღონ დამატებითი ინფორმაცია.**

5. იურიდიული პირი ვერ მიიღებს კონკურსში მონაწილეობას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-2 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან:

**ბესო ჯიქურაული, საკონტაქტო ტელეფონი - 98 82 14, 899 42 47 74;**
**ვალერი დადიანიძე, საკონტაქტო ტელეფონი - 98 82 14, 893 35 84 97.**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## მოწვევა ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პროექტი "ილია ჭავჭავაძე" კომპიუტერული ტექნიკისა და საოფისე მოწყობილობის მოწოდება (GEP/G/003/ICB/2005) კრედიტი N. 3474 GE




საქართველოს მთავრობამ მიიღო კრედიტი განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან პროექტისათვის "ილია ჭავჭავაძე" და გამიზნული აქვს ამ კრედიტის ნაწილი გამოიყენოს კომპიუტერული ტექნიკისა და საოფისე მოწყობილობის მოწოდებაზე.

ტენდერი ჩატარდება საერთაშორისო ტენდერის პროცედურების გამოყენებით, რომელიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში *"შესყიდვები რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხებისა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტების გამოყენებით (გამოცემულია 1995 წლის იანვარში, ცვლილებები შეტანილია 1996 წლის იანვარსა და აგვისტოში, 1997 წლის სექტემბერში და 1999 წლის იანვარში)"*. ტენდერში მონაწილეობა შეუძლია ყველა დაინტერესებულ კომპანიას.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია და გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის ოფისში ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 სთ-დან - 18:00 სთ-მდე.

სატენდერო დოკუმენტაციის (ინგლისურ ენაზე) სრული პაკეტის შეძენა შესაძლებელია ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარდგენისა და 100 (ასი) აშშ დოლარის ან ეკვივალენტური თანხის ლარებში გადახდის საფუძველზე. გადახდის მეთოდია პირდაპირი დეპოზიტი ან გადარიცხვა შემდეგ ანგარიშზე:

**სააქციო საზოგადოება "ბაზის ბანკი"**
**ანგარიშის N133052, ბანკის კოდი: 220101956**

დაინტერესებულ კომპანიებს სატენდერო დოკუმენტაციის პაკეტი გაეგზავნებათ ექსპრეს ფოსტისა და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

სატენდერო წინადადებები წარდგენილი უნდა იყოს ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე არაუგვიანეს 2005 წლის 4 აპრილის 17:00 საათისა. ყოველ სატენდერო წინადადებას თან უნდა ერთვოდეს სატენდერო წინადადების გარანტია 6000 (ექვსი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით, ან ეკვივალენტური თანხა ლარებში. აღნიშნულ ვადაზე გვიან მიღებული წინადადებები არ განიხილება. სატენდერო წინადადებები გაიხსნება ქვემოთ მოცემულ მისამართზე ტენდერის მონაწილეთა წარმომადგენლების თანდასწრებით 2005 წლის 4 აპრილს, 17:00 საათზე:

**საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი**
საკონტაქტო პირი: **ქ-ნი თეა კვინტრაძე**
0102 თბილისი
უზნაძის ქ. N52, ოთახი N102
ტელეფონი: + (995 32) 95 98 37
ფაქსი: + (995 32) 95 83 13
ელ.ფოსტა: GEP@mes.gov.ge

# ზელიმხან იანდარბიევის მკვლელები დაიკარგნენ(?!)

**ჩეჩენ მეამბოხეთა ერთ-ერთი ლიდერის ზელიმხან იანდარბიევის მკვლელობაში კატარის სასამართლოს მიერ დადანაშაულებული, რუსეთის ორი მოქალაქე, რუსეთში გადმოყვანის შემდეგ გაქრა. ეს ფაქტი რუსეთის ხელისუფლებას საერთაშორისო სკანდალს უქადის.**



*ზელიმხან იანდარბიევი კატარის დედაქალაქში ააფეთქეს.*

ანატოლი იაბლოჩკოვი და ვასილი პუგაჩოვი (იგივე ანატოლი ბელაშკოვი და ვასილი ბოგაჩოვი), რომლებიც კატარის სასამართლომ ზელიმხან იანდარბიევის მკვლელობისთვის გაასამართლა, მას შემდეგ დაიკარგნენ, რაც კატარის ხელისუფლებამ ისინი რუსეთის ხელისუფლებას გადასცა, რომელსაც, თავის მხრივ, მათთვის მისჯილი სასჯელის მოხდა რუსეთში უნდა უზრუნველეყო. მსჯავრდებულების სამშობლოში გამგზავრებას საფუძვლად ორმხრივი ხელშეკრულება და, შესაბამისად, მხარეების მიერ აღებული ვალდებულებები ედო. რუსეთის მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობას, გამორიცხული არ არის, საერთაშორისო სკანდალი მოჰყვეს, მით უმეტეს, რომ იაბლოკოვისა და პუგაჩოვის ბრალდებებს შორის მთავარი ადგილი ტერორიზმს უჭირავს. სკანდალი გარდაუვალია იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული წყვილის დაკარგვის თაობაზე არაფერი გაირკვა. ჯერჯერობით კი, მათი ადგილსამყოფელი უცნობია.

"იანდარბიევის მკვლელობის გამო კატარში გასამართლებული, რუსეთის ორი მოქალაქის შესახებ არაფერი ვიცი. ჩვენთან ისინი არ არიან," - ამბობს რუსეთის ფედერაციის სასჯელაღსრულების სამსახურის უფროსი იური კალინინი. ის არ გამორიცხავს, რომ, შესაძლოა, ჯერ კიდევ გვარდება რაღაც ფორმალობები, ანდა მსჯავრდებულები სადმე მკურნალობის კურსს გადიან. კალინინი ასევე უაპელაციოდ აცხადებს, რომ "კატარის სასამართლოს განაჩენი რუსეთში ადამიანის დაკავებისთვის არანაირ საფუძველს არ წარმოადგენს" და ამიტომ, არც იმას გამორიცხავს, რომ იაბლოკოვი და პუგაჩოვი სულაც გაათავისუფლეს.

როგორც ცნობილია, იჩკერიის არაღიარებული რესპუბლიკის ექსპრეზიდენტის ჯიპი კატარის დედაქალაქში - დოჰაში 2004 წლის 13 თებერვალს ააფეთქეს. იანდარბიევის მკვლელობაში არსებულ რუსულ კვალზე კატარის სპეცსამსახურები იმთავითვე ალაპარაკდნენ და 19 თებერვალს დააკავეს კიდეც ტერაქტის მოწყობაში ეჭვმიტანილები - რუსეთის საელჩოს სამი თანამშრომელი. თუმცა, ერთ-ერთ მათგანს, რუსეთის საელჩოს პირველ მდივანს, დიპლომატიური იმუნიტეტი იცავდა, რის გამოც იგი გაათავისუფლეს, თუმცა კი ქვეყნიდან განდევნეს. დანარჩენი ორი კი კატარის სასამართლოს წინაშე წარდგა. სასამართლო ვერდიქტის თანახმად, მათ სამუდამო პატიმრობა მიესაჯათ. ამასთანავე, მნიშვნელოვანი გახლდათ ის დასკვნა, რომელიც სასამართლომ საქმის მოსმენისას გამოიტანა. კერძოდ, ის, რომ იანდარბიევის ლიკვიდაციის შესახებ განკარგულება რუსეთის ხელისუფლების პირველმა პირებმა გასცეს. ოფიციალური მოსკოვი ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფდა, რუსმა დიპლომატებმა კი ძალა არ დაიშურეს, რომ უიღბლო ამფეთქებლები კატარიდან გამოეხსნათ. მით უმეტეს, რომ კატარის სასამართლომ მსჯავრდებულთა ადვოკატების სააპელაციო სარჩელი არ დააკმაყოფილა და ძალაში დატოვა განაჩენი სამუდამო პატიმრობის შესახებ, რაც კატარის კანონმდებლობის თანახმად, 25-წლიან პატიმრობას გულისხმობს.

განაჩენის გამოტანიდან, სულ რაღაც, ერთ თვეში რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა იგორ ივანოვმა კატარის მონარქთან შეხვედრას მიაღწია. შეხვედრაზე კი მიღწეულ იქნა შეთანხმება რუსეთის მსჯავრდებული მოქალაქეების სამშობლოში გადაყვანის და დარჩენილი სასჯელის რუსეთის ციხეში მოხდის შესახებ.

"მზვერავების სამშობლოში დაბრუნება მოხერხდა, - წერს რუსული ინეტრნეტ-გაზეთი "გაზეტა.რუ", - ანატოლი იაბლოჩკოვი და ვასილი პუგაჩოვი მოსკოვში ავიაკომპანია "როსიას" სპეცრეისით ჩაიყვანეს და მათ დასახვედრადაც შესაშური ზომები მიიღეს - ტრაპიდანვე წითელი ხალიჩის ბილიკი გაუშალეს."

მზვერავების დაბრუნებისთანავე საადვოკატო ბიურომ, რომელიც კატარის სასამართლოში რუსეთის მოქალაქეების ინტერესებს იცავდა, გაავრცელა ოფიციალური განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ "კატართან მიღწეული ურთიერთგაგება იძლევა საშუალებას, რომ ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფთა მომავალი რუსეთის სასამართლომ რუსეთის კანონმდებლობის თანახმად განსაზღვროს."

შესაბამისად, არ არის გამორიცხული, რომ იაბლოჩკოვისა და პუგაჩოვის ბედი რუსეთის სასამართლომ უკვე გადაწყვიტა, თანაც ისე, რომ ფართო საზოგადოების საქმის კურსში ჩაყენება საჭიროდ არ ჩაუთვლია. არც ის გამოირიცხება, რომ მსჯავრდებულები იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ რომელიმე სასჯელაღსრულებითი დაწესებულების ნაცვლად, სასჯელს უშიშროების სამსახურის რომელიმე წინასწარი დაკავების იზოლატორში იხდიან, რაც იმთავითვე დარღვევაა. რუსეთის ხელისუფლებისთვის, რომელმაც იანდარბიევის მკვლელების კატარიდან გამოსახსნელად ძალ-ღონე არ დაიშურა, შესაძლოა, პრობლემად არც ეს ქცეულიყო. თუმცა, არც ის გახლავთ უყურადღებოდ დასატოვებელი ფაქტი, რომ ორი რუსი მზვერავის მიერ სასჯელის სრულად მოხდისათვის (იმ შემთხვევაში, თუ კატარის ამირა მათ არ შეიწყალებდა) მეთვალყურეობა გაერო-ს სპეციალურ კომისიას უნდა გაეწია.

შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ მზვერავების გაუჩინარებას საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან გამოხმაურება ნამდვილად მოჰყვება.

**24 საათი**

# საქართველოს მართლმსაჯულებისა და უხუცესთა სასამართლოსგან მიღებული იმედგაცრუება

*ახმეტის რაიონის სოფელ ჯოყოლოს მკვიდრმა, ფოსტის ყოფილმა გამგემ ესმა ცათიაშვილმა, რომელიც სხვისი ქონების მითვისების ბრალდებით ქალთა კოლონიაში სასჯელს იხდიდა, სულ რამდენიმე თვეა, რაც ციხე დატოვა. იგი აცხადებს, რომ მისი თანამდებობით ბოროტად სხვა ჩინოვნიკებმა ისარგებლეს, მას კი სასჯელი ტყუილად მოახდევინეს. საქმე ეხება 126 პენსიონერის კუთვნილ თანხას, რომელიც, ესმა ცათიაშვილის თქმით, მან, ზეწოლის შედეგად, საკუთარი ხელით გადასცა თავისივე სოფლის გამგებელს, კახეთის სამხარეო პოლიციის მთავარი ინსპექტორის ძმას, ზაურ ცათიაშვილს. საქმის გამოძიება კი, როგორც დანაშაულში ბრალდებული ფოსტის გამგე ამბობს, ახმეტის პროკურორის მოადგილემ, დავით მაისურაძემ არასწორად წარმართა. ამჯერად საქმე ქისტურმა სახალხო "სასამართლომ" განიხილა და უპირატესობა აქაც კვლავ ზაურ ცათიაშვილს მიენიჭა. პანკისში კი საუბრობენ, რომ ქისტურ "მართლმსაჯულებაში" ბზარი გაჩნდა, რადგან სოფლის თავკაცმა ყურანზე ტყუილად დაიფიცა. ესმა ცათიაშვილი კი ფარ-ხმალის დაყრას არ აპირებს.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

ყველაფერი 2002 წლის 10 სექტემბერს დაიწყო, როცა სოფელ ჯოყოლოს თემის საფოსტო განყოფილებაში ხუთი სოფლის - ბირკიანის, ომალოს, დუმასტურის, ჯოყოლოსა და ძიბახევის წლების წინ ვალად დადებული ერთი თვის პენსია შევიდა. თანხა, რომლიც 6 100 ლარს შეადგენდა 126 პენსიონერზე უნდა განაწილებულიყო, მაგრამ, სოფელ ჯოყოლოს საკრებულოს თავმჯდომარის უშუალო ჩარევით, აღნიშნული თანხა ადრესატამდე არ მისულა. მოვლენები თანხის მითვისებასთან დაკავშირებით კი ასე განვითარდა. **"როდესაც საკრებულოს თავმჯდომარემ ზაურ ცათიაშვილმა გაიგო, რომ პენსიები შემოვიდა და განაწილება განყოფილებაში მყოფ პენსიონერებზე დავიწყე, მისი მოადგილე მოვიდა და თანხის გაცემის შეჩერება კატეგორიულად მომთხოვა. მიზეზს კი იმით განმარტავდა, რომ ეს მისი უფროსის ბრძანება იყო. მიუხედავად ამისა, მე მის კატეგორიულობას არ დავემორჩილე და პენსიონერებზე კუთვნილი თანხების გაცემა დავიწყე,"** - იხსენებს ფოსტის ყოფილი გამგე ესმა ცათიაშვილი. იმის გამო, რომ ცათიაშვილი სოფლის თავკაცის ბრძანებას არ დაემორჩილა, ცოტა ხანში განყოფილებაში თვით ზაურ ცათიაშვილი მიდის და ბრძანებას პენსიების გაცემის შეჩერების თაობაზე უკვე თავად გასცემს, რისთვისაც იგი ესმა ცათიაშვილს კაბინეტში იბარებს და მიზეზს განუმარტავს. **"იგი ჩემგან მოითხოვდა, რომ 3 700 ლარი ამელო და მისთვის მიმეცა, თანაც ისე, რომ არავის გაეგო, რადგან მის თანამდებობას საფრთხე ემუქრებოდა. ზაურმა მითხრა, რომ იმ შემთხვევაში, თუ მიწის გადასახადებს არ გადაიხდიდა, რომელიც 5 ათას ლარს შეადგენდა, მას გაათავისუფლებდნენ. მე, რა თქმა უნდა, კატეგორიულ უარზე ვიყავი,"** - ამბობს ესმა ცათიაშვილი. თუმცა, ბოლოს გარიგება მაინც შედგა. ფოსტის გამგემ სოფლის თავკაცს თანხა თავად გადასცა. ვალის გასტუმრებას კი ჯოყოლოს გამგებელი ერთ კვირაში დაჰპირდა, მაგრამ პირობა პირობად დარჩა.

ფოსტის გამგე ჯოყოლოს საკრებულოს თავმჯდომარისგან ვალის დაბრუნებას კატეგორიულად მოითხოვდა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ვითარებაში გასარკვევად გვარის უხუცესები ჩაერივნენ. ზაურ ცათიაშვილი კი ესმა ცათიაშვილს უთვლიდა, რომ მის საწინააღმდეგოდ მას არანაირი დოკუმენტები არ გააჩნდა და თუ არ გაჩერდებოდა, ციხეში გამოამწყვდევდა. ესმა ცათიაშვილის თქმით, მან პირობა შეასრულა კიდეც. ჯოყოლოს გამგებელმა ძმის, დავით ცათიაშვილის წყალობით, რომელიც სამხარეო პოლიციაში უფროს ინსპექტორად მუშაობდა, საწადელს მიაღწია და ფოსტის გამგე ციხეში გამოამწყვდია. გარდა ამისა, ესმა ცათიაშვილის თქმით, ზაურ ცათიაშვილს ზურგს დეპუტატი პავლე ცაძიკიძეც უმაგრებდა, რომლის წყალობითაც იგი სოფლის თავკაცად დაინიშნა.

ამასობაში სოფლის თავკაცი ფოსტის გამგეს უკვე სოფელს უპირისპირებს. როგორც ესმა ცათიაშვილი ირწმუნება, ზაურ ცათიაშვილი ყველა სოფელში ყრილობებს ატარებდა და პენსიონერებს არწმუნებდა, რომ მათი თანხები ფოსტის გამგემ მიითვისა. ამის გამო ესმა ცათიაშვილს სიმართლის დამტკიცება პირველად რაიონის გამგებელთან, ნუკრი ალავიძესთან მოუწია, რომელიც დღემდე აცხადებს, რომ მას ამ საქმესთან არანაირი კავშირი არ აქვს.

ამის შემდეგ ესმა ცათიაშვილი დახმარებას უკვე რიონულ პროკურატურას სთხოვს, პროკურორის მოადგილეს განცხადებით მიმართავს, მაგრამ ცათიაშვილის განცხადებას ეს უწყებაც არაფრად აგდებს. **"როცა მომჩივანი მიდის პროკურორთან, ან მის მოადგილესთან, იგი ვალდებულია, მოუსმინოს მას და ახსნა-განმარტებითი ბარათი ან განცხადება დაიტოვოს. პროკურორის მოადგილემ კი ჩემი განცხადება არ მიიღო. ამის შემდეგ მივხვდი, რომ ჩემი საქმე კარგად ვერ იქნებოდა,"** - ამბობს ესმა ცათიაშვილი. დროთა განმავლობაში კი პროკურატურაში ფოსტის გამგეზე საჩივარი საჩივარზე შედიოდა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ფოსტის გამგეს უკვე პოლიცია აკითხავდა და პროკურატურაშიც ჰკითხავდნენ, ოღონდ არა როგორც მომჩივანს, არამედ როგორც ეჭვმიტანილს. ესმა ცათიაშვილის თქმით, დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე, საქმის დასახურად პროკურორის მოადგილე მისგან უკვე ფულს ითხოვდა. **"ხუთშაბათი დღე იყო, როცა დავით მაისურაძემ დამიბარა. სანამ მასთან შევიდოდი, ჩემი თანასოფლელი, კუჭახტის პოლიციის განყოფილების გამგე მამუკა ხულხელაური შემხვდა. იგი ჩემი იქ მისვლით დაინტერესდა და პროკურორის მოადგილესთან პირველი ის შევიდა. იქიდან გამოსულმა კი მითხრა, თუ გინდა ეს საქმე დაიხუროს, 700 დოლარია საჭიროო. თანხის ნაცვლად, ბოჩოლა შევთავაზე, მაგრამ "ნატურით" საქმის დახურვა გამომძიებელმა არ ისურვა. მოსაფიქრებლად კი სამი დღე მომცა,"** - ირწმუნება ცათიაშვილი. მისივე ნაამბობის თანახმად, იმავე საღამოს სახლში დავით მაისურაძის წერილი დახვდა, რომლითაც მის ჩასვლას ახმეტის რაიონულ პროკურატურაში მეორე დღეს მოითხოვდა.

**"პროკურატურაში მისულს მაისურაძემ მითხრა, პირობიდან ხომ არ გადახვედიო, მაგრამ წერილი რომ გადავეცი, სახტად დარჩა. მან მაშინვე თავისი ხელით დაწერილი ფურცელი მაჩვენა და დავრწმუნდი, რომ წერილი მას არ დაუწერია. მერე მან კაბინეტში მე და ჩემი ადვოკატი დაგვტოვა და ტელეფონზე ვიღაცას დაელაპარაკა. კაბინეტში შემოსულმა კი ჩემი დაპატიმრების სანქცია გასცა,"** - იხსენებს ცათიაშვილი.

სასამართლო პროცესი ორ საათში გაიმართა, როგორც ახმეტის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე გელა შაშიაშვილი განმარტავს, მას ამის უფლებას კანონი აძლევდა. ესმა ცათიაშვილს 2003 წლის 23 მაისს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეეფარდა, სხვისი ქონების უკანონოდ მითვისება-გაფლანგვის მუხლით. რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილება საოლქო სასამართლოში გაასაჩივრეს.

დანაშაულში ბრალდებული ქალბატონი აცხადებს, რომ დავით მაისურაძე მას არც ციხეში ყოფნის დროს ასვენებდა. მისი თქმით, საქმის მწარმოებელი გამომძიებელი ბრალდებულისგან მითვისებული თანხის რაოდენობის შესახებ ექსპერტების დასკვნაზე ითხოვდა ხელმოწერას. ცათიაშვილის განმარტებით, თავდაპირველად მითვისებული თანხის ოდენობა ამ საბუთში 57 ათას ლარს შეადგენდა, შემდეგ ოცდაცამეტიდან თხუთმეტ ათასამდე მერყეობდა, ბოლოს კი 2 400 ლარზე ჩამოვიდნენ. იმის გამო, რომ ძიება, როგორც ესმა ცათიაშვილი ამბობს, არაობიექტურად მიმდინარეობდა, მან დავით მაისურაძისთვის საქმის აცილება მოითხოვა, მაგრამ ეს თხოვნა საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა, რის გამოც დანაშაულში ეჭვმიტანილმა ქალბატონმა საოლქო სასამართლოსაც უნდობლობა გამოუცხადა და პროცესზე დასწრებაზე უარი განაცხადა. საოლქო სასამართლომ ის წინასწარ პატიმრობაში დატოვა.

ცათიაშვილის საქმეზე შედგენილ საბრალდებო დასკვნაში კი გარდა იმისა, რომ ბრალდებული თანხების მითვისებაშია დადანაშაულებული, წერია, რომ ესმა ცათიაშვილი სოფლისთვის საშიშ პიროვნებას წარმოადგენდა და იმ შემთხვევაში, თუ მას ვინმე დაუპირისპირდებოდა, ცათიაშვილი ჩეჩნებით ემუქრებოდა.

იმას, რომ ფოსტის გამგის წინააღმდეგ თავის დროზე პროკურატურაში შესული საჩივრები გაყალბებული იყო, ამას კერძო საუბრებში ჯოყოლოელებიც ადასტურებენ, ხმამაღლა კი არაფერს ამბობენ. ერთადერთი, ვინც პროკურატურას ამ საკითხზე დაუპირისპირდა, პოლიციის თანამშრომელი ზაურ ფარეულიძეა. იგი არ ადასტურებს იმ საჩივარს, რომელსაც რაიონის პროკურატურა მტკიცებულებად იყენებდა.

მიუხედავად ამისა, ესმა ცათიაშვილმა სადავო თანხის 90 პროცენტი დაფარა და ციხიდან მხოლოდ ამის შემდეგ გაათავისუფლეს. საქმის გარჩევის გაგრძელება მან სოფლის უხუცესებში გადაწყვიტა. მაგრამ უხუცესთა სასამართლოზე ცათიაშვილების გვარიდან არავინ გამოცხადდა. ესმა ცათიაშვილის მტკიცებით, გამოძიების ოინმა გაჭრა - მის საბრალდებო დასკვნაში ეწერა, რომ იგი ცათიაშვილი კი არა, ბორჩაშვილია. უხუცესთა სასამართლოზე ზაურ ცათიაშვილმა ყურანზე დაიფიცა, რომ მართალი იყო. ცხადია, ის სხვას არაფერს ეტყოდა არც "24 საათს."

**"თუ რაიმე არგუმენტირებული დოკუმენტი აქვს ესმა ცათიაშვილს ჩემს წინააღმდეგ, დამიმტკიცოს. მე ხელახალი ძიების წინააღმდეგი არა ვარ,"** - ამბობს ზაურ ცათიაშვილი. სოფელი კი, მომხდარის გამო, აღშფოთებულია. მათ მიაჩნიათ, რომ ყურანზე ტყუილად დაფიცება ქისტური ტრადიციებისთვის დიდი სირცხვილია.

მიუხედავად ამისა, უხუცესთა სასამართლოსთვის ფიცი საკმარისია: **"ამის შემდეგ, საკითხში რაოდენ საეჭვო ფაქტიც არ უნდა იყოს, საქმე აღარ ირჩევა და იხურება,"** - ამბობენ ქისტი ხუცესები.

რაც შეეება პროკურორის მოადგილეს დავით მაისურაძეს, რომელიც ამ დროისთვის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებულია, ესმა ცათიაშვილის მიერ წაყენებულ ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს და პირიქით, იმუქრება. მას მიაჩნია, რომ ამ საკითხის ხელახლა წამოწევა ვიღაც-ვიღაცების ინტერესების გამო ხდება. **"მე ბატკანი არა ვარ, რომ ვიღაც-ვიღაცებმა დამკლან და არც კურდღელი, რომ შემაშინონ. რაც შეეხება იმას, რომ მე თითქოს ესმა ცათიაშვილს ფულს ვთხოვდი, ტყუილია. თუ ასე იქნებოდა, დავხურავდი კიდეც საქმეს. დამიმტკიცონ, რომ ვტყუი,"** - ამბობს დავით მაისურაძე.

თავად ესმა ცათიაშვილი კი ფარ-ხმალის დაყრას არ აპირებს და ამჯერად დახმარებას პრესის საშუალებით უკვე პრეზიდენტს და შინაგან საქმეთა მინისტრს, ვანო მერაბიშვილს სთხოვს.

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი**...........

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**...........

**საკონტაქტო ტელეფონი**...........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისის მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის [illegible] სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".

## ორი სიტყვით

**ახალციხე.** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები, ფილიალის რექტორის მერაბ ბერიძის საპყრობილიდან გათავისუფლების მოთხოვნით, გუშინ ქუჩაში გავიდნენ და საპროტესტო აქცია განაახლეს.

აქციის მონაწილეები სასწავლო პროცესის ჩაშლით იმუქრებიან და რექტორის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვენ. საპროტესტო აქცია გუშინწინ ღამით დაიწყო, შემდეგ კი უნივერსიტეტში და საოლქო პროკურატურის შენობასთან გაგრძელდა. 1000-ზე მეტი სტუდენტი სახელმწიფო დროშებით ხელში ბერიძეს იცავდა და ცენტრალური მაგისტრალის გადაკეტვით იმუქრებოდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებისა და მე-3 განყოფილების თანამშრომლებმა დაადგინეს თბილისში მცხოვრები ბექა კვიციანი, რომელმაც თბილისში, რთველაძის ქუჩაზე ურთიერთშელაპარაკებისას დანით გულ-მკერდსა და კისერში დაჭრა კახეთის გზატკეცილზე მცხოვრები ზვიად ზურაბიანი და ამირან ჯანელიძე, რომლებიც საავადმყოფოში მოათავსეს. **მედიანიუსი**

## განცხადება

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს აპარატის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე:

სხდომის მდივანი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო - 100 ლარი).

*კონკურსის პირობები:*

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ - კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლების შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია 21-დან 65 წლამდე.

*საკვალიფიკაციო მოთხოვნები:*

***- სხდომის მდივნის თანამდებობაზე***

- კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება ან სპეციალობით მუშაობის ერთი წლის გამოცდილება.

კონკურსს ატარებს ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა;
3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი.

საბუთები მიიღება ორი კვირის ვადაში განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან არაუადრეს სამი კვირის შემდეგ.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები ("საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

დაწვრილებითი ცნობებისთვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიას შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. N 1 ა.

ტელ: 62-96-42

btc SCP South Caucasus Pipeline

**სოფელ ქვემო კაპანახჩში სერიოზული პროექტები განხორციელდა**

საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა-აღმოსავლეთის (CIP) ფარგლებში, რომელიც ინიცირებული და დაფინანსებულია BP-ს, BTC/SCP-ს და მათი პარტნიორი პროექტების მიერ, მერსი ქორმა და მისმა პარტნიორმა ორგანიზაციებმა განახორციელა მთელი რიგი პროექტები იმ თემების საკეთილდღეოთ, რომლებიც მილსადენის მშენებლობის მიმდებარე ტერიტორიებზე არიან დასახლებულნი. ამ საქმიანობის ერთ-ერთი მიზანი - თემების მობილიზება და განვითარებაა.

რაფიკ ნასიმოვი გარდაბნის რაიონის სოფელ კაპანახჩის თემის საინიციატივო ჯგუფის წევრია: ამ სოფელში მობილიზებული თემის წარმომადგენლებმა განახორციელეს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული პროექტები. ერთ-ერთის განხორციელების შედეგად ბუნებრივი აირის მრიცხველი 160 ოჯახშია დამონტაჟებული. ბ-ნი ნასიმოვის თქმით "ბუნებრივი აირი ჩვენს ხალხს დიდი ხნის, დავიწყებული ჰქონდა. სახლებს შეშით ვათბობდით, ეს საწვალებელი იყო და, თანაც, საკმაოდ ძვირი უჯდებოდა ოჯახებს. მრიცხველების დამონტაჟების შემთხვევაში ბუნებრივი აირი მოგვეწოდებოდა, მაგრამ ამის შესაძლებლობა ჩვენ გაჭირვებულ ხალხს არ ჰქონდა. ამიტომ ჩვენი საინიციატივო ჯგუფის მერსი ქორთან პირველივე შეხვედრაზე გადავწყვიტეთ, ამ პრობლემისათვის მიგვეხედა. ახლა, მადლობა ჩვენს სპონსორებს, ეს პრობლემა დავიწყებულია".

პროექტის მეორე ფაზა ძირითადი გზის რეაბილიტაცია იყო - დანგრეული გზა საკმაოდ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა სოფლის თემისათვის. მათ მიერ დაკომფლექტებულმა სამუშაო ბრიგადამ მერსი ქორის ინჟინრების დახმარებით დააგო ასფალტი 680 მ-ზე. ადგილობრივმა მთავრობამ პროექტში 15 000 ლარი ჩადო, მერსი ქორმა 42 ათას ლარამდე, თემმა კი წვლილი მუშახელით შემოიტანა.

"სამუშაოები დამთავრებულია და ჩატარდა ძალიან მაღალ დონეზე. თემის მიერ პროექტის განხორციელებაში შეტანილი წვლილი 12 000 ლარს უდრისს", - გვითხრა თემის საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა, ბ-მა ალი მეხტიევმა. - "მთელი თემის სახელით მინდა ულრმესი მადლობა გადავუხადო ბი-პის, მის პარტნიორებს, მერსი ქორს და ჩვენს მთავრობას ფასდაუდებელი დახმარებისათვის".

Mercy Corps

# რა ხდება დღეს „საქართველოს რკინიგზაში"?

*ახლა ის დროა, როცა მსხვილ საწარმოთა უმრავლესობა გასული წლის საქმიანობის შეჯამებას ასრულებს და 2005 წლის გეგმებიც უკვე მკაფიოდ აქვთ განსაზღვრული. ეს ის საკითხებია, რომელიც მნიშვნელოვან წარმოდგენას იძლევა ამა თუ იმ საწარმოს რენტაბელურობაზე, მუშაობის ტემპებსა და, ზოგადად, მის წარმატებულობასა თუ წარუმატებლობაზე. ბუნებრივია, რომ საზოგადოებაში ინტერესი ამ საკითხების მიმართ არსებობს, მით უმეტეს, როცა საქმე სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებს ეხება. მათი რიცხვი კი, ჯერჯერობით, 1800 აღწევს. დღეს მათ შორის ყველაზე უმსხვილეს საწარმოზე - შპს "საქართველოს რკინიგზაზე" ვისაუბრებთ, რომელიც წინა ხელისუფლებისთვის "მეწველ ძროხად" ან, გნებავთ, "ფულით სავსე ტომრად" იყო გადაქცეული. ამ საწარმოს დღევანდელი მდგომარეობა იმითაც არის საინტერესო, რომ უკვე თითქმის ერთი წელია მას შემდეგ, რაც რკინიგზას ექსპრეზიდენტთან ერთ-ერთი ყველაზე დაახლოებული პირი კაკო ჩხაიძე აღარ მართავს. რა იყო და რა შეიცვალა "საქართველოს რკინიგზაში" ახალი ხელმძღვანელობის ჩანაცვლებით?*

ეთერ მამულაშვილი

გასული 2004 წელი შპს "საქართველოს რკინიგზისთვის", როგორც მისი გენერალური დირექტორი დავით ონოფრიშვილი ამბობს, ძირითადად, ძველი დაგროვილი პრობლემებისგან გათავისუფლების წელი იყო, თუმცა, ამის პარალელურად საწარმოში გარკვეული სიახლეები ინერგებოდა, რომლის კონკრეტულ შედეგს საწარმოში 2005 წლის ბოლოს, 2006 წლის დასაწყისისთვის ელოდებიან.

## კრედიტორული დავალიანება

2004 წლის 1 იანვრის მონაცემებით, "საქართველოს რკინიგზის" კრედიტორული დავალიანება 40 მილიონ აშშ დოლარს აღწევს. აქედან, 18 მილიონი შვეიცარიული ფრანკი იყო სხვადასხვა სახელმწიფოების რკინიგზებისთვის გადაუხდელი ძველი ვალდებულება, რომელთა შორის არის ჯარიმა-საურავები. ყველაზე მეტი, დაახლოებით 13 მილიონი, საქართველოს რკინიგზას რუსეთის მართებდა. უკანასკნელი მონაცემებით, უცხო სახელმწიფოების რკინიგზების მიმართ დავალიანება 11 მილიონ შვეიცარიულ ფრანკზე ნაკლებია და როგორც გენერალური დირექტორი ამბობს, ეს ციფრი წელს მნიშვნელოვნად შემცირდება. შარშან საქართველოს რკინიგზის ბიუჯეტიდან ყოველთვიურად 500 ათასი დოლარი იხარჯებოდა ამ ვალების ჩამოწერაზე. **"ჩვენ მოვითხოვეთ დარიცხული ჯარიმების ანულირება და როცა ჩვენმა მოვალეებმა დაინახეს, საქართველოს რკინიგზა ძველ ვალდებულებებს გრაფიკით გათვალისწინებული პირობებით ისტუმრებდა, იოლად დაგვთანხმდნენ, რითაც ჩვენ დაახლოებით მილიონი დავზოგეთ,"** - ამბობს საწარმოს გენერალური დირექტორი.

შარშან მევალეებს შორის იყვნენ ყაზახეთი, უკრაინა, უზბეკეთი. ამ ორი უკანასკნელის გასტუმრება, ვალის სიმცირიდან გამომდინარე, შარშან რკინიგზამ მარტივად მოახერხა. ამჟამად მოლაპარაკება მიმდინარეობს ყაზახეთის რკინიგზასთან 1.891-მილიონიანი ვალის რესტუქტურიზაციის თაობაზე.

## ვის რამდენი მართებს "საქართველოს რკინიგზის"?

რაც შეეხება დებიტორულ დავალიანებას, მისი მოცულობა ამ დროისთვის 35 მილიონ ლარს აჭარბებს. ეს არის საქართველოს რკინიგზით სარგებლობისთვის 2000 წლიდან კერძო კომპანიების მიერ გადაუხდელი გადასახადი. მოვალეებს შორის უცხოური გადამზიდავი კომპანიები ჭარბობენ, რომლის მიმართაც რკინიგზის ხელმძღვანელობა უახლოეს მომავალში რადიკალური ზომების გატარებას აპირებს. **"მიუხედავად ჩვენი არაერთი გაფრთხილებისა, არიან კომპანიები, რომლებიც ამ ვალს არ იხდიან, ამიტომაც ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ მათი ტვირთები შევაჩეროთ და აღარ გავატარებთ,"** - ონოფრიშვილი განმარტავს, რომ ამის უფლებას მათ საქართველოს კანონმდებლობა აძლევს.

დებიტორული დავალიანების გარკვეული ნაწილის ამოღება შარშან რკინიგზამ პროკურატურის დახმარებით მოახერხა. კიდევ ერთი პრობლემა, რაც რკინიგზას დებიტორებთან მიმართებაში გაუჩნდა, გასული წლების ბუღალტრულ აღრიცხვას უკავშირდება. გასული წლის მიწურულს საწარმოს ახალმა ხელმძღვანელობამ აღმოაჩინა, რომ დებიტორული დავალიანების რაღაც ნაწილი დოკუმენტურად ჩათვლილი იყო, თუმცა ფული რეალურად რკინიგზის ბუღალტერიაში არ შესულა. **"მეტიც, ჩვენ ისეთ თანხაზე გვაქვს მოგების გადასახადი გადახდილი, რაც საწარმოს რეალურად არ მიუღია,"** - გვითხრა რკინიგზის გენერალურმა დირექტორმა.

## 21-მილიონიანი დანაკარგი ლარის კურსის გამო

"საქართველოს რკინიგზა" ერთ-ერთი იმათთაგანი იყო, რომელზეც გასული წლის მიწურულს ეროვნული ვალუტის კურსის გამყარებამ უარყოფითად იმოქმედა. აშშ დოლარის შესუსტებამ შარშან რკინიგზას დაახლოებით 21 მილიონი ზარალი მოუტანა. ამ თანხის დაკარგვა იმ ფაქტს უკავშირდება, რომ დღეს საქართველოს რკინიგზაზე გამავალი ტვირთების თითქმის 90 პროცენტი ტრანზიტულია. **"გადამზიდავი კომპანიების მიერ ჩვენთვის გადასახადების გადახდა დოლარებში ხდება, რომლის კონვერტირებას ეროვნულ ვალუტაში ჩვენ მოგვიანებით ვახდენთ. მართალია, შარშან ჩვენ შემოსავლები უცხოურ ვალუტაში, წინა წლებთან შედარებით, მეტი მივიღეთ, თუმცა ეს ლარებში ბევრად ნაკლები იყო,"** - განმარტავს საწარმოს გენერალური დირექტორი

დავით ონოფრიშვილის ინფორმაციით, 2003 წელთან შედარებით, შარშან რკინიგზის შემოსავლები ლარებში 10-11 მილიონით შემცირდა, რაც **"საწარმოსთვის არაკომპენსირებდი დანაკარგი იყო."**

## რა ქონებას ფლობს დღეს "საქართველოს რკინიგზა"?

დაზუსტებული ნუსხა იმისა, თუ რა ქონების მფლობელია "საქართველოს რკინიგზა," დღეს არ არსებობს. შესაბამისად, უცნობია რკინიგზაზე დამაგრებული ქონების რეალური ღირებულებაც. ქონების გადასახადი, რასაც ხსენებული უწყება ბიუჯეტში დღემდე რიცხავს, მიახლოებით გათვლებს ეფუძნება და როგორც რკინიგზაში ვარაუდობენ, ეს ციფრი რეალური ქონების ღირებულებას ბევრად ჩამორჩება. საგადასახადო დეპარტამენტის ინფორმაციით, ყოველწლიურად საქართველოს რკინიგზა, ქონების გადასახადის სახით, ბიუჯეტში საშუალოდ 500-600 ათას ლარს რიცხავს.

უცნობია ასევე ამ სახელმწიფო საწარმოს საწესდებო კაპიტალის მოცულობა. უფრო ზუსტად, არსებობს, მაგრამ ეს მონაცემები შვიდი წლის წინანდელია, რასაც დღევანდელთან საერთო არაფერი არ უნდა ჰქონდეს. 369 მილიონი ლარით განისაზღვრა რკინიგზის საწესდებო კაპიტალი, როცა ის კერძო იურიდიულ პირად – შპს-დ დაფუძნდა 1998 წელს, მაგრამ დღეს ამ ორგანიზაციაში ვარაუდობენ, რომ რკინიგზის ქონების დეტალური ინვენტარიზაციის შემდეგ ეს ციფრი, სულ მცირე, გასამმაგდება. ინვენტარიზაციის პროცესი კი რკინიგზაში გასული წლის მიწურულს დაიწყო და როგორც საწარმოს კორპორაციული მართვის დირექტორმა შოთა ქელდიშვილმა "24 საათთან" საუბრის დროს აღნიშნა, ის სავარაუდოდ, უახლოეს ოთხ-ხუთ თვეში დასრულდება.

ქონება, რომელიც რკინიგზას არაფერში სჭირდება და მძიმე ტვირთად აწვება, კერძო საკუთრებაში გადავა. თუ რა ფორმით მოხდება ამ ქონების გასხვისება, ამაზე საბოლოო გადაწყვეტილებას ეკონომიკური განვითარების სამინისტრო მიიღებს.

ჯერჯერობით არ აკონკრეტებენ, თუ რომელი ორგანიზაციის პატრონობაზე იტყვის მომავალში უარს საქართველოს რკინიგზა, თუმცა გარკვეულ მინიშნებებს აქ მაინც აკეთებენ. შოთა ქელდიშვილი საწარმოს ინვენტარიზაციის დაწყების წინ აცხადებდა, რომ **"რკინიგზას სამართავად მხოლოდ პროფილური მიმართულებები უნდა დარჩეს. იგივე ბაგა-ბაღი საქართველოს რკინიგზას დღეს არაფერში სჭირდება, ისევე, როგორც საავადმყოფო და ლოკომოტივის სტადიონი. ჩემი, როგორც კომერსანტის ხედვაა, რომ რკინიგზას მხოლოდ ის უნდა ჰქონდეს, რაც მომგებიანია. "ლოკომოტივი" კი რკინიგზის საკუთრებაში მომგებიანი ვერასდროს გახდება."**

სხვათა შორის, უკვე გასულ წელს, რკინიგზამ უარი თქვა ისეთი პროექტების დაფინანსებაზე, რაც თვისობრივად არ განეკუთვნება რკინიგზის საქმიანობას. **"ეს თანხები რეალურად უკვე რკინიგზას ხმარდება,"** - ამბობს საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კახა ბაინდურაშვილი.

## საგადასახადო დავა

საოლქო სასამართლოში საგადასახადო დეპარტამენტსა და საქართველოს რკინიგზას შორის დავა დღესაც გრძელდება. ეს პრობლემა საწარმოს გასული წლიდან გადმოყვა, რასაც გენერალური დირექტორი 2000 წელს მაშინდელ პარლამენტართა დაუდევრობას აბრალებს. საქმე ეხება დაახლოებით 10 მილიონ ლარს, რასაც საგადასახადო დეპარტამენტი რკინიგზას მიწის გადასახადის სახით ედავება. ახალი და ძველი კოდექსითაც შპს. "საქართველოს რკინიგზა" გათავისუფლებულია მიწის გადასახადისგან, თუმცა ხუთი წლის წინ პარლამენტს ამ მუხლის 1 წლით გადავადება "მხედველობიდან გამორჩა". ონოფრიშვილს იმედი აქვს, რომ ეს დავა წელს "საქართველოს რკინიგზის" გამარჯვებით დასრულდება.

## დივიდენდი

უკვე რამდენიმე წელია, "საქართველოს რკინიგზა" ბიუჯეტში დივიდენდის ყველაზე მსხვილ გადამხდელად ითვლება. სახელმწიფო საწარმოებიდან ბიუჯეტში დივიდენდის სახით მობილიზებული თანხების ნახევარი, ზოგჯერ მეტიც, სწორედ ამ საწარმოზე მოდიოდა. გასულ წელს, რკინიგზის 2003 წლის წმიდა მოგებიდან 7 მილიონი ლარი ბიუჯეტმა წაიღო, რაც, დავით ონოფრიშვილის შეფასებით, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების არასწორი გადაწყვეტილება იყო. საინტერესო დეტალი: დღემდე არ არსებობს ნორმატიული აქტი, რომელიც დაადგენდა, თუ რამდენი უნდა გადაიხადოს კონკრეტულმა სახელმწიფო საწარმომ ბიუჯეტში დივიდენდის სახით. როგორც წესი, ეს ციფრი საწარმოს ხელმძღვანელების და სამინისტროების მოლაპარაკებების შემდეგ დგინდება. **"ეს არის სერიოზული სახელმწიფოებრივი პრობლემა, რომელიც მთავრობამ დღემდე ვერ გადაწყვიტა. ჩვენ, როგორც წესი, დე ფაქტო ვიგებთ ხოლმე, რომ წელს უნდა გადავიხადოთ, სიტყვაზე, 7 მილიონი. მხოლოდ იმიტომ, რომ შარშან ამდენი გადავიხადეთ. ასეთი მიდგომა, რბილად რომ ვთქვათ, არასერიოზულია. ჩვენ ვითხოვთ, რომ ეს იყოს ფიქსირებული და პროგნოზირებადი გადასახადი,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს დავით ონოფრიშვილმა.

მისივე თქმით, რკინიგზა ძალიან ბევრ სახელმწიფოებში დივიდენდის გადასახადისგან გათავისუფლებულია, რიგ ქვეყნებში საგადასახადო განაკვეთი ბევრად დაბალია, ვიდრე ეს საქართველოშია. მაგალითად, მეზობელ რუსეთში რკინიგზა მოგების მხოლოდ 10 პროცენტს იხდის დივიდენდის სახით, მაშინ, როცა საქართველოს რკინიგზის მაგალითზე ეს მაჩვენებელი 20 პროცენტზე მეტია. დავით ონოფრიშვილი დივიდენდის გადასახადისგან გათავისუფლებას არ ითხოვს, თუმცა, მისი აზრით, 2 ან 3 მილიონია ის მაქსიმუმი, რაც რკინიგზამ სახელმწიფოს უნდა უხადოს.

## ტვირთები

შარშან საქართველოს რკინიგზაზე გატარებული ნედლი ნავთობის მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა, რასაც დავით ონოფრიშვილი, ნაწილობრივ, წინა წლებში არასწორად გატარებულ სატარიფო პოლიტიკას უკავშირებს. გასულ წელს ნავთობის დიდი რაოდენობა მათმა მეპატრონე კომპანიებმა ირანისა და რუსეთის რკინიგზებით გადაიტანეს. შემოდგომამდე, მანამ რკინიგზის ხელმძღვანელობა ტარიფის შემცირების გადაწყვეტილებას მიიღებდა, ტვირთების, პირველ რიგში კი - ნედლი ნავთობის, დანაკარგი თითქმის გაორმაგდა. **"ამას დაემატა მაისში აჭარის მოვლენები, როცა ბათუმის ნავთობტერმინალი სრული დატვირთვით ვერ მუშაობდა,"** - იხსენებს ონოფრიშვილი. მას შემდეგ, რაც ტარიფი ძველ ნიშნულს დაუბრუნდა, ტვირთების რაოდენობამ საქართველოს რკინიგზაზე ნელ-ნელა დაიწყო მატება, განსაკუთრებით გაიზარდა (დაახლოებით 800 ათასი ტონით) მშრალი ტვირთების მოცულობა, რამაც გენერალური დირექტორის შეფასებით, გარკვეულწილად დააბალანსა ის დანაკლისი, რომელიც ნავთობის დანაკარგებით იყო გამოწვეული.









*საგადასახადო დეპარტამენტის მონაცემები*




*სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები*

## სატარიფო პოლიტიკა

ახალი სატარიფო პოლიტიკა, რომელიც გასული წლის შემოდგომაზე "საქართველოს რკინიგზის" ახალმა ხელმძღვანელობამ აწარმოა, დავით ონოფრიშვილის თქმით, საწარმოს და ქვეყანას რეალურ ეფექტს გრძელვადიან პერიოდში მისცემს. სატარიფო პოლიტიკა, რომელიც თავისთავში ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე მოცულობითი ტარიფის შემოღებას ითვალისწინებდა, რკინიგზის გენერალური დირექტორის განცხადებით, საქართველოს რკინიგზაზე ტვირთების მოზიდვას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. **"მოცულობითი ტარიფის შემოღებამ უცხოელ ინვესტორებს საშუალება მისცა, გრძელვადიანად ეთანამშრომლათ საქართველოს რკინიგზასთან,"** - გვითხრა კახა ბაინდურაშვილმა, რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ.

ცნობისათვის, მოცულობითი ტარიფი შემდეგს გულისხმობს: კომპანიაზე, რომელიც მთელი წლის განმავლობაში 4 მილიონ ტონაზე მეტ ნავთობს გადაიტანს საქართველოს რკინიგზის გავლით, ტარიფის მოცულობა ერთ ტონაზე 5 დოლარს შეადგენს, სხვა შემთხვევაში 6 დოლარია.

ტარიფის ამ ერთგვარმა გაიაფებამ ექსპერტთა ერთი ნაწილის სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია და მათ, რკინიგზის ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ტარიფის გაიაფების შესახებ, სახელმწიფოებრივ დანაშაულად შეაფასეს. ეკონომიკური ექსპერტი გია ხუხაშვილი, რომელიც გასული წლის დასაწყისში ჯერ რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად, მოგვიანებით კი, დირექტორთა საბჭოს წევრად აირჩიეს, დღეს აცხადებს, რომ მისი რკინიგზიდან წამოსვლის მთავარი მიზეზი, ტარიფის შემცირება გახდა. გია ხუხაშვილი ირწმუნება, რომ ამან სერიოზული ზარალი მიაყენა როგორც თავად რკინიგზას, ასევე ბიუჯეტს. მისივე გათვლებით, ზარალის მოცულობა 12 მილიონ აშშ დოლარს აღწევდა. **"ყველა კლიენტი იხდიდა ძველ ტარიფს და არავინ არ აპროტესტებდა ამას. რკინიგზაში ტარიფის გაიაფებას იმით ამართლებდნენ, რომ თითქოს გაზრდიდნენ ტვირთების მოცულობას. სინამდვილეში კი პირიქით მოხდა. თუკი შევადარებთ 2004 წლის ბოლო ოთხ თვეს (ტარიფი შემოდგომაზე გაიაფდა), 2003 წლის შესაბამის პერიოდზე, ვნახავთ, რომ ტვირთების მოცულობა, დაახლოებით, 19 მილიონი ტონით შემცირდა,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს გია ხუხაშვილმა.

ის ამ ერთგვარ პარადოქსულ მოვლენას, რამდენიმე გარემოებით ხსნის; პირველი - გასული წლის მიწურულს აზერბაიჯანულ მხარესთან შექმნილი გაუგებრობა, როცა საზღვარზე საქართველოზე გამავალი ტვირთები რამდენიმე დღით გაჩერდა, და მეორე მიზეზი, რომელსაც გია ხუხაშვილი შემდეგნაირად განმარტავს: **"ტარიფი კი შემცირდა, მაგრამ ის რეალურად კლიენტამდე არ მისულა. მეტიც, ვინც ძირითადი გადამზიდავი კომპანიებია, დღეს ისინი უფრო მეტს იხდიან, ვიდრე ადრე. ეს ფასთა სხვაობა კი შუამავალ რგოლში ილექება. გადამზიდავ კომპანიებს უფლება არა აქვთ, პირდაპირი კონტრაქტი გააფორმონ რკინიგზასთან, მათ ხელშეკრულება უნდა დადონ შუამავალ კომპანიასთან, რომელიც არის "პეტრო-ტრანსი" და რომელიც გადამზიდავებს იმაზე მეტს სთხოვს, ვიდრე მანამდე იხდიდნენ."** მისივე ინფორმაციით, დღეს ექსპედიტორი (გადამზიდავი) კომპანიები ადრინდელთან შედარებით 20-25 ცენტით მეტს იხდიან.

ხუხაშვილის ყველა ამ ბრალდებაზე კომენტარს საქართველოს რკინიგზაზე პრინციპულად არ აკეთებენ, რადგან, მათი თქმით, "ეს არის განაწყენებული კაცის პოზიცია, რომელსაც შარშან **"საქართველოს რკინიგზის" დირექტორთა საბჭომ უნდობლობა გამოუცხადა. ხუხაშვილის ყველა ბრალდება აბსურდი და მოგონილია."** "საქართველოს რკინიგზაში" იმასაც ირწმუნებიან, რომ დღეს რკინიგზას პირდაპირი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული 70-ზე მეტ გადამზიდავ კომპანიასთან.

კიდევ ერთი პრობლემა, რაც დღეს რკინიგზის ტარიფებს უკავშირდება, ეს მისი არაკონკურენტუნარიანობაა. მიუხედავად ტარიფის ერთგვარი შემცირებისა, ექსპერტების თქმით, საქართველოს ალტერნატიულ მარშრუტებზე, რუსეთისა და ირანის რკინიგზებზე გადაზიდვის ტარიფები ბევრად უფრო დაბალია. ამას თავად საწარმოშიც აღიარებენ, თუმცა დასძენენ, რომ ამ პრობლემას მარტო "საქართველოს რკინიგზა" ვერ მოაგვარებს. **"როდესაც ტარიფის არაკონკურენტუნარიანობაზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი რკინიგზის ხაზი არის დერეფნის მხოლოდ ერთი ნაწილი, ანუ აზერბაიჯანის განშტოების გარეშე, რაც არ უნდა შევამციროთ ჩვენი ტარიფი, კონკურენტუნარიანი ვერ გახდება. ამ მხრივ კი, აზერბაიჯანი ნაკლებად მოქნილია და ნაკლებად მიდრეკილია იქითკენ, რომ ტარიფი შემცირდეს,"** - ამბობს რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კახა ბაინდურაშვილი. მიუხედავად ამისა, მისივე თქმით, აზერბაიჯანულ მხარესთან "საქართველოს რკინიგზა" და საქართველოს მთავრობა ამ საკითხზე აქტიურ მოალაპარაკებებს აგრძელებს.

## საწარმოს მართვა

ტარიფის ერთი დოლარით გაიაფება თუ გაზრდა, თავად გადამზიდავ (ექსპედიტორ) კომპანიებს, მათივე თქმით, ნაკლებად აწუხებთ. ექსპედიტორი კომპანიების შეფასებით, დღეს რკინიგზაში მართვის თვალსაზრისით უფრო მეტი პრობლემები არსებობს, ვიდრე ეს ადრე იყო. ეს კი მათ ბიზნესს პირდაპირ ურტყამს.

მიუხედავად იმისა, რომ შპს "საქართველოს რკინიგზაში" ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ მართვის სრულიად ახალი სისტემა ჩამოყალიბდა, რაც, პირველ რიგში, დირექტორთა საბჭოს შექმნასა და კოლექტიური მეთოდით გადაწყვეტილების მიღებას გულისხმობს, იმ გადამზიდავი კომპანიების შეფასებით, რომლებსაც ტვირთები რკინიგზით გადააქვთ, ოპერატიული მართვის თვალსაზრისით დღეს ამ საწარმოში ბევრი პრობლემა დაგროვდა.

"კავკასტრანსექსპრესის" ფინანსური დირექტორი ნიკო ზარდიაშვილი ამბობს, რომ დღეს რკინიგზის ოპერატიული მართვა დაბალ დონეზეა, რაშიც ზარდიაშვილი, პირველ რიგში, გადამზიდავი კომპანიებისთვის ვაგონების დეფიციტს და არარიტმულ მიწოდებას გულისხმობს.

**"დღეს ჩვენ ხშირად გვიწევს ბრძოლა, ლოდინი, ხვეწნა-მუდარა, რომ გამოგვიყონ ვაგონი ან ცარიელი პლატფორმა. თუკი დროულად ვერ ვღებულობ ვაგონს, მიწევს ტერმინალზე კონტეინერის რამდენიმე დღით გაჩერება, ეს კი გარკვეულწილად ზედმეტ ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. სწორედ ეს არის ჩვენთვის ყველაზე დიდი პრობლემა, რასაც დღეს რკინიგზაზე ვაწყდებით,"** - აღნიშნა "24 საათთან" სუბრის დროს ნიკო ზარდიაშვილმა, მისივე თქმით ყოველივე ზემოთქმული დღეს ადმინისტრაციული პრობლემებით უფროა გამოწვეულია, რადგან **"არა მგონია, ამ ერთ წელიწადში ტექნიკური თვალსაზრისთ რამე ასე მნიშვნელოვნად შეცვლილიყოს."**

## 2005 წლის პროექტები

რკინიგზის გენერალური დირექტორის თქმით, 2005 წელს მოზიდული ტვირთების, მათ შორის, ნედლი ნავთობის მოცულობა, სულ მცირე, გაორმაგდება. ამის თქმის საფუძველს დავით ონოფრიშვილს ამ ცოტა ხნის წინათ ორ გიგანტ ნავთობკომპანიასთან მიღწეული შეთანხმება აძლევს. საუბარია "ექსონ მობილსა" და "შევრონზე", რომლებიც მზად არიან, ყაზახური ნავთობის დიდი ნაწილი, თუ მთლიანად არა, დასავლეთში "საქართველოს რკინიგზის" მეშვეობით გადაიტანონ. ონოფრიშვილის თქმით, "ექსონ-მობილის" მიერ აზიაში ახლად აღმოჩენილი ნედლი ნავთობი საქართველოს დერეფანს დაახლოებით 2005 წლის ბოლოს გადმოკვეთს, რაც შეეხება "შევრონის" ნავთობს, საქართველოში სავარაუდოდ 2006 წლის დასაწყისში შემოვა.

მშრალი ტვირთების მოზიდვასთან დაკავშირებით საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობა დღეს აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებს მის ყაზახელ, აზერბაიჯანელ და, ნაწილობრივ, რუს კოლეგებთან.

კიდევ ერთი პროექტი, რომელიც ამ დღეებში დაიწყებს ფუნქციონირებას, ეს ფოთი-კავკაზის სარკინიგზო-საბორნე მიმოსვლაა. ყველა ტექნიკური და ფორმალური მხარე უკვე მოგვარებულია და პირველ ბორანს ფოთის პორტში ამ დღეებში ელოდებიან. დავით ონოფრიშვილის თქმით, ეს პროექტი გარკვეულწილად შეამსუბუქებს აფხაზეთის რკინიგზის დღევანდელ უმოქმედობას. მისივე ინფორმაციით, რუსეთი რიგით მეოთხე ქვეყანაა, რომელთანაც საქართველოს საბორნე-სარკინიგზო ურთიერთობა აქვს. თუმცა, შესაძლოა ეს რიცხვი წლის ბოლომდე კიდევ ერთით გაიზარდოს. ონოფრიშვილის განცხადებით, "საქართველოს რკინიგზა" აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებს თურქეთის ერთ-ერთ საპორტო ქალაქ სამსუნთან, საბორნე მიმოსვლის დაწყებასთან დაკავშირებით. რკინიგზის გენერალური დირექტორი არ გამორიცხავს, რომ ეს პროექტი 2005 წლის ბოლომდე ამოქმედდეს.

დღეს რკინიგზის გამტარუნარიანობა 15-16 მილიონი ტონაა, თუმცა, ონოფრიშვილის რწმუნებით, 2006 წლისთვის ეს ციფრი 23-25 მილიონამდე გაიზრდება, თუკი რკინიგზის ინფრასტრუქტურა იმ დროისთვის შესაბამის მზადყოფნაში იქნება. **"ჩვენ ხელისუფლების იმედი გვაქვს, რადგან არის მთელი რიგი საკითხები, რასაც ჩვენ მარტო საკუთარი ძალებით ვერ გადავწყვეტთ. გარკვეულ პროექტებს რკინიგზაში სახელმწიფო უნდა აფინანსებდეს და ეს არავის უნდა უკვირდეს. ახალი ხიდის აშენება, გვირაბის შეკეთება და სხვა მსგავსი ღონისძიებები მხოლოდ რკინიგზის საკეთებელი არ არის. ეს სახელმწიფოს ინტერესსაც უნდა წარმოადგენდეს. რკინიგზა არ უნდა იყოს, როგორც დღეს ხშირად ეშლებათ, მარტო კომერციული ორგანიზაცია. ზოგადად მსოფლიოში მიჩნეულია, რომ რკინიგზა არის ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას სტიმულს აძლევს,"** - ამბობს რკინიგზის გენერალური დირექტორი.

ახლებურად ამეტყველებული ნაცნობი გმირები



B2

საშუალო(ს) დირექტორები?!



B3

პლატინის დისკი, პლატინის კოლექცია



B8

# ითამაშებს თუ არა სტეფანია?

## 7 წლის შემდეგ ვლადიმერ სტეფანია საქართველოში ბრუნდება

ზურა უსუფაშვილი

ამჟამად ვლადიმერ სტეფანია სიეტლში, საკუთარ სახლშია, მხოლოდ ყავარჯნებით ახერხებს გადაადგილდებას და კალათბურთს ტელევიზიით ადევნებს თვალს. მას ცოტა ხანში სასამართლო ელის თავის ყოფილ კლუბთან "პორტლენდ ტრეიბლეიზერსთან," რომელმაც კონტრაქტი დაურღვია და გუნდიდან კომპენსაციის გარეშე გაუშვა.

"ყველაფერი ერთი წლის წინათ დაიწყო, - ჰყვება სტეფანია, - "პორტლენდმა" რამდენიმე კალათბურთელი გაცვალა და ჩემს პოზიციაზე 4-5 მოთამაშე აღმოვჩნდით. მე ისედაც ცოტას მათამაშებდნენ და ამის შემდეგ ხომ საერთოდ აღარ მომიწევდა. ამიტომ გუნდიდან გაშვება ვთხოვე, მაგრამ უარი მითხრეს. როდესაც ვუთხარი, რომ ფეხზე ოპერაცია უნდა გამეკეთებინა, მაშინ დამთანხმდნენ. 8 მარტს გავიკეთე ოპერაცია მარცხენა ფეხზე. ორკვირიანი რეაბილიტაციის შემდეგ მივედი გუნდში და მაშინვე მითხრეს, მთელი დატვირთვით უნდა ივარჯიშოო; მე ვუთხარი, რომ მუხლს ჯერ გაფრთხილება სჭირდებოდა, მაგრამ მაინც მთელი დატვირთვით მავარჯიშებდნენ. ორიოდე დღეში ვარჯიშის დროს მუხლზე ვიგრძენი ტკაცუნი. ფეხი საშინლად ამტკივდა. მუხლი გამისივდა, მაგრამ მეუბნებოდნენ, არაფერია, ითამაშეო. დიდი წვალებით ვვარჯიშობდი, მაგრამ მომდევნო დღეს ტკივილებს ვეღარ გავუძელი და ვარჯიშზე უარი ვთქვი. გუნდში გამსინჯეს და მითხრეს, არაფერი გჭირსო. მე სხვა ექიმთან წასვლა ვარჩიე, მაგრამ სადაც მივედი, მეუბნებოდნენ, მუხლი ოდნავ შესიებულია, ისეთი არაფერიაო. იძულებული გავხდი, ძალდატანებით მევარჯიშა.

ვფიქრობდი, რომ ზაფხულში "პორტლენდს" დავტოვებდი. ამის შესახებ განვაცხადე კიდეც. ჩემით ერთდროულად დაინტერესდნენ მაიამი, ტორონტო და კლივლენდი, რომლებიც გარანტირებულ კონტრაქტებს მთავაზობდნენ, მაგრამ ძლივს დავდიოდი და ვიცოდი, რომ ასეთ მდგომარეობაში კონტრაქტს არ გამიფორმებდნენ. ამიტომ იძულებული გავხდი, "პორტლენდთან" კიდევ ერთი წლით გამეგრძელებინა კონტრაქტი. ამ დროს თამაშს მოწყურებული ვიყავი და ვთხოვე, საქართველოში სათამაშოდ გავეშვი, მაგრამ მითხრეს, რომ ახალნაოპერაციებ ფეხს არც ერთი კომპანია არ დააზღვევდა, ამიტომ თუ საქართველოში წავიდოდი და იქ რამე დამემართებოდა, შემეძლო გუნდში აღარ დავბრუნებულიყავი. მოკლედ, საქართველოში ვერ წამოვედი და ბიჭებთან და ფედერაციასთან ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ვიფიქრე, ახლა როგორ ავუხსნა ქართველებს, მაინც იტყვიან, ჩამოსვლა არ უნდა და არ ჩამოვიდაო, მაგრამ რა მექნა. დავიწყე ვარჯიში. დღეში 5-6 საათს ვვარჯიშობდი. მინდოდა, ფორმაში ჩავმდგარიყავი, მაგრამ, როგორც ჩანს, მარჯვენა მუხლმა დატვირთვას ვერ გაუძლო და ვარჯიშის დროს ტკაცუნი ვიგრძენი. არადა, ამ მუხლზე პრობლემა არასოდეს მქონია. გამისივდა. გუნდის ექიმმა რომ ნახა, რაღაც აბები მომცა, დალიე და ცოტა დაისვენეო, მაგრამ ნახევარ საათში დამიძახეს, ვარჯიშზე კაცი აკლიათ და უნდა ითამაშოო. იქ სხვა მწვრთნელებიც იყვნენ და ასე, ძალით შემაგდეს თამაშში. მეორე დღეს ფეხი უარესად გასივდა. ექიმი ისევ მეუბნება, არაფერიაო. ახლა უკვე ვარჯიშზე უარი განვაცხადე. ისინი დაჯარიმებით დამემუქრნენ. წვალებით მაინც ვითამაშე. სამი დღის შემდეგ კი ფეხზე ვეღარ დავდექი.

ამასობაში სეზონის დასაწყისი ახლოვდებოდა. წავედი სან-ფრანცისკოში, ჩემს ექიმთან. მან რაღაც ნემსი გამიკეთა და ცოტა შვება ვიგრძენი. შემდეგ გუნდში კიდევ მავარჯიშეს, მაგრამ ფეხი არ მირჩებოდა. კლუბის პრეზიდენტმა ულტიმატუმით მომმართა: ერთ კვირაში ან თამაშს დავიწყებდი, თუ არადა, გუნდიდან გამიშვებდნენ. ვუთხარი, რომ შევეცდებოდი, მეთამაშა. ერთ კვირაში ისევ დამირეკა პრეზიდენტმა და მითხრა, რომ გუნდიდან ჩემი გაშვება სურდათ, მაგრამ ფულის გადახდა არ უნდოდათ. ამიტომ შემომთავაზეს, კონტრაქტით გათვალისწინებული 1100 ათასის ნაცვლად ამელო 500 ათასი, ერთმანეთს დავშორებულიყავით და სხვა გუნდში მეთამაშა. მე ვუთხარი, რომ ასეთ მდგომარეობაში ვერსად ვერ შევძლებდი თამაშს, ფეხები დამიმტვრიეთ, ცხოვრება გამიფუჭეთ და ფული კიდევ მე გადაგიხადოთ-მეთქი? მითხრეს: მაშინ ჩვენ უფულოდ გაგიშვებთ და სასამართლოში წავიდეთო.

მე მოთამაშეების პროფკავშირებში დავრეკე. მითხრეს, რომ მე გარანტირებული კონტრაქტი მქონდა და ვალდებულნი იყვნენ, ფული გადაეხადათ. პროფკავშირებიდან გუნდში დარეკეს და შეთანხმდნენ, რომ მე გამგზავნიდნენ ექიმთან, სან-ფრანცისკოში, რომლის დასკვნასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა, მაგრამ გუნდმა დათქმულ სამ დღეს აღარ დაუცადა, მანამდე შემატყობინა, რომ უფულოდ მიშვებდნენ. შოკში ვიყავი. მაინც წავედი სან-ფრანცისკოში, იმ ექიმთან, რომელმაც სურათები გადამიღო და მითხრა, რომ საოპერაციო ვიყავი. როდესაც ვკითხე, სხვა ექიმები რატომ ვერ ხედავდნენ-მეთქი, მიპასუხა: მათ ან ცუდი აპარატურა აქვთ, ან, უბრალოდ, არ უნდათ, რომ დაინახონო. ოპერაცია ჯერ მარჯვენა ფეხზე გამიკეთა, ორი კვირის შემდეგ კი - მარცხენაზე.

მე დაველოდე ჩემი გაშვების შესახებ ოფიციალურ წერილს, რომელშიც ეწერა, რომ ვსიმულანტობდი, ვითომ მტკიოდა ფეხი და ვარჯიშზე და თამაშზე უარს ვამბობდი.

ახლა საქმე სასამართლოშია და თვენახევარში სასამართლოც შედგება. ჩემი ფეხის მდგომარეობა ვიდეოკამერითაც გადაღებულია და დოკუმენტურადაც ასახულია. ასე რომ, იმედი მაქვს, სასამართლოს მოვიგებ. მოთამაშეების პროფკავშირებიც იმედიანად არის. მთავარია, სასამართლო მოვიგო და ეს ყველაფერი გაზეთებში დაიწეროს. შემდეგ უკვე ბევრი კითხვა მოიხსნება და მომავალზეც ვიფიქრებ."

ვლადიმერ სტეფანიამ საუბარში რამდენჯერმე გაიმეორა, რომ მისთვის მთავარია სიმართლის დამტკიცება და "სახელის ჩამოწმენდა", ხოლო უყურადღებოდ სხვა გუნდების მხრიდან ამ ხნის განმავლობაშიც არ ყოფილა. მის მიმართ განსაკუთრებით დიდ ინტერესს იჩენს "ნიუ-ჯერსი". მთავარია, რომ ჯანმრთელად იყოს. ხოლო ახალი კონტრაქტის გაფორმებას ჯერ არ იჩქარებს, რადგან უახლოეს პერიოდში საქართველოში ჩამოსვლას გეგმავს, სადაც 1998 წლის შემდეგ არ ყოფილა.

"ნოსტალგია მაწუხებს. შეიძლება თბილისში აპრილშიც ჩამოვიდე", - ამბობს ის. ამ დროს მასთან იყო მამა - ზაურ სტეფანია, რომლისგანაც საქართველოს ამბები დაწვრილებით იცის. ყავარჯნებს კი, ალბათ, ორიოდე კვირაში მოიშორებს და რეაბილიტაციასაც შეუდგება.

საქართველოს ნაკრების კალათბურთელებთან და ფედერაციასთან კი თავს უხერხულად გრძნობს. იგი შარშან ნაკრების ყველა საკითხში კარგად იყო გარკვეული; მუდმივი კავშირი ჰქონდა ფედერაციის პრეზიდენტთან ბესიკ ლიპარტელიანთან, შემონდ უილიამსის "გაქართველებაშიც" მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, მაგრამ ბოლოს საქართველოში ვეღარ ჩამოვიდა. დღეს იგი ამ ნაბიჯს ნანობს.

"ჯობდა, ჩავსულიყავი თბილისში. თუ ვერ ვითამაშებდი, ბიჭებს გვერდიდან მაინც გავამხნევებდი. მე ნამდვილად მინდა საქართველოს ნაკრებში თამაში. ზაფხულში კონტრაქტით არც ერთ გუნდთან აღარ ვიქნები დაკავშირებული და გამოშვების პრობლემაც აღარ მექნება. ჯერ 28 წლის ვარ და ვგრძნობ, რომ ნაკრებისთვის კიდევ ბევრის გაკეთება შემიძლია. თანაც, აუცილებელია, რომ საქართველოს ნაკრები მომდევნო ეტაპზე გავიდეს. ეს საქართველოში კალათბურთის განვითარებას დიდ ბიძგს მისცემს", - ამბობს კალათბურთელი.

ვლადიმერ სტეფანიას დღესაც აქვს კავშირი ბესიკ ლიპარტელიანთან. ისინი ნაკრებისთვის მწვრთნელის კანდიდატურებსაც განიხილავენ, თუმცა, სტეფანია ამბობს, რომ მის მიერ შეთავაზებულმა სამმა კანდიდატურამ საქართველოს ნაკრებში მუშაობაზე უარი თქვა:

"ისეთი მწვრთნელები, როგორიც, მაგალითად, ობრადოვიჩია, ასეთ რისკზე არ მიდიან. იციან, რომ გუნდი შეიძლება შემდეგ ეტაპზე ვერ გავიდეს, ამიტომ რეპუტაციას უფრთხილდებიან. არადა, კარგი მწვრთნელი ნახევარი საქმეა. მწვრთნელის დანიშვნა არაფრით არ უნდა შეგვეშალოს. საქართველოს ნაკრებს სჭირდება ისეთი მწვრთნელი, რომელმაც იცის ენები, აქვს საზღვარგარეთ და ნაკრებთან მუშაობის გამოცდილება და არის კარგი სელექციონერი. კარგია, თუ ეს მწვრთნელი სახელიანიც იქნება, რადგან ასეთს მსაჯებიც სხვანაირად უყურებენ და კომისარიც, მაგრამ ამ რანგის მწვრთნელები საქართველოს ნაკრების მსგავს გუნდებში არ მიდიან. ჩვენთან სამუშაოდ ისეთი მწვრთნელი თუ წამოვა, ვისაც თავისი სიძლიერის დამტკიცება სურს".




B2 რევიუ B3 რევიუ B4-5 სპორტი B6 თვალსაზრისი B7 კვირის TV პროგრამა B8 სხვადასხვა




## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ნინო ბასილია
"თაგვი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ვაჟა-ფშაველა
"გველისმჭამელი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
"ლაბირინთი"
ავტორი და რეჟისრი: კახა ბაკურაძე
დას: 19:00 სთ;
ფასი: 3-5 ლარი.

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
დავით კლდიაშვილი
"ბაკულას ღორები"
დამდგმელი რეჟისორი: მიხეილ თუმანიშვილი
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
პატრიკ ზიუსკინდი
"კონტრაბასი"
ფასი: 3 ლარი
დას: 18:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
"დუმილის პოეზია"
რეჟისორი: კოტე მებუკე
დას: 18:00 სთ.

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"ოუშენის 12 მეგობარი"
დას: 11:30; 14:00; 16:30; 19:00; 21:30 სთ.

**ამირანი**
"ოუშენის 12 მეგობარი"
დას: 12:00; 14:30; 17:00; 19:30; 22:00 სთ.

## გალერეები

**ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"**
რუსუდან ბერიძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (მხატვრული ქსოვილები)

**TMS**
ხუტა ირემაძის ნამუშევართა მემორიალური გამოფენა (ფერწერა)

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

**ეროვნული გალერეა**
იზა მღებრიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა)

**ძველი გალერეა**
თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა (ფერწერა)

**თანამედროვე ქართული ტექსტილის გალერეა "ათინათი"**
"მეტამორფოზები"
(თინა კლდიაშვილი და დავით მონავარდაშვილი)

**ორნამენტი**
მუდმივმოქმედი ექსპოზიცია "ტიხრული მინანქარი"

**ჰობი**
I დარბაზი
ნუგზარ ნათენაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა)

II დარბაზი
თანამედროვე ქართველ მხატვართა გამოფენა

**თბილისის კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტის საგამოფენო დარბაზი**
პლაკატებისა და მხატვრული ფოტოს გამოფენა
(პროექტ - "აივ/შიდსისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების
პრევენცია ახალგაზრდებს შორის" - ფარგლებში)

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

## გამოფენა-აქცია

გუშინ პროექტის - "აივ/შიდსისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების პრევენცია ახალგაზრდებს შორის" ფარგლებში, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის თბილისის კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტის საგამოფენო დარბაზში გამოფენა გაიხსნა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო პლაკატები და მხატვრული ფოტოები, სადაც ფოტომასალად ცნობილი ამერიკელი ფოტოჟურნალისტის კენტ კლინჩის ნამუშევრებია გამოყენებული.

გამოფენის ორგანიზებაში საქართველოს სამხატვრო აკადემია, თბილისის სოლომონ ვირსალაძის სახელობის პირველი სამხატვრო სკოლა და კულტურისა და ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტები მონაწილეობდნენ. აქცია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა.

*ინტერ-პრესი*

# ახლებურად ამეტყველებული ნაცნობი გმირები

### და წითელი, კეხურა ვაშლები...

ვერა ნეფარიძე

*- ტომ! პასუხი არ არის, - ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფრაზა მსოფლიო ლიტერატურული საგანძურიდან, რომლითაც ადამიანები საუკუნეზე მეტია, ადრეული ასაკიდან პარალელური სამყაროს სიყვარულს იწყებენ; "ტომ სოიერი არ გაქვთ"? - ეს უკვე ჩვენი წიგნის მაღაზიებისთვის ტრადიციული შეკითხვაა, რომელზეც დღემდე ერთადერთი, უარყოფითი პასუხი არსებობდა.*


ვახო ბესელიას ფოტო

რასაკვირველია, მარკ ტვენის "ტომ სოიერის თავგადასავალი" აქამდეც გვქონდა და შემოგვრჩა კიდეც, მაგრამ არა დახლებზე... ქართველი მკითხველი ამ გენიალურ საბავშვო რომანს რუსულად ან რუსულიდან თარგმნილს გაეცნო და შეიყვარა. მაგრამ ახლა სხვა დროა და ამ კარგი, საჭირო და აუცილებელი წიგნის (ახალგაზრდა ქართველი მწერლის დახასიათებაა) ახლებურად გამოცემის აუცილებლობა დადგა. გამომცემლობა "არეტემაც" არ დააგვიანა და "ტომ სოიერის" თავისებური გამოცემა შემოგვთავაზა.

"მსოფლიოში ყველაზე პოპულარული საბავშვო რომანი, ყველა თაობის ქართველთა საყვარელი წიგნი უკვე ახალ თარგმანში შეგიძლიათ წაიკითხოთ. "ტომ სოიერის თავგადასავალი" ჩვენში პირველად ითარგმნა ინგლისურიდან. ასმათ ლეკიაშვილის მიერ ახლებურად ამეტყველებული ნაცნობი გმირები, წიგნის პირველი ილუსტრატორის, თრუ უილიამსის ნახატებთან ერთად, მარკ ტვენის ბავშვური ფათერაკებით აღსავსე სამყაროში შეგიძლვებათ", - ამგვარია ახალი გამოცემის ანოტაცია. გუშინ კაფე "პარნასში" სწორედ ამ გამოცემის აღსანიშნავად შეიკრიბნენ მარკ ტვენისა და მისი ნაწარმოებისა თუ გმირის თაყვანისმცემელთა მცირე, მაგრამ მრავალფეროვანი წრე: მწერლები, პოეტები, მუსიკოსები, სატელევიზიო წამყვანები, ჟურნალისტები და თვით სახალხო დამცველიც კი, - ჩვენ ყველანი ხომ ბავშვობიდან მოვდივართ, ბავშვობა კი ტომ სოიერის გარეშე ცოტა ძნელი წარმოსადგენია; ამ ლიტერატურული გმირის შთაბეჭდილებიდან ხომ ძალიან გვიან და, შესაძლოა, არც არასდროს გამოდიან. თუ როგორი ზემოქმედება მოახდინა ტომ სოიერმა გუშინდელი პრეზენტაციის, "პარნასის" ლიტერატურული შეხვედრების ტრადიციულ მასპინძელსა და წამყვანზე ბესო ხვედელიძეზე, თავად განსაჯეთ: ახალგაზრდა მწერლის მოთხრობების ბოლო კრებულს თუ გადაშლით, პირველ გვერდზე წაიკითხავთ: "ტომ! პასუხი არ არის".

"რაც მაღაზია "პარნასი" გაიხსნა, მას შემდეგ ისმის შეკითხვა: "ტომ სოიერი" არ გაქვთ? ორი წელიწადი არ გვქონდა. ახლა თამამად შეგვიძლია ვუპასუხოთ, რომ გვაქვს", - ამბობს "არეტეს" დირექტორი გია დარსალია. გამომცემლობის კიდევ ერთი ხელმძღვანელი მალხაზ ხარბედია (ასევე, წიგნის რედაქტორი) გვიმხელს, რომ "არეტეს" პირველი გამოცემა სწორედ "ტომ სოიერის თავგადასავალი" უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვიდრე სასურველი თარგმანი არ მიიღეს, საქმეს ხელი არ მოჰკიდეს. "ორი წლის წინათ დაიწყო წიგნზე მუშაობა, მაგრამ თარგმანი არ მოგვეწონა; ყოველ შემთხვევაში, არ იყო ის, რაც გვინდოდა. დიდი ფიქრი არ დაგვჭირვებია, მივმართეთ არაჩვეულებრივ მთარგმნელს ასმათ ლეკიაშვილს. მენდეთ სიტყვაზე, ეს თარგმანი დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ". მთარგმნელის შესახებ საკუთარი დამოკიდებულება გამოხატა კიდევ ერთმა გამომსვლელმა გიორგი ლობჟანიძემ: "ქალბატონი ასმათის თარგმანებს ყოველთვის დიდი სიხარულით ველოდები. მცირე ზომის, უბრალო თარგმანსაც უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება. რაც შეეხება ამ თარგმანს, ტომ სოიერთან დაკავშირებით, მისი სამუშაო დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, როცა ასეთი ცოცხალი ტექსტი არსებობს, გრიგოლ ყიფშიძის თარგმანი რუსულიდან, და ხელს ჰკიდებ, სარისკოა. მიხარია, რომ ჩემი შვილი ასმათ ლეკიაშვილის თარგმანზე გაიზრდება". რაც შეეხება მთარგმნელს, ქალბატონი ასმათი პრეზენტაციას არ ესწრებოდა, მაგრამ წიგნის რედაქტორმა გაგვიმხილა ერთ-ერთი ხერხი, რითაც მთარგმნელი წიგნზე მუშაობისას ხელმძღვანელობდა. ქალბატონ ასმათს უთქვამს, ვცდილობდი, ბებიაჩემის ქართულიც გამომეყენებინა და თანამედროვე მოზარდების ენაცო...

"გვინდოდა, ტრადიციები ნოვაციასთან შეგვერწყა", - თქვა მალხაზ ხარბედიამ. საქმე ისაა, რომ "არეტეს" მიერ გამოცემულ "ტომ სოიერს" კიდევ ერთი საინტერესო დეტალი აქვს: ის წიგნის პირველი ილუსტრატორის, თრუ უილიამსის ნახატებითაა გაფორმებული. "არეტე" კი ბავშვებისთვის მორიგ საჩუქარს, მარკ ტვენის "ჰეკლბერი ფინის თავგადასავალს" ამზადებს;

P.S. პრეზენტაციაზე მალხაზ ხარბედიამ აღნიშნა, დღევანდელ საღამოს კენტუკიში გამოხდილი ვისკი, "მარკ ტვენი" მოუხდებაო; ვისკისა რა მოგახსენოთ და, გუშინდელ პრეზენტაციას წითელი, კეხურა ვაშლები ძალიან მოუხდა.

# მხატვრობა, რომელიც საზოგადოებას ენატრება

### პოეტურად ქალის დახატვა ფერწერაში - ეს ხუტა ირემაძეა

ვერა ნეფარიძე

*28 იანვრიდან მოყოლებული გალერეა TMS-ში რიგით დამთვალიერებლებთან და შემთხვევით გამვლელებთან ერთად, თითქმის ყოველდღე იკრიბებიან მხატვრები: საუბრობენ, იგონებენ; ხანდახან, არც ხვდებიან ერთმანეთს და უბრალოდ, ათვალიერებენ. გალერეაში გამოფენილი ოჯახური კოლექცია - ეს ერთადერთი ხელშესახები დარჩენიათ მეგობრებს ხუტა ირემაძისგან. თავად კი ცდილობენ, გამოასწორონ ხარვეზი და ფართო საზოგადოებას მეტი უამბონ მეგობარ ფერმწერზე, რომელიც ყოველთვის გაურბოდა ინტერვიუებს საკუთარ შემოქმედებაზე და არც პერსონალური გამოფენების მოწყობა ჰქონია თვითმიზნად. ალბათ ამიტომაც, გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ, გალერეა TMS-ში მოწყობილი ექსპოზიცია სამშობლოში ხუტა ირემაძის პირველი პერსონალური გამოფენაა.*


ლევან ხერხეულიძის ფოტო

"უკაცრავად, ვისი გამოფენაა?", - იკითხა ქალბატონმა, რომელიც გალერეაში არასრულწლოვან ბავშვთან ერთად ათვალიერებდა გამოფენას; პასუხი - ხუტა ირემაძის სახელი და გვარი რამდენიმეჯერ გაამეორებინა გია გუგუშვილს, რომელიც მეგობრის მხატვრობაზე მესაუბრებოდა და მხრები აიჩეჩა: გაუკვირდა, რომ აქამდე არ გაეგონა. ბოლოს მაინც ვერ მოითმინა და კიდევ ერთხელ გაგვაწყვეტინა საუბარი: "არაჩვეულებრივია, არაჩვეულებრივი..." ეს ქალბატონი ნამდვილად არ არის გამონაკლისი. როგორც გარდაცვლილი მხატვრის ახლობლებთან საუბრისას შევნიშნე, ხუტა ირემაძის ფერწერას ძირითადად მეგობრები, ახლობლები და ხელოვნებათმცოდნეები იცნობდნენ კარგად და აფასებდნენ. და ისინიც არ ჩქარობდნენ. გია გუგუშვილმა მიამბო, ერთი ნახატი მაჩუქა; მერე ვილაც უცხოელს იმდენად მოეწონა, ხუტამ მითხრა - მიეცი, მე სხვას გაჩუქებო და ასეც მოიქცა. ახლა კი ძალიან ნანობს ბატონი გია - ხუტასგან მისი მეათე კლასში შესრულებული ნახატი დამრჩა მხოლოდო... მხატვარი მოულოდნელად გარდაიცვალა; მძიმე ავადმყოფობის შესახებ ყველამ მაშინ შეიტყო, როდესაც დაავადება ბოლო სტადიაში იყო.

ვინც ამ დღეებში TMS-ში შეივლის, პირველი, რაც თვალს "მოჭრის", ეს გამოფენილი ფერწერის ფერებია: რაღაცნაირი, ნათელი, თითქოს ალაგ-ალაგ მყვირალა... მეგობარი მხატვრები ამ ყველაფერზე ამბობენ: ესაა მხატვრობა, რომელიც მარტო მხატვრებს კი არა, საზოგადოებას ენატრებაო. "ვირტუოზი ფერმწერი იყო, ნახევარტონების შეხამება არაჩვეულებრივად გამოსდიოდა. ისე მაგრად ხატავდა - ფანქრით ხატვას ვგულისხმობ, ფერწერა უკვე ალარაფერი იყო მისთვის. და კიდევ: პოეტურად ქალის დახატვა ფერწერაში - ხუტა ირემაძეა. ისე დაგვაკლდა, მგონია, მისი წასვლის შემდეგ ვაკუუმი გაჩნდა თანამედროვე ქართულ მხატვრობაში", - ამბობს გია გუგუშვილი. მეგობრები ამბობენ, ბოლო პერიოდის ნამუშევრებში დახატული ყველა ქალი მისი მეუღლის, ლენა ყუბანეიშვილის ტიპაჟიაო. თუმცა, ეს ხუტა ირემაძის შემოქმედების ბოლოდროინდელი ნაწილია. მანამდე მხატვარს რადიკალურად განსხვავებული ფერწერა ჰქონდა. იმ პერიოდის ნამუშევრებს TMS-ში ვერ შეხვდებით. საერთოდ, ოჯახს მხატვრის სრული მემკვიდრეობა არ დარჩენია. ბევრი ნამუშევარი საზღვარგარეთ, გალერეებსა და ფონდებშია. მხატვარი რამდენიმე უცხოურ გალერეასთან თანამშრომლობდა, რის შედეგადაც ავსტრალიაში, გერმანიაში, საფრანგეთში სხვადასხვა დროს ხუტა ირემაძის პერსონალური გამოფენები გაიმართა. თუმცა, ერთ-ერთი თანამშრომლობის "წყალობით" მხატვრის ორმოცდაათამდე ტილო ისე დაიკარგა, რომ ველარც იმ გალერეის (სადაც ისინი ინახებოდა) მესვეურებს მიაგნეს. ამჟამად მხატვრის ოჯახი ხუტა ირემაძის გერმანიაში არსებული ნამუშევრების ჩამოტანას აპირებს, რის შემდეგაც თბილისში მხატვრის მორიგი პერსონალური გამოფენა მოეწყობა.

ხუტა ირემაძის პერსონალური გამოფენის მოწყობას გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე გალერეა TMS აპირებდა. მხატვარიც დათანხმებულა, მაგრამ აღარ მოესწრო. "ფერწერისთვის ძალიან ახალგაზრდა, ჯერ კიდევ ძიებაში იყო", - მეუბნება გალერეის დიასახლისი ნანა ლეთოდიანი. და კიდევ, ხუტა ირემაძეზე საუბრისას მეგობარი მხატვრები მხოლოდ მის პროფესიონალიზმზე საუბრით არ შემოიფარგლებიან. ამბობენ, რომ იმდენად განსაკუთრებული პიროვნება იყო, რომ მასთან ერთადერთი შეხვედრაც კი არ ავიწყდებოდათ. ემოციური, იმპულსური, ძალიან გახსნილი, იშვიათი განათლების, ინტელექტუალი... - ამგვარად ახასიათებენ მეგობარს. "ექვსი წელიწადი ერთად ვისწავლეთ. ყოველი ჩვენი შეხვედრა ჩხუბის მიზეზი იყო, ბოლოს კი გადავეხვეოდით ერთმანეთს. კამათი უყვარდა. "ხალტურას" არ აკეთებდა არასდროს. ისეთი უშიშარი იყო, ყველას აოცებდა", - იხსენებს მხატვარი გოგი ლაზარაშვილი. ხუტა ირემაძეს პედაგოგის ოცწლიანი გამოცდილება ჰქონდა; სამხატვრო აკადემიაში ზოგადი ფერწერის კათედრაზე მუშაობდა. დატოვა თუ არა მხატვრობაში მემკვიდრე, ამას დრო გვაჩვენებს. მანამდე კი, ახლობლები, ოჯახის წევრები ეცდებიან ფართო საზოგადოებას კარგად გააცნონ მხატვრის მემკვიდრეობა, შემოქმედებაზე სრულყოფილი შთაბეჭდილების შესაქმნელად.

# 21-ე საუკუნის ბავშვებისთვის

### ატლასი და სამაგიდე წიგნი

*21-ე საუკუნის ადამიანს მოეთხოვება: გონების სიფხიზლე, კრიტიკული აზროვნება, პრობლემების შემოქმედებითი გადაჭრის, სწრაფად ცვალებად სიტუაციებთან და არამდგრად გარემოსთან შეგუების უნარი, გლობალური ცოდნა, გუნდური მუშაობა, ინტუიცია - გამომცემლობა "ელფის" ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ექსპერტთა ამ პრინციპების გათვალისწინებით იქმნება და იბეჭდება მათთან წიგნები საქართველოს ბავშვებისთვის. არის თუ არა ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების ერთგული "ელფის" ორი უკანასკნელი გამოცემა - "ჩემი საქართველო" და "საქართველოს საბავშვო ატლასი", ამაზე ახლად გამოცემული წიგნების პირველმა მყიდველებმა უნდა იმსჯელონ. გუშინ კი ამ გამოცემების პრეზენტაციას კინოთეატრ "რუსთაველში" დაბინავებულმა საბავშვო წიგნების მაღაზია "ყირამალამ" უმასპინძლა.*



*"ჩემი საქართველოს" მკითხველებს ავტორები ჩვენი ქვეყნის უკეთესად გაცნობას ჰპირდებიან.*

ორი ახალი წიგნი - "ჩემი საქართველო" და "საქართველოს საბავშვო ატლასი" გამომცემლობის პროექტის "საქართველოს" ფარგლებში გამოიცა. "ჩვენ მიერ გამოცემული წიგნების უპირატესობა ისაა, რომ ითვალისწინებს ზოგადი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და განვითარების პრინციპებს", - ამბობენ გამომცემლობის მესვეურები და მაგალითად მოყავთ სხვადასხვა წიგნი ("როგორ ვისწავლო" - 9-დან 15 წლამდე, ან "მხიარული არითმეტიკა" - 4-დან 8 წლამდე ბავშვებისთვის).

ამჯერად გამოცემული წიგნის "ჩემი საქართველოს" მკითხველებს ავტორები ჩვენი ქვეყნის უკეთესად გაცნობას ჰპირდებიან. "წიგნში ჩვენ თვალწინ ცოცხლდება ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი არსებობის, თავგანწირული ბრძოლის ეპიზოდები. წიგნში მოცემული უამრავი ილუსტრაცია და ფოტო კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველო უდიდესი და უძველესი კულტურის ტრადიციების ქვეყანაა. წიგნში გამოყენებულია 500-მდე დოკუმენტური ფოტო და ილუსტრაცია. ეს არის ვიზუალური ენციკლოპედია მთელი ოჯახისათვის", - გვეუბნება "ელფის" დირექტორი თინათინ დიდებულიძე. "ჩემი საქართველოს" ავტორია ლამარა შენგელია. რაც შეეხება "საქართველოს საბავშვო ატლასს" - მისი მიზანია, პატარები საქართველოს ყველა კუთხეში ამოგზაუროს, გააცნოს მათ ტრადიციებს, ისტორიულ ძეგლებს და რაც მთავარია, დაარწმუნოს, რომ ისინი მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს და ულამაზეს ქვეყანაში - საქართველოში ცხოვრობენ.

გამომცემლობა "ელფი" თავს იწონებს დაარსების დღიდან სხვადასხვა საერთაშორისო პროექტში მონაწილეობით, რისთვისაც ბიზნესინიციატივების საერთაშორისო ასოციაციამ მას სპეციალური პრიზი მიანიჭა. ყოველწლიურად მონაწილეობს ფრანკფურტის წიგნის მსოფლიო ფესტივალში და აკრედიტირებულია ამ ფესტივალის პრესცენტრში; შეყვანილია მსოფლიო გამომცემელთა კატალოგში "ვინ ვინაა". არის საქართველოს გამომცემელთა ასოციაციის პრესმენეჯერი; გამოსცემს ყოველთვიურ გაზეთს "გამომცემელი" და ჟურნალ-კატალოგს "ჩვენ გამომცემლები".

# წითელ წიგნში შესატანი

დათო აბიაშვილი

80-იანი წლების ბოლოს, როდესაც კინოსტუდია" ქართული ფილმის" თვითანაზღაურებაზე, ეგრეთ წოდებულ "ხოზრაშჩოტზე," გადასვლა გადაწყდა, აკაკი ბაქრაძემ თქვა, დღეს ქართულმა კინომ სული განუტევაო, მე მგონი, უფრო მარტივად თქვა - მოკვდაო. სამწუხაროდ, მისი ეს წინასწარმეტყველება (ისევე როგორც ბევრი სხვა მისი ნათქვამი) ახდა.

ქართულმა კინომ, რომელმაც ათწლეულების მანძილზე გაუძლო უმკაცრეს ცენზურას, მწირ ხარჯთაღრიცხვას, გადარიცხვების უაზრო სისტემას, პოლიტიკურ წნეხს და ულარიბეს მატერიალურ ბაზას, ვერ გაუძლო მართვის უფრო თანამედროვე სისტემაზე გადასვლას. და ეს მაშინ, როდესაც ნანატრი თავისუფლება ასე ხელმისაწვდომი იყო. ერთ, დიდ პოეტს თუ დავესესხებით, ჭერმოგლეჯილი აღმოჩნდა ღია ცის ქვეშ. კვდებოდა ხელოვნების დარგი, რომელიც თითქმის საუკუნის მანძილზე მთელი ქვეყნის სიამაყის საგანი იყო. "ქართული კინოფენომენი" - ასე უწოდებდნენ ჩვენი ქვეყნის გარეთ, იმ 3 ათასი ადამიანის შრომის ნაყოფს, ათწლეულების მანძილზე მუხლჩაუხრელნი რომ ცდილობდნენ შეექმნათ სურათები, რომლებიც ადამიანებს დააფიქრებდა, გააცინებდა და ხშირად ცრემლსაც მოჰგვრიდა.

ქართულ კინოში თავს იყრიდა ყველა ის სიკეთე, რაც ქართველ კაცს ახასიათებდა, ის გამორჩეულობა, 20-იანი წლების ბოლოს ევროპამოვლილ, ხანდაზმულ ქართველ ემიგრანტს რომ ათქმევინა, ჩვენ რაც ცუდი გვაქვს, თურმე ყველას ჰქონია, მაგრამ ჩვენ რაც კარგი გვაქვს, არავის არა აქვსო.

როდის დაიწყო ეს ყველაფერი, აკაკის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობისას, თუ დაუვიწყარი მუნჯური ფილმებიდან, "ქრისტინედან," თუ "ელისოდან", "ჩემი ბებიადან", თუ "დაკარგული სამოთხიდან"?

თუ ჩემი მორიდებული აზრი გაინტერესებთ, ყველაფერი დაიწყო 60-იანელების მოსვლიდან. თაობა, რომელიც ნებისმიერ დიდ ერს დაამშვენებდა, საქართველოში იწყებს მოღვაწეობას. მწერლები, პოეტები, მხატვრები, კომპოზიტორები, მსახიობები. ნიჭიერებით თვალგაბრწყინებული ახალგაზრდები, თავის მთავარი საქმის გარდა ქართული კინოხელოვნების სამსახურში დგებიან და კინოც ყოველდღიურად იცვლება: ამბავი განზოგადებული ხდება, დიალოგი სადა და ბუნებრივი, ეკრანი შუქ-ჩრდილებით ივსება, მელოდია კი მაყურებელს სეანსის დამთავრების შემდეგ ქუჩაში თან მიჰყვება.

სასცენარო პოლიტიკას მიხეილ კვესელავა, შემდეგ აკაკი ბაქრაძე წარმართავენ. კინორეჟისორთა დიდი ნაწილი უმაღლეს განათლებას თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში იწყებს, შემდეგ მოსკოვის კინოინსტიტუტს ამთავრებს. რაც მთავარია, ესენი არიან განათლებული, წიგნის მოყვარული, ახალი, საკუთარი გზების მაძიებელი ახალგაზრდა შემოქმედნი, რომლებიც დიდი საქმეებისთვის არიან მზად. საკუთარი კვალის გავლება კი რთულია. შემოდის და ითარგმნება ადრე უცნობი და აკრძალული, ევროპელ და ამერიკელ მწერალთა ნაწარმოებები, იტალიური ნეორეალიზმი თითქოსდა თემას არ ტოვებს დაუმუშავებელს. ამ გავლენებისგან განთავისუფლება, მეტად ძნელია ახალგაზრდა კაცისთვის; თან ცენზურა ვითომ დათბა, ყინულმა დნობა დაიწყო; მაგრამ სუსხი კვლავ მოდის ჩრდილოეთიდან. ყველა სცენარს მოსკოვი ამტკიცებს, მულტიპლიკაციური ფილმის სცენარსაც კი, სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის. თაროზე დებენ "აპრილს", მერე "ომალოს". "გიორგობისთვეს" ჩეხავენ და რეჟისორს მეტალურგიულ ქარხანაში უშვებენ გამოსასწორებლად. ყველაფერს მხოლოდ რუსებს ნუ დავაბრალებთ: "დიდ მწვანე ველს" სამ დღეში ხსნიან ეკრანებიდან ქართველი კინომცოდნის საგაზეთო რეცენზიის საფუძველზე, მიშა კობახიძეს ფილმების გადაღებას უკრძალავენ ქართველი ადმინისტრატორის მიერ აგორებული საქმის გამო. იმ ხანებში არ იყო საშუალება ნობელის პრემიების მიმნიჭებელ კომიტეტში გეჩივლა, ან ევროკავშირში, ან ჰააგაში; აქვე, ლესია უკრაინკას ქუჩაზე არ იყვნენ ყურის კარგად დამგდები და სასწრაფო ზომების მიმღები ბიჭები?

იმდროინდელი ფილმების ტიტრებს თუ გადახედავთ, ბევრ სახელოვან სახელს შეხვდებით: რევაზ ინანიშვილი, ოთარ ჭილაძე, რეზო ჭეიშვილი, ნოდარ დუმბაძე, ანზორ სალუქვაძე, რეზო გაბრიაძე, ერლომ ახვლედიანი, სულიკო ჟღენტი, არჩილ სულაკაური, ამირან ჭიჭინაძე, დიმიტრი ერისთავი, ზურა ნიჟარაძე, ედმუნდ კალანდაძე, რევაზ და თენგიზ მირზაშვილები, ავთო ვარაზი, ვახტანგ რურუა, რევაზ ლაღიძე, ბიძინა კვერნაძე, ჯანსუღ კახიძე; რომელი ერთი მოვიხსენიო, ან სწორია კი მათი ერთ სიაში გაერთიანება?! მაგრამ ყველა ზემოთ ჩამოთვლილნი წარმოადგენენ ქართული ხელოვნების მამოძრავებელ ძალას. მათი დამსახურება არის, რომ ქართველ რეჟისორებთან და მსახიობებთან ერთად შექმნილი ფილმები ასე ეროვნული თვითმყოფადობით სავსე და ამავდროულად, თანამედროვე და სადა იყო.

მსახიობთა უზარმაზარი პატივისცემა მოსახლეობაში, ნიჭიერების და პოპულარობის გარდა, მათი ადამიანური თვისებებითაც იყო განპიროვნებული. ისინი საზოგადოების აქტიური წევრები იყვნენ, არ გაურბოდნენ უბრალო ადამიანებთან სიახლოვეს და ხშირად გვერდშიაც ედგნენ გაჭირვების ჟამს...

ქართული ფილმები კი თავის დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებენ. ჯერ საკავშირო ეკრანიდან ითქვამენ სახელს, მერე მძიმედ, მაგრამ მაინც გადიან ევროპულ კინოფესტივალებზე. პირველი ჯილდო "მაგდანას ლურჯას" ჩამოაქვს, შემდეგ გამარჯვებული ფილმების რაოდენობა იზრდება და რეჟისორიან მაყურებლიანად ისე შევეჩვიეთ ქართული კინოს აღიარებას ევროპის ფესტივალებზე, რომ გაოცებას უპრიზოდ დაბრუნებული ფილმები იწვევდნენ მხოლოდ. ერთხელ მოსკოველმა კინორეჟისორმა დამირეკა, ვენეციის ფესტივალზე ჩემი ფილმი არის მიწვეული და ეგებ გამიგო ქართველები ან ფარაჯანოვი ხომ არ არიან მიწვეულები, მაშინ სურათის გაგზავნას აზრი არა აქვსო.

ზემოთ გმირები ვახსენე. ჩემი თაობის ბიჭებისთვის ყველაზე დიდი ავტორიტეტი გურამ რჩეულიშვილი გახლდათ. გვიყვარდა მისი შემოქმედება, სამაგალითო იყო მისი ცხოვრება და გარდაცვალებასაც, რაღაც იდუმალი ელფერი დაჰკრავდა. პიროვნულად არ ვიცნობდით და ამ სიცარიელის შევსებას, მის მეგობრებთან - ვაჟა გიგაშვილთან, გურამ გეგეშიძესთან, ერლომ ახვლედიანთან თუ თემო ჯაფარიძესთან საუბრებით ვცდილობდით. 1967 წელი იყო; ბაკურიანის ახლად გახსნილ სასტუმროს ბარში, ლაშა თაბუკაშვილი და მე მაგიდასთან მიგვიწვიეს უფროსი თაობის მწერლებმა. ეს ის წელია, როდესაც მერაბ კოკოჩაშვილმა ბაკურიანში "დიდი მწვანე ველი" ჩამოიტანა, ლანა ღოღობერიძემ კი "ფერისცვალება." პირველად სახალხოდ წაიკითხა საკუთარი ლექსები 15 წლის მამუკა სალუქვაძემ, კარგმა პოეტმა და დიდი ბუნების ადამიანმა. დღისით კი სემინარებზე ბუნებრივი, ქართული არტისტიზმით აღსავსე გურამ ასათიანი ხმალამოღებული ებრძოდა სოცრეალიზმის დინოზავრებს. მოკლედ, ტარიელ ჭანტურიამ და ოტია პაჭკორიამ მაგიდასთან მიგვიწვიეს 17-18 წლის ბიჭები. რა თქმა უნდა, გურამზე ჩამოვაგდეთ საუბარი, ირგვლივ კი დიდი დროსტარება მიდიოდა ცეკვებით და შეკივლებებით. ტარიელმა თქვა, გურამი რომ აქ ყოფილიყო, ყველაზე მეტს მოილხენდა, დალევდა, იცეკვებდა ყველას აიყოლიებდა, მაგრამ ბოლომდე დარჩებოდა ყოველივე აქ მომხდარის ფხიზელი, ობიექტური შემფასებელიო.

უფრო ადრე კი ეკრანებზე გამოვიდა გიორგი შენგელაიას "ალავერდობა" გურამის ცნობილი მოთხრობის მიხედვით. საოცრად სევდიანი, ამავდროულად, კაცური, გურამის შესაფერისი ფილმი. ეს ფილმი იყო ლიტერატურული ნაწარმოების ეკრანიზაციის ის იშვიათი შემთხვევა, როდესაც კინოხელოვნების არც ერთი შემადგენელი ნაწილი არ დაზარალდა, ჩვენ კი ბედნიერები შევცქეროდით გურამის გაცოცხლებას და რა ვიცოდით, რომ ცოტა ხანში "ფიროსმანი" გველოდებოდა. "გიორგობისთვემ", ისევე როგორც "ვედრებამ," "იყო შაშვი მგალობელმა", მოგვიანებით "პასტორალმა" საზოგადოება ორ ნაწილად გაჰყო: "ჩვენები" რომლებიც ფილმს ვგულშემატკივრობდით და "ისინი", რომლებიც ფილმს ებრძოდნენ. ყოველივე ამას იმიტომ ვიგონებ, რომ მინდა აღვნიშნო, ქართული კინო ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი მნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილი იყო. საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობდა, ხშირ შემთხვევაში, ჩვენი იმდროინდელი ცხოვრების გამომხატველი იყო და ზოგჯერ შეფარვით, მინიშნებით, იგავ-არაკულადაც კი სიმართლის თქმისთვის იყო მოწოდებული. ქართული კინო იყო ამსახველი ქართული კულტურის ყველა დარგის. იგი, როგორც სინთეზური ხელოვნება, თავის თავში აერთიანებდა ქართულ მხატვრობას და მუსიკას, ლიტერატურას და პოეზიას, ფოლკროლურ ცეკვებს და საგალობლებს, არქიტექტურულ ძეგლებს და ბუნების მშვენიერებას, ყოველივე იმას, რასაც ქართული სული ჰქვია.

დედამიწაზე ათიათასობით ჩიტის ჯიში არსებობს, ერთს მაინც თუ გადაშენება დაემუქრა, სასწრაფოდ წითელ წიგნში შეჰყავთ, მთელი ცივილიზებული მსოფლიო განგაშს ტეხს, რომ ჩვენ ათასფეროვან დედამიწას ერთი ფერიც კი არ მოაკლდეს. ქართული კინოს სიკვდილით ჩვენ ბევრად მეტს ვკარგავთ. ქართული კინო ჩვენს შვილებს და შვილთაშვილებს სჭირდებათ. მათ, დღეს აღტაცებულნი რომ უყურებენ "ქორწილს" და "ქოლგას," "არაჩვეულებრივ გამოფენას" და "შერეკილებს", "ჩვენს ეზოს" და "სხვის შვილებს", "ლაზარეს" და "სერენადას", "უბედურებას" და "თუშ მეცხვარეს", "ქვევრს" და "ერთი ნახვით შეყვარებას", "ივანე კოტორაშვილის ამბავს" და "ბელურების გადაფრენას", "მონანიებას" და "გზა შინისაკენს"...

ეეჰ, რომელი ერთი ჩამოვთვალო.

ეგებ ერთად მოვძებნოთ გამოსავალი...

ისარგებლეთ ლაი-ლაით & იკითხეთ 24 საათი

1 აქციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია „24 საათი"-ს ყველა მკითხველს

2 შეაგროვეთ სამი კვირით მონიშნული კუპონი და მიიღეთ საჩუქრად ლაი-ლაის სიმ-ბარათი

3 კუპონები ამოჭერით მითითებულ ადგილას და შეაგროვეთ ისე, რომ დაკომპლექტდეს ნუმერაცია 1, 2, 3 (მნიშვნელობა არ აქვს რომელი თარიღის გაზეთიდანაა ამოჭრილი კუპონი).

4 კუპონები წარადგინეთ ჯეოსელის თბილისისა და რეგიონების სარეალიზაციო წერტილებში ან სალონურ ქსელში. თქვენ იხდით 10 ლარს ისევ თქვენი სასაუბრო დროისთვის და იღებთ ლაი-ლაის სრულ სასტარტო პაკეტს (ლაი-ლაის სიმ-ბარათი + 10 ლარის ღირებულების სასაუბრო დრო)




აქცია ძალაშია: 2005 წლის 1 თებერვლიდან 1 აპრილამდე.

კუპონების განაღდება შესაძლებელია: 2005 წლის 15 აპრილამდე.

სიმ-ბარათის აქტივაციის ბოლო ვადა: 2005 წლის 30 აპრილი.

| ქალაქი | მისამართი |
|---|---|
| თბილისი | რუსთაველის გამზ. №38 |
| | კოსტავას №37 |
| | ბაქოს №2 |
| | შემელიძის №3 |
| | ჯავახეთის №44 |
| | ქ. წამებულის გამზ. №75 |
| | კინოთეატრი "რუსთაველი" |
| | გამსახურდიას გამზ. №24 |
| | რუსთაველის გამზ. №31 |
| | მარჯანიშვილის №19 |
| | წერეთლის გამზ. №141ა |
| | ყაზბეგის გამზ. №41 |
| | მ.კოსტავას №22 |
| | მ.კოსტავას №7 |
| ზესტაფონი | ჭანტურიას № 2 |
| ქუთაისი | თამარ მეფის №25 |
| სამტრედია | რუსთაველის № 27 |
| სენაკი | რუსთაველის № 211 |
| ზუგდიდი | კოსტავას №5ა |
| ხობი | დადიანის № 238 |
| ფოთი | 26 მაისის № 2 |
| ბათუმი | ერას №54/62 |
| ქობულეთი | აღმაშენებლის №135 |
| ოზურგეთი | ჭავჭავაძის № 6 |
| ჩოხატაური | ღუმბაძის №7 |
| ლანჩხუთი | თავისუფლების №2 |
| რუსთავი | ხალხთა მეგობრობის №10 |
| მარნეული | რუსთაველის №37 |
| ბოლნისი | ს.-ს. ორბელიანის № 44 |
| თელავი | კოსტავას № 3 |
| ყვარელი | ილია ჭავჭავაძის №64 |
| ლაგოდეხი | 26 მაისის №14 |
| წნორი | სტალინის №11 |
| დედოფლისწყარო | რუსთაველის № 4 |
| მცხეთა | სამხედროს №11 |
| კასპი | სტალინის №98 |
| გორი | სტალინის №15 |
| ცხინვალი | ცელნიკოვის №211/39 |
| ხაშური | რუსთაველის №16 |
| ბორჯომი | რუსთაველის № 121 |
| ახალციხე | ნათენაძის № 76 |
| ახალქალაქი | კლარა ცეტკინის №77 |


ნინია კაკაბაძის სვეტი

# საშუალო(ს) დირექტორები?!



რამდენიმე დღის წინ უმაღლესი სასწავლებლის და საშუალო სკოლების დირექტორები თანამდებობიდან გათავისუფლდნენ, ნაწილი ასაკობრივი ცენზის, ნაწილი კი არაკეთილსინდისიერი მუშაობის გამო. ვისმენ დირექტორ-მასწავლებლების საპროტესტო გამოსვლებს და მიკვირს, რატომ არ ფიქრობენ, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა (თუნდაც დამნაშავეს) უფრო ღირსეულად შეუძლია, გაპროტესტებისა და ყვირილის გარეშე. ეს ხომ პატარა თანამდებობაა, მაგრამ, როგორც ჩანს, მასთან განშორებაც საკმაოდ რთულია. ეს რაც შეეხება მათ განშორებას სკამებთან, რომელიც მათ პატარა ძალაუფლების ილუზიას უქმნის და გარკვეულწილად ასეც არის.

ახლავე მინდა აღვნიშნო, რომ ამ ახალ წამოწყებას უკვე დიდი ხანია, ველოდი და ახლაც სრულიად ვეთანხმები. პირველი იმიტომ, რომ არ შეიძლება ადამიანი ერთიდაიმავე თანამდებობაზე მრავალი წლის განმავლობაში იყოს. ყველა ახალ დაწესებულებას ახალი სისხლი სჭირდება. ამბობენ, რომ ადამიანის ორგანიზმში ყოველ ოთხ წელიწადში სისხლი იცვლება, ამიტომ ყველაზე ადამიანურ არსებას, თუკი ესაჭიროება ორგანიზმის გადახალისება, ბუნებრივია, ისეთ უწყებებს როგორიც საგანმანათლებლო სტრუქტურაა, ბუნებრივია, სიახლის, ახალი ხედვის და ნოვაციის შეტანა ყოველთვის სჭირდება. ქართველი დირექტორები თუ რექტორები კი საკუთარ სკამებს დარაჯობენ, რამდენიმე ათეული წლის განამვლობაში მათი გათბობითა და კეთილმოწყობით არიან დაკავებულნი, ამიტომაც ბუნებრივია, მათ, ანუ საკუთარ სკამებს უკვე საკუთარ სახლებად აღიქვამენ და უკვირთ, როდესაც "საკუთარი სახლის" დატოვებას აიძულებენ. მაგალითად, ქალბატონმა ლამარა მარგველაშვილმა უკვე რამდენიმე ათწლეული დაჰყო 53-ე სკოლის დირექტორის კაბინეტში. სხვათა შორის, ძალიან კარგი დამთხვევაა, როდესაც მისი მოხსნის დროს, ქალბატონი ტატულია საქართველოში არ იმყოფება. თორემ მისი ერთგული "მშობლებიც", რომელთა შვილებსაც ის თავისი ცნობილი ბეჭდით თავში ურახუნებდა ხელებს, ბარნოვის ქუჩასაც გადაკეტავდნენ. ვინ იცის, რამდენი დეპუტატი თუ, უბრალოდ, პოლიტიკოსია მის ხელში გაზრდილი, ისინიც გამოვიდოდნენ და პოზიციებს გაამაგრებდნენ ბარნოვის ქუჩაზე. ქალბატონ ლამარას ნამდვილად ყველაზე პრესტიჟული და "სვეტსკი" დამცველები ეყოლებოდა, თბილისის ნაღები საზოგადოება. თუმცა, ის არავის გაახსენდებოდა, რომ "წვრილ" კორუფციას სწორედ ამ სკოლის შენობაში ჩაეყარა საფუძველი და ახლაც ტრადიციისამებრ აგრძელებს არსებობას.

სხვა დანარჩენი სკოლები, რომელთა ხელმძღვანელები და მოწაფეების მშობლები ახლა დირექტორების წასვლას აპროტესტებენ, კორუფციის იმ ჯაჭვში არიან ჩაბმულნი, რომელიც მომავალი თაობის უცოდინრობის გარანტიაა. ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ საქართველოს მოქალაქე სწორედ სკოლის პერიოდში იგებს, რას ნიშნავს ქრთამის მიცემა, კარგი საჩუქარი, რომ კარგ ნიშანს იმსახურებს. შემდეგ კი ზრდასრლობაში ვეჩხუბებით მაღალი თუ დაბალი ჩინის მქონე ადამიანებს, ქრთამს როგორ იღებო. არადა, ყველა დამეთანხმება, რომ პრობლემის აღმოფხვრა თუ საწყისშივე არ ვცადეთ, შემდეგ ყოველთვის დაგვიანებულია და უკვე ქართულ მენტალობად ჩამოყალიბებულ კორუფციას მომავალში ვერ მოვერევით. საშუალო სკოლებში კორუფციის სხვადასხვა სახეობებია გამოგონებული, ხომ იცით ქართული შემოქმედებითი ბუნების ამბავი. ფული, ტანისამოსი, სუნამო, ფეხსაცმელი, "ბანბანერკა" და სხვა, ეს უკვე ძველთა-ძველი ხერხია შვილის კეთილდღეობის, ხელშეუხებლობის და უვიცობის მოსაპოვებლად.

მაგრამ ქართული განსხვავებული ბუნება კიდევ ერთ საინტერესო საშუალებას პოულობს, მაგალითად: "თქვენი შვილი ვერ სწავლობს მათემატიკას, დაახმარეთ კერძო პედაგოგი!", ეუბნება მასწავლებელი მშობელს, მშობელი იყვანს კერძო პედაგოგს "ჩამორჩენილი" ბავშვის ცოდნის ასამაღლებლად, მაგრამ ამაოდ, სკოლის პედაგოგი მაინც უკმაყოფილოა. აღმოჩნდება, რომ კერძოდ მომზადება ბავშვის ცოდნის ასამაღლებლად სწორედ მასთან არის საჭირო. ამის შემდეგ შეიძლება თქვენმა შვილმა არც ისწავლოს, კარგი ნიშანი მას ყოველი სემესტრის ბოლოს გარანტირებული აქვს. ეს ქართული კორუფციის ერთ-ერთი სახეა. მე დარწმუნებული ვარ, ჩვენსავით გამორჩეულ და ამხელა კულტურის მქონე ქვეყანაში კიდევ მრავალი წახნაგი აქვს მინიკორუფციას, რომელიც მომავალში ახალ კორუმპირებულ დეპუტატებს, მინისტრებს, პოლიციელებს ბუნებრივად შობს. ამიტომ კორუფციასთან ბრძოლა არა მინისტრებით თუ სხვა ჩინოვნიკებით უნდა დავიწყოთ, არამედ ბაგა-ბაგებით და საშუალო სკოლებით, იმისათვის რომ ადამიანმა ისე მიაღწიოს ზრდასრულ ასაკამდე, რომ ამ სიტყვის არა თუ გამოყენება, არამედ მნიშვნელობაც არ იცოდეს. ბავშვი არ უნდა ხედავდეს, რა აუცილებლობას წარმოადგენს "საჩუქარი" ანუ ქრთამი და არ უნდა ხედავდეს სკოლისკენ მიმავალ ხელდამშვენებულ დედას ან მამას. ქართული აზროვნება იმდენად დამახინჯებულია, რომ არ შემიძლია არ აღვნიშნო ისიც, რომ არის შემთხვევები, როდესაც მასწავლებელი არ ითხოვს, მაგრამ ენთუზიასტი დედა დღესასწაულზე თავისი სურვილით, იაფ თუ ძვირფას საჩუქრებს უმზადებს ყველა პედაგოგს. ეს ხრწნის ის ეტაპია, რომელიც ქართველისათვის ბავშვობაშივე იწყება.

ამიტომ ქართულ საშუალო სკოლებში არა მხოლოდ დირექტორი, არამედ მთლიანად სტრუქტურა უნდა შეიცვალოს; დირექტორებს კი ის პედაგოგები უნდა გაჰყვნენ, რომელნიც არანაკლებ დამნაშავეები არიან. ყველაზე დიდი დანაშაული ის კი არ გახლავთ, რომ ბავშვები სკოლის დამთავრების შემდეგ სრულყოფილად არ ფლობენ ყველა ჰუმანიტარულ თუ საბუნებისმეტყველო საგანს, არამედ ის, რომ მათი აზროვნება ბავშვობაშივე იწამლება და მათ ყველაზე მთავარს - პატიოსნებას და კეთილსინდისიერებას არ ასწავლიან.

საშუალო სკოლების ქართულ თუ საბჭოთა ტრადიციას უმაღლესი სასწავლებლები წარმატებულად აგრძელებენ, ამიტომ მე მხოლოდ ერთი კითხვა მაქვს, რომელზეც პასუხი ძალიან მაინტრესებს - რატომ რჩებიან საკუთარ თანამდებობებზე ტექნიკური უნივერსიტეტის და სამედიცინო ინსტიტუტის რექტორები?

ინფორმატორი

## "მანჩესტერი უმდიდრესი კლუბია

"მანჩესტერ იუნაიტედი" კვლავ მოექცა მსოფლიოს უმდიდრესი კლუბების სათავეში. 2003/2004 წელს მისმა შემოსავალმა 171,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი შეადგინა. მეორე ადგილი დაიკავა წინა სეზონზე მეოთხე ადგილის მფლობელმა მადრიდის "რეალმა".

1. (1)"მანჩესტერ იუნაიტედი" - 171,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი.
2. (4)"რეალი" - 156,3
3. (3)"მილანი" - 147,2
4. (10)"ჩელსი" - 143,7
5. (2)"იუვენტუსი" -142,4
6. (7)"არსენალი" - 115
7. (6)"ინტერი" - 110,3
8-9.(13)"ბარსელონა" - 110,1
8-9.(5)"ბავარია" - 110,1
10. (8)"ლივერპული" - 92,3
11. (10)"ნიუქასლი" - 90,5
12. (11)"რომა" - 72
13. (18)"სელტიკი" - 69
14. (16)"ტოტენჰემი" - 66,3
15. (15)"ლაციო" - 65,8
16. (-)"მანჩესტერ სიტი" - 61,9
17. (14)"შალკე" - 60,5
18. (-)"მარსელი" - 58,3
19. (-)"რეინჯერსი" -57,1
20. (-)"ასტონ ვილა" - 55,9...

() - ადგილი წინა სეზონის რეიტინგში.

## ნედვედი მზადაა, კარიერა დაასრულოს

"იუვენტუსის" ნახევარმცველმა პაველ ნედვედმა კლუბის ხელმძღვანელობას კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი უთხრა. ჩეხ ფეხბურთელს 2006 წლის ზაფხულამდე შეუძლია გუნდში თამაში. იტალიის მასობრივი საინფორმაციო წყაროების ცნობით, ნედვედის გადაწყვეტილება იმ ფაქტს უკავშირდება, რომ ფეხბურთელი სწორედ 2006 წელს გეგმავს კარიერის დასრულებას.

ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში ნახევარმცველმა მიიღო რამდენიმე სხვადასხვა სიმძიმის ტრავმა, რამაც აიძულა, ჯანმრთელობაზე ეზრუნა. არც ისე დიდი ხნის წინათ ნედვედმა "იუვენტუსის" ხელმძღვანელობას გაანდო თავისი სურვილი ფეხბურთიდან წასვლის შესახებ, თუმცა, მაშინ მისი სიტყვები სერიოზულად არ მიიღეს.

## ბეკენბაუერი უკმაყოფილოა

გერმანული კლუბის "ბავარიას" პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა გააკრიტიკა გერმანული ფეხბურთის კავშირი, რომელსაც ორი პრეზიდენტი უდგას სათავეში. ბეკენბაუერის აზრით, ორხელისუფლებიანობამ გამოიწვია ის, რომ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადება არაორგანიზებულად მიმდინარეობს. ეს ნაწილობრივ უკავშირდება გერმანელი მსაჯის ირგვლივ ატეხილ სკანდალს, რომელმაც მთელი გერმანული (და არა მარტო გერმანული) ფეხბურთის სამყარო შეძრა.

"ორი პრეზიდენტის ერთდროულმა მართვამ სასარგებლო შედეგი ვერ გამოიღო. როგორც ჩანს, ეს მოდელი გერმანიისთვის არ გამოდგება. არ მეგულება ერთი ადამიანიც კი, რომელიც მართვის ასეთი სისტემით კმაყოფილია," - განაცხადა ბეკენბაუერმა.

## მალეზანი ბერძნებს გაწვრთნის

"როიტერსის" ცნობით, ბერძნული კლუბის "პანათინაიკოსის" მთავარ მწვრთნელად დაასახელეს ალბერტო მალეზანი, სპეციალისტი, რომელმაც 1999 წელს "პარმას" უეფას თასი მოაგებინა. წარმომადგენლები საქმის დეტალებს არ ახმაურებენ, თუმცა, ბერძნულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მილიონი დოლარის ღირებულის კონტრაქტი 18 თვეს გაგრძელდება. იტალიელი სპეციალისტი ბერძნული კლუბის მესამე მწვრთნელი იქნება მიმდინარე სეზონში. ადრე მალეზანი "ფიორენტინაში", "პარმაში," "ვერონასა" და "მოდენაში" მუშაობდა.

## მოურინიოს რეკლამაში გადაიღებენ

მალე ლონდონის "ჩელსის" მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო სარეკლამო რგოლში მიიღებს მონაწილეობას და ტელეეკრანზე გამოჩნდება. პორტუგალიელმა სპეციალისტმა, რომლის წლიური შემოსავალი ხუთი მილიონი გირვანქა სტერლინგია, საბანკო გაერთიანებას "American Express"-ს თანხმობა განუცხადა, გამხდარიყო მისი სახე. ბრიტანული პრესის ცნობით, გადაღებები მწვრთნელს კიდევ 750 ათას გირვანქა სტერლინგს მოუტანს.

## ჰარგრივზი ბრუნდება

მიუნხენის "ბავარიის" ინგლისელმა ნახევარმცველმა ოუენ ჰარგრივზმა სამშობლოში თამაშის სურვილი გამოთქვა. 24 წლის ფეხბურთელი გერმანული გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია, ამიტომაც მთავარ მწვრთნელს ფელიქს მაგატს მისი დიდი იმედი აქვს. თუმცა, ოუენის თქმით, სამშობლოში მისი დაბრუნება უახლოეს მომავალში გახდება შესაძლებელი.

"რა თქმა უნდა, ინგლისში თამაში მინდა. ვფიქრობ, ეს მალე მოხდება. მანამდე კი თავი უნდა გამოვიჩინოთ დორტმუნდის "ბორუსიასთან", ჩემპიონთა ლიგაში - "არსენალთან". კარგი იქნება, თუ ორივე თამაშს მოვიგებთ", - განაცხადა ჰარგრივზმა. სხვათა შორის, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დორტმუნდის "ბორუსია" გაკოტრების ზღვარზეა. ხელძღვანელობის თქმით, გასული წლის მეორე ნახევარში კლუბის ზარალმა 35 მილიონი დოლარი შეადგინა. ამბობენ, რომ "ბორუსია" ისეთ მწვავე ფინანსურ კრიზისს განიცდის, რომელიც "მის არსებობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის".

ფეხბურთი

# ზინედინ ზიდანი: "რეალს" ბოლომდე ვუერთგულებ!"

**ზინედინ ზიდანი**
**დაიბადა** 1972 წლის 23 ივნისს
**სიმაღლე:** 187სმ
**წონა:** 81კგ
ნახევარმცველი
**კლუბები:** "კანი" (კანი, საფრანგეთი; 1989-92), "ბორდო" (ბორდო, საფრანგეთი; 1992-96), "იუვენტუსი" (ტურინი, იტალია; 1996-2001), "რეალი" (მადრიდი, ესპანეთი; 2001-)
**ტიტულები:** იტალიის ჩემპიონი - 1997, 1998; ესპანეთის ჩემპიონი - 2003; იტალიის სუპერთასი - 1997; ესპანეთის სუპერთასი - 2001, 2003; ჩემპიონთა თასი - 2002; ინტერტოტოს თასი - 1995, 1999; ევროპის სუპერთასი - 1996, 2002; საკონტინენტთაშორისო თასი - 1996, 2002; მსოფლიოს ჩემპიონი - 1998; ევროპის ჩემპიონი - 2000; ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი - 2000; საფრანგეთის საუკეთესო ფეხბურთელი ("ფრანს ფუტბოლი") - 1998, 2002; საფრანგეთის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი ("ფრანს ფუტბოლი") - 1993; საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი (კანალ პლუსი) - 1996; საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი (კანალ პლუსი) - 1994; ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი ("ფრანს ფუტბოლი") - 1998; ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი ("ონზ მუნდიალი") - 1998, 2000, 2001; ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი ("ელ პაისი", ურუგვაი) - 1998, 2001, 2002, 2003; ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ფეხბურთელი (უეფა) - 2002; ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ნახევარმცველი (უეფა) - 1998; მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი (ფიფა) - 1998, 2000, 2003; მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ("უორლდ სოკერი") - 1998 საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებულ 93 მატჩში გაიტანა 26 გოლი

2004 წელს ზინედინ ზიდანისთვის სიკეთე არ მოუტანია - საფრანგეთის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე ვერ ივარგა, მადრიდის "რეალი" კი, სადაც "ოქროს ბურთის" ოთხი ლაურეატი (თავად ზიდანი, ლუიშ ფიგუ, მაიკლ ოუენი და რონალდო) თამაშობს, ტიტულის გარეშე დარჩა. სპეციალისტები ფრანგი ფეხბურთელის კრიზისზე ალაპარაკდნენ, თუმცა, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე ამ აზრს არ ეთანხმება.

...ახალ წლამდე "სამეფო კლუბი" ღრმა კრიზისში იმყოფებოდა, შობისწინა შესვენებამდე კი "სანტიაგო ბერნაბეუზე" დამარცხდა "სევილიასთან" - 0:1.

ზინედინ ზიდანი ოჯახთან ერთად კუნძულ მავრიკეთზე გაემგზავრა დასასვენებლად. როგორც კლუბის ბოლო შედეგებიდან ჩანს, განტვირთვა არა მარტო ზიდანს, გუნდის ყველა წევრს მოუხდა - პრიმერადივიზიონში "რეალმა" ზედიზედ შვიდი შეხვედრა მოიგო! ცხადია, კლუბს ახალი მწვრთნელის ვანდერლეი ლუშემბურგოს და იტალიელი სპეციალისტის არიგო საკის გამოჩენაც წაადგა.

ინტერვიუ, რომელსაც დღეს გთავაზობთ, პოპულარულ ფრანგულ გაზეთ "ეკიპში" გამოქვეყნდა.

**- ალბათ, გსურთ, რაც შეიძლება მალე დაივიწყოთ 2004 წელი. მეთანხმებით?**

- პროფესიონალური თვალსაზრით, გასული წელიწადი წარმატებული ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ იცით, წლის დასაწყისში თავს ცუდად არ ვგრძნობდი. სამწუხაროდ, აპრილის შუა რიცხვებიდან უსიამოვნო პერიოდი დაიწყო, რომელიც მთელი ცხრა თვე გაგრძელდა - ნაკრებსა თუ კლუბში, ორივეგან ხელი მომეცარა. ერთადერთი, რაც კარგად მახსენდება, ევროპის ჩემპიონატზე ინგლისელებთან გამარჯვებაა (იმ შეხვედრას საფრანგეთის ნაკრები ბოლო წუთამდე აგებდა, თუმცა ზიდანის ორი გოლის წყალობით 2:1 მოიგო.-ლ.გ.), მაგრამ მასაც ბერძნებთან წაგება მოჰყვა...

**- შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ გასული წელი თქვენს კარიერაში ყველაზე ცუდია?**

- აქამდეც მქონია ცუდი პერიოდები, მაგრამ 2004, ალბათ, მართლაც უცუდესია. 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ დაახლოებით ნახევარი წელი გამიჭირდა, მაგრამ ის წელი მაინც კარგად დავასრულე - "ოქროს ბურთი" მოვიგე, ფიფამ საუკეთესოდ დამასახელა... რაც შეეხება შარშანდელს, ამაზე საუბარიც აღარ მსურს.

**- ახლა "რეალში", როგორც ჩანს, მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა...**

- "სევილიასთან" მარცხის შემდეგ ვფიქრობდი, რომ დასვენება აუცილებლად წამადგებოდა. ასეც მოხდა! მჯერა, მალე "რეალი" ძველებურად ათამაშდება, ისე, როგორც ამას ჩვენი კლუბი იმსახურებს.

**- დამეთანხმებით, 32 წლის ასაკში უფრო ძნელია კრიზისის დაძლევა, ვიდრე ახალგაზრდობისას...**

- თუ მხოლოდ გასულ ცხრა თვეს მივიღებთ მხედველობაში, მაშინ დაგეთანხმებით, მაგრამ ზოგადად, მეეჭვება, ასაკი ხელის შემშლელი პირობა იყოს. ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ 32 წლის ვარ და უმაღლეს დონეზე სამ-ოთხ სეზონს კიდევ ჩავატარებ. რა თქმა უნდა, არის მოვლენები, რომლებიც დიდ ძალას მართმევს, ცოტათი მომაბეზრებელიცაა, მაგრამ ყველაზე მეტად მაშინ ვითრგუნები, როცა წარუმატებელი პერიოდის შეწყვეტას ვცდილობ და ამაოდ ვიხარჯები. "რეალი" რომ ყოფილიყო ჩემპიონატის ლიდერი, შესაძლოა, სხვანაირად მეფიქრა... ახლა მინდა, მხოლოდ ერთი რამ გავაგებინო გულშემატკივრებს - პრობლემები ასაკთან არა და გარემოებებთან კი ნამდვილადაა დაკავშირებული.

**- ვარჯიში ისევ გსიამოვნებთ?**

- რა თქმა უნდა! ასე რომ არ იყოს, ფეხბურთს აქამდეც შევეშვებოდი.

**- ალბათ, თამაშიც დადებითი ენერგიით გავსებთ?**

- მსიამოვნებს, მაგრამ არა ყოველთვის და არც ისე, როგორც ადრე. ასე ვიტყოდი: ეს იმ ფეხბურთელის სიამოვნებაა, რომელმაც იცის, რომ რამდენიმე წელიწადში კარიერა უნდა დაასრულოს. მე ხომ დღითი დღე ვუახლოვდები ფინიშს. შესაბამისად, სხვა გრძნობებით ვივსები.

**- მოედანზე გასვლის წინ ეჭვი ხომ არ გიპყრობთ?**

- ფეხბურთი მათემატიკა არ არის. იმის თქმა მინდა, რომ შედეგები ყოველთვის ისეთი არაა, როგორსაც ელი. ხანდახან იმედიც გაგიცრუვდება... ეჭვი? არა, საკუთარი თავის ყოველთვის მჯერა!

**- თუ გიფიქრიათ, რომ დასვენების დრო დადგა?**

- არა, ასეთი რამ არ ყოფილა. რაც შეეხება მიმდინარე სეზონს, კვლავ მწყურია თამაში და, ბუნებრივია, დასვენებაზე არ ვფიქრობ. "რეალს" ჩემპიონობის შანსი გაუჩნდა - "ბარსელონას" არცთუ ბევრი ქულით ჩამოვრჩებით, ჩემპიონთა ლიგიდანაც არ გამოვვარდნილვართ. თუ მოედანზე ჯამბაზს დავემსგავსე, აუცილებლად წერტილს დავსვამ, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ კონტრაქტის დასრულებას ველოდები (მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება 2007 წლის 30 ივნისს იწურება.-ლ.გ.)

**- თქვენი პასუხები ერთს გვაფიქრებინებს, რეალურად კი სხვას ვხედავთ - ნამდვილად არ ჰგავხართ ადამიანს, რომელიც საკუთარი თავით კმაყოფილია...**

- ამის შესახებ წინა სეზონის დასრულებისთანავე განვაცხადე. საკუთარი თავი საჯაროდ გავაკრიტიკე, მაგრამ რა აზრი აქვს თვითკრიტიკას, როცა მდგომარეობა დღითი დღე უკეთესობისკენ იცვლება? დღესდღეობით პროგრესი აშკარაა და ვფიქრობ, არც მაქვს უფლება, ჩემი თამაშით უკმაყოფილო ვიყო.

**- თითქმის ხუთი თვის წინათ განაცხადეთ, რომ საფრანგეთის ნაკრებში აღარ ითამაშებთ. ხომ არ ნანობთ ამ გადაწყვეტილების გამო?**

- არა.

**- მიუხედავად ამისა, ესპანელი ჟურნალისტები აცხადებენ, ზიდანმა დაიჩივლა, ნაკრებს ნაადრევად დავშორდიო...**

- ჩანს, ვიღაცამ არასწორად გაიგო ჩემი სიტყვები. ასეთი რამ ესპანეთში ხშირად ხდება და ამიტომაცაა, რომ როცა ცოტას ვლაპარაკობ, თავს უკეთესად ვგრძნობ. საფრანგეთის ნაკრებში გატარებულ წლებს სინანულით კი არა, სიხარულით ვიხსენებ. სხვა თუ არაფერი, ბიჭებთან ერთად ოჯახივით ვცხოვრობდი, თანაც, ორი წლის ინტერვალით მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები მოვიგეთ!

**- მაგრამ საფრანგეთის ნაკრები ხომ თქვენი ცხოვრების ნაწილი იყო?**

- ასეა, მაგრამ ცხოვრებაშიც მთავრდება რაღაც პერიოდები და ამ შემთხვევაშიც მსგავსი რამ მოხდა. ნაკრებმა უმაღლეს დონეზე თამაშის შანსი მომცა - ხუთი უდიდესი ტურნირის ფინალურ ეტაპზე ვითამაშე და ჩემთვის ეს დაუვიწყარია! ჩემი აზრით, ნაკრებიდან წამოსვლაში ყველაზე ცუდი ისაა, რომ არ მიწევს კლერფონტენში (საფრანგეთის ნაკრების საწვრთნელი ბაზა-ლ.გ.) წასასვლელად ბილეთის აღება. როცა ჩემი თანაკლუბელები ეროვნულ ნაკრებებში სათამაშოდ მიდიან, მე მადრიდში ვრჩები ათ-თერთმეტ თანაგუნდელთან ერთად და ვვარჯიშობ. ასე გრძელდება ხუთი-ექვსი დღე, სანამ ბიჭები სანაკრებო შერკებებიდან დაბრუნდებიან...

**- შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ ფსიქოლოგიური სტრესი, რომელსაც ბოლო ათი წელია განიცდით, შემსუბუქდა?**

- როცა ფეხბურთელი "რეალშია", ის ყოველთვის ზეწოლის ქვეშაა. არა აქვს მნიშვნელობა, თამაშობს თუ არა თავისი ქვეყნის ნაკრებში. ეროვნულ გუნდში ყოფნისას საკუთარ თავს წამით არ ვაძლევდი მოდუნების საშუალებას - კლუბი, ნაკრები, კლუბი... ახლა ასე არაა, მეტიც, ხშირად კარგად ვისვენებ ხოლმე. საფრანგეთის ნაკრები, რა თქმა უნდა, კვლავაც მაინტერესებს, მაგრამ, რომ ვთქვა, შეკრებები მესიზმრება-მეთქი, ტყუილი იქნება.

**- არის თუ არა ეს ნაბიჯი კარიერის დასასრულისკენ?**

- წერტილი მაშინ დაისმება, როცა ვიტყვი: "საკმარისია!" შარშან, 12 აგვისტოს, ოფიციალურად განვაცხადე, რომ ნაკრებში აღარ ვითამაშებდი. საღამოს, როცა შინ დავბრუნდი, სავარძელში მოვკალათდი და ის პერიოდი გავიხსენე, რაც ამ გუნდში გავატარე...

**- თვალზე ცრემლი არ მოგადგათ?**

- არა, მაგრამ გარკვეული სიცარიელის გრძნობა ნამდვილად დამეუფლა. სხვა თუ არაფერი, ათი წლის მანძილზე მოედანზე ამ გუნდის მაისურით გავდიოდი...

**- ნაკრებიდან წასვლა აუცილებელი იყო?**

- ძალიან გთხოვთ, ნუ იფიქრებთ, რომ გადაწყვეტილება უცბად მივიღე! სანამ ამ ნაბიჯს გადავდგამდი, ძალიან დიდხანს ვიფიქრე. ბევრს უნდოდა, რომ გუნდში დავრჩენილიყავი და მომავალ თაობას გავძღოლოდი, მაგრამ ეს ჩემი საქმე არაა - ფეხბურთს სიამოვნებისთვის ვთამაშობ და არა იმისთვის, რომ ვინმეს ვუხელმძღვანელო.

**- რაიმე სხვა მიზეზი ხომ არ იყო?**

- არა, რატომ ფიქრობთ ასე? 1998 და 2000 წლებში ნაკრებთან ერთად ორი მწვერვალი დავიპყარი, რასაც 2002 წლის მსოფლიოს და 2004 წლის ევროპის ჩემპიონატებზე ჩავარდნა მოჰყვა. ამის შემდეგ თავს ვკითხე: "ღირს კი გაგრძელება?" და მივხვდი, რომ არ ღირდა, თუმცა, ჩემი ძმა და მეუღლე ასე არ ფიქრობდნენ. სწორად მოვიქეცი? ვფიქრობ, კი. მით უმეტეს, რომ ჩემთან ერთად ნაკრები რამდენიმე იმ მოთამაშემაც დატოვა, ვისთან ერთადაც გუნდში გამოვჩნდი.

**- ნაკრებში თქვენმა ყოფილმა მწვრთნელმა ემე ჟაკემ განაცხადა, რომ გუნდის წინაშე ვალში ხართ. ეთანხმებით?**

- ეს მისი აზრია. როცა ჟაკეს შევხვდები, გარწმუნებთ, პასუხის გაცემა არ გამიჭირდება.

**- 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ფრანგები არცთუ დამაჯერებლად თამაშობენ. ეს უთქვენობის ბრალი ხომ არაა?**

- არ ღირს ჩემი ფასის ხელოვნურად გაზრდა. ნაკრებში 2002 და 2004 წლებშიც ვთამაშობდი, მაგრამ რასაც მივაღწიეთ, ყველამ კარგად იცის. საფრანგეთის ნაკრები ჩემით არც დაწყებულა და არც დამთავრდება.

**- გამოდის, რომ ნაკრებიდან თქვენი წასვლა კორეა-იაპონიასა და პორტუგალიაში განცდილი მარცხის ბრალი ყოფილა...**

- სამი წლის წინათ მსოფლიო ჩემპიონატზე ჩვენს გამოსვლას, მგონი, ჩავარდნა ეთქმის, მაგრამ შარშან, ევროპირველობაზე, უარესი დაგვემართა. თუ კორეა-იაპონიაში ჩასვლამდე სათანადოდ გამოსვლის გარდა ყველაფერზე ვფიქრობდით, პორტუგალიამდე საკმაოდ კარგად მოვემზადეთ. მიუხედავად ამისა, ვერ ვივარგეთ, რაც პირადად ჩემთვის უკვე მიღებული გადაწყვეტილების ნიშანი იყო. მგონი, საფრანგეთის ნაკრების ქომაგებმა გამიგეს.

**- თუ გიფიქრიათ, როგორ იცხოვრებთ ფეხბურთის გარეშე?**

- არა, ჯერ არა. საფრანგეთის ნაკრებიდან წავედი, ორ-სამ წელიწადში საკლუბო დონესაც გამოვეთხოვები. ასე რომ, ნელნელა ვიფიქრებ უფეხბურთოდ ცხოვრებაზე.

**- შეიძლება თუ არა კარიერა ამ ზაფხულს დაასრულოთ?**

- არა, ეს გამორიცხულია! "რეალთან" 2007 წლის 1 ივლისამდე მაქვს კონტრაქტი და მინდა, ნაკისრი მოვალეობა პირნათლად შევასრულო. ისე, ჩემთვის ცხოვრებაში პირველ ადგილზე ოჯახია და თუ ამ მიზეზით რაიმე პრობლემა შემექმნა, თამაშზე აუცილებლად უარს ვიტყვი.

**- თქვენი აზრით, რატომ გაუჭირდა "რეალს" მიმდინარე სეზონის დასაწყისში, აქ ხომ ამდენი ძლიერი ფეხბურთელი თამაშობს?**

- ვერ გეტყვით, მაგრამ თუ ვინმეს კონკრეტული პასუხი აქვს, სიამოვნებით მოვუსმენ. ცხოვრება შავ-თეთრია, "რეალში" კი, სამწუხაროდ, ბოლო ხანებში შავი ფერი სჭარბობდა. მგონი, მალე სიბნელეს სინათლე შეცვლის. ისე, ხანდახან მარცხიც საჭიროა - მიხვდები, თუ როგორ ამაღლდე სასურველ დონემდე...

**- როგორ ფიქრობთ, ეს "რეალი" ხომ არ დაბერდა?**

- არა, რატომ? ერთი წლის წინათ საუკეთესოები ვიყავით და ასე უცებ დავბერდით? 31-32 წლის ფეხბურთელებს, დამეთანხმებით, მოხუცებს ვერ უწოდებ.

**- თქვენი აზრით, რატომ უჭირთ ესპანურ კლუბებს ბოლო წლებში ჩემპიონთა ლიგაში?**

- ამაზე არასდროს მიფიქრია, ალბათ, მცირე ჩავარდნაა, რომელიც მალე გაივლის. ჩემი აზრით, იტალიური და ინგლისური კლუბებიც მიხვდნენ, რომ ესპანელებივით შემტევი ფეხბურთი უნდა ითამაშონ, რაც გააკეთეს კიდეც. ყოველივემ ლიგაში კონკურენციის ზრდა გამოიწვია და ჩვენც წარმატებების ადვილად მიღწევა, ცოტა არ იყოს, გაგვიჭირდა.

**- ტურინის "იუვენტუსში" ხუთი წელიწადი გაატარეთ. ბოლო ორი წლის მანძილზე ლიგაში მეორედ ხვდებით ამ კლუბს. 2003 წელს იტალიელები უფრო ძლიერები იყვნენ...**

- ცუდია, რომ "იუვენტუსს" მერვედფინალში ვხვდებით და არა ფინალში. სხვა მხრივ, ყოველთვის გამიხარდება ტურინში, "დელე ალპიზე" დაბრუნება... ვეცდებით, შარშანწინდელი მარცხისთვის შური ვიძიოთ.

**- დაბოლოს, რა მიზნები გაქვთ 2005 წელს?**

- მსურს, "რეალთან" ერთად ჩემპიონთა ლიგა და პრიმერადივიზიონი მოვიგო. მართალია, ჩემპიონატში "ბარსელონა" კვლავ გვისწრებს, მაგრამ დრო საკმარისია. ნუ დაგავიწყდებათ, რომ შარშან კატალონიელებს ერთხანს 18 ქულით ვუსწრებდით, მაგრამ სეზონის ბოლოს მაინც გვაჯობეს. 18 ქულასთან შედარებით, ოთხი-ხუთი ქულა არაფერია...

**მოამზადა ლაშა გელაშვილმა**




ინფორმატორი

## ფერდინადს ჩემპიონატის მოგების დიდი იმედი აქვს

"მანჩესტერ იუნაიტედის" მცველი რიო ფერდინანდი დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი "ჩელსის" გაუსწრებს და ინგლისის ჩემპიონატსაც მოიგებს: "მათ წინ ელით რთული მატჩები, მათ შორის "არსენალთან". ერთადერთი, რაც ჩვენ გვჭირდება, არის ის, რომ "ჩელსიმ" ქულები დაკარგოს. ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, შანსს არ გავუშვებთ ხელიდან. რა თქმა უნდა, ისინი სტაბილურად თამაშობენ, ძალიან ცოტა ბურთს უშვებენ და სასურველ შედეგსაც აღწევენ. თუმცა, ყველა შეიძლება შეცდეს, ამიტომაც ჩვენ მოგება უნდა გავაგრძელოთ და, რაც მთავარია, უკეთესის იმედი არ დავკარგოთ. თუ "ჩელსი" ჩემპიონი გახდება, მე პირველი ვაღიარებ, რომ ის საუკეთესო კლუბია".

## დელასს ესპანეთში თამაში სურს

საბერძნეთის ეროვნული ნაკრებისა და "რომას" მცველმა ტრაიანოს დელასმა გადაწყვიტა, მიმდინარე სეზონის დასასრულს რომის კლუბი დატოვოს და პირენეიზე გადავიდეს. ამ კვირას მისი მენეჯერი მაურიციო ტონიკი ესპანური კლუბების, კერძოდ კი, "ბარსელონას", "ბეტისისა" და "დეპორტივოს" წარმომადგენლებს შეხვდება.

## დევისი მზადაა, დაბრუნდეს

"ტოტენჰემის" ნახევარმცველმა შონ დევისმა გუნდის ვარჯიშში მიიღო მონაწილეობა და კმაყოფილი დარჩა თავისი ტრავმირებული მუხლის მდგომარეობით.

შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელმა გასული წლის ნოემბერში მიიღო ტრავმა და მას შემდეგ მოედანზე აღარ გამოსულა. მას ოპერაცია გაუკეთეს.

ვარაუდობენ, რომ ორშაბათს დევისი "ტოტენჰემის" მეორე გუნდის ძირითად შემადგენლობაში მოხვდება.

"სრულყოფილად ვივარჯიშე. ბევრი ვირბინე. ტკივილს არ შევუწუხებივარ. ძალიან მიხარია. იმედი მაქვს, პრემიერ-ლიგის თამაშებში მალე მიხილავთ," -საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობა შეაფასა დევისმა.

**მოამზადა ნინო ტიკარაძემ**

TV-სპორტი

### პარასკევი. 18 თებერვალი

**НТВ+ФУТБОЛ**
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საუიკენდო მატჩების ანონსი
12:20 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2004-2005. "ვალენსია" - "ვერდერი"
14:15 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
14:45 თავისუფალი დარტყმა
15:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. "სან-კაეტანუ" - "სანტოსი"
16:45 ინგლისის ჩემპიონატი. "ევერტონი" - "ჩელსი"
18:30 თავისუფალი დარტყმა
18:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:00 "ფუტბოლისტიკა"
19:30 "საფეხბურთო კლუბი"
20:10 "FUTBOL MUNDIAL"
20:40 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2004-2005. "რომა" - "რეალი"
22:35 თავისუფალი დარტყმა
22:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. "მონაკო" - "ლიონი"
00:55 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:55 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 13:10, 16:10, 18:00 პრესცენტრი
10:20, 20:50 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
11:25 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
11:55 NBA საკალათბურთო მიმოხილვა
12:25 "მოტოვებული კვირა"
13:25 "ჰოკეი-პლუს"
13:40 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
14:10 კარატე-კეკუსინკაი. იაპონიის ჩემპიონატი
15:40 ყველაზე ძლიერი ადამიანი შვედეთში. მესამე ნაწილი
16:25 ბილიარდი. "US Open". მეხუთე ნაწილი
17:05 ტაილანდური კრივი
18:20 ჰოკეი. რუსეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:55 სახვალიო ტელეპროგრამა
21:00 ფრისტაილი. მსოფლიო თასის ეტაპები აშშ-ში
21:30 "ფარი და ბურთი" - ტელეჟურნალი
22:15 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "MINNESOTA TIMBERWOLVES" - "CLEVELAND CAVALIERS"
00:15 ახალი ამბები
00:30 ყველაზე ძლიერი ადამიანი შვედეთში. მეოთხე ნაწილი
01:00 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში. ვაჟები. დაშვება
02:00 02:00-დან 05:00-მდე შესვენება
05:00 კალათბურთი. "ვარსკვლავური უიკ-ენდი". NBA-ს ახალბედათა მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
10:30 შვედეთის რალი
11:30 მულტისპორტი - აი, მესმის!
11:45 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
13:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
15:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი სლოვენიაში. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
15:45 ფეხბურთი. უეფას თასი
16:45 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
17:45 მინიფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი ჩეხეთში. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
20:30 მინიფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი ჩეხეთში. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
22:00 მძლეოსნობა. დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი. პირდაპირი ტრანსლაცია
00:00 სნუკერი. მასტერსის ტურნირი დიდ ბრიტანეთში. მეოთხედფინალი
01:45 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
02:15 ახალი ამბები
02:30 ფეხბურთი. ევროპის საუკეთესო კლუბები
03:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა

თავისუფალი თემა

# რა ხდება ხალიჩაზე?

გიგა გურასაშვილი

*საქართველოში თუ საჭიდაო სამყარო ორად გაიხლიჩებოდა, ამას ვერავინ წარმოიდგენდა. მაგრამ ფაქტია: ბერძენ-რომაელთა ნაკრების წევრებმა საპროტესტო ტალღა ააგორეს. გუნდის მუქარამ, თუ ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე ბეგი დარჩიას არ დააბრუნებთ, გუნდს დავშლით და საზღვარგარეთ გადავიხვეწებითო, შედეგი გამოიღო. თუმცა, მათ წამოწყებას სხვა ცვლილებაც მოჰყვა.*

15 დეკემბერს საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში პრეზიდიუმის მიერ ერთხმად არჩეულ ბაკურ გოგიტიძეს ცოტა ხნის წინათ, ამჯერად რიგგარეშე სხდომაზე, იმავე პრეზიდიუმმა დროებით უფლებამოსილება შეუჩერა. ამის თაობაზე თავის დროზე ვიუწყებოდით, მაგრამ ფედერაციის ხელმძღვანელობასთან გასაუბრებისგან შეგნებულად ვიკავებდით თავს. მიზეზი მარტივია: ცხელ გულზე გაკეთებული განცხადებების მოსმენისა და დასკვნებისგან თავის არიდება გვინდოდა. ახლანდელი გადასახედიდან ყველაფერი სხვაგვარად უნდა ყოფილიყო. ამიტომ მივმართეთ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს თეიმურაზ ყაზარაშვილს, რომელიც ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტიც გახლავთ.

**- ბერძენ-რომაელთა ნაკრების სათავეში ფედერაციის პრეზიდენტის ბაკურ გოგიტიძის მიერ კობა ჭიჭეიშვილის მოყვანამ და, შესაბამისად, ბეგი დარჩიას განთავისუფლებამ გუნდის წევრებში უკმაყოფილება გამოიწვია. მოგვიანებით ნაკრების წევრები დარჩიას თანამდებობაზე დანიშვნის მოთხოვნით გამოვიდნენ. მძაფრი ვითარების გამო ეროვნული ფედერაცია იძულებული გახდა, რიგგარეშე პრეზიდიუმი მოეწვია და მწვრთნელის საკითხი განეხილა. მაგრამ მოხდა ისე, რომ იმავე პრეზიდიუმმა ბაკურ გოგიტიძეს დროებით უფლებამოსილება შეუჩერა...**

- ბაკურ გოგიტიძემ ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა, ამასთან, სამივე ასაკობრივი ჯგუფის ნაკრების მწვრთნელების განთავისუფლების ერთპიროვნული გადაწყვეტილება მიიღო. მართალია, წესდების მიხედვით პრეზიდენტს აქვს ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების უფლება, მაგრამ, იმავე წესდების თანახმად, პრეზიდენტი ვალდებულია, პრეზიდიუმს გააცნოს საკუთარი გადაწყვეტილებაც. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ პრეზიდიუმი დათანხმდება პრეზიდენტის გადაწყვეტილებას, ყველაფერი მხოლოდ ამის შემდეგ ხდება კანონზომიერი. პრეზიდიუმში კი 23 წევრია.

იმავე პრეზიდიუმზე გოგიტიძემ თქვა, რომ ჩვენ პრეზიდიუმის მოწვევის უფლება არ გვქონდა, მაგრამ... ჩვენ წესდების თანახმად ვმოქმედებდით. იგივე უფლება აქვს ფედერაციის ერთ-ერთ ვიცე-პრეზიდენტს. ამ შემთხვევაში პრეზიდიუმი მე მოვიწვიე. ჩავთვალოთ, რომ საჭიროების შემთხვევაში პრეზიდენტი ჩვენთან არაა. ვიღაცამ ხომ უნდა მოიწვიოს, რეაგირება ხომ უნდა მოახდინოს?! მით უმეტეს, რომ ბერძენ-რომაელთა ნაკრების წევრებისგან პრეზიდიუმის მოწვევის მოთხოვნით განცხადება შემოვიდა, როგორც ფედერაციის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტების სახელზე, ისე სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის დავით ნამგალაურისა და პარლამენტის სპორტის ქვეკომიტეტის ხელმძღვანელის ვალერი გიორგობიანის სახელზე. გოგიტიძემ რიგგარეშე სხდომა არ მოიწვია.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*თემურ ყაზარაშვილი საჭიდაო სამყაროს 4 მაისამდე უხელმძღვანელებს.*

როდესაც ნაკრების სათავეში ახალი მწვრთნელები მოგყავს, მათ უნდა ჰქონდეთ გარკვეული გამოცდილება. როგორ შეიძლება, 10-15 წელიწადი სპორტთან არ გქონდეს შეხება და ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნო? პირადად მე ახალ მწვრთნელად დანიშვნამდე მათ ერთგვარ გამოსაცდელ დროს მივცემდი: დავნიშნავდი თანაშემწეებად, მივაღებინებდი გამოცდილებას და მხოლოდ ამის შემდეგ გადავწყვეტდი, შეიძლება თუ არა მთავარ მწვრთნელად მისი დანიშვნა. მაგრამ ასე არ მოხდა. ამიტომაც შეიკრიბა პრეზიდიუმი (18 კაცის შემადგენლობით). როდესაც პრეზიდიუმის სხდომაზე დადგა საკითხი პრეზიდენტისთვის უფლებამოსილების შეჩერების შესახებ, კენჭი ვუყარეთ და... 13-მა დელეგატმა ბაკურ გოგიტიძეს დროებით შეუჩერა უფლებამოსილება. ორმმა თავი შეიკავა, ხოლო სამი წინააღმდეგი იყო. რაც შემეხება მე, პრეზიდენტის მოვალეობას იმავე პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ვასრულებ.

**- კი მაგრამ, 15 დეკემბერს, როდესაც ბაკურ გოგიტიძეს პრეზიდენტობაზე ეყარა კენჭი, მაშინ არ იცოდით, გაანთავისუფლებდა თუ არა მწვრთნელებს თანამდებობებიდან?**

- როდესაც პრეზიდენტად ბაკურ გოგიტიძე მოვიდა, მაშინ განაცხადა: თუ ჩემს დანაპირებს არ შევასრულებ, ერთი წლის შემდეგ თანამდებობიდან განთავისუფლების თაობაზე თავადვე დავწერ განცხადებასო. ისიც ითქვა, რომ ერთი წლის განმავლობაში მწვრთნელებს არავინ შეეხებოდა.

**- რიგგარეშე პრეზიდიუმის სხდომაზე გადაწყდა, რომ 4 მაისს ხელახალი არჩევნები დაინიშნოს - საპრეზიდენტო. ცნობილია ისიც, რომ გოგიტიძეს კვლავაც შეეძლება თავიდან იყაროს კენჭი. ახლა, როდესაც ასეთი ვითარებაა, ხომ არ გამოჩნდნენ პრეზიდენტობის სხვა მოსურნეები?**

- ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. ყოველ შემთხვევაში, ჯერ ასეთი არავინ ვიცი. 4 მაისამდე არაერთი ღონისძიებაა ჩასატარებელი და, მანამდე, შესაძლოა, რაღაც შეიცვალოს.

**- როდესაც ფედერაციაში ახალი პრეზიდენტი მოდის, მას ზურგს უმაგრებენ სპონსორები. ახლა, როცა გოგიტიძეს უფლებამოსილება შეუწყდა, სპორტის დეპარტამენტის ბიუჯეტის ამარა დარჩით?**

- დეპარტამენტის მიერ ჭიდაობისთვის 700 ათასი ლარია გამოყოფილი, მაგრამ ეს არაა საკმარისი. სულ ცოტა, კიდევ 400 ათასია საჭირო. ერთი სიტყვით, დეპარტამენტის მიერ გამოყოფილი თანხა არ გვეყოფა. ეს დეფიციტი კი ახალმა ხელმძღვანელმა უნდა აღმოფხვრას. ჯიბეგაფხეკილი პრეზიდენტი საქმეს ვერ უშველის.

**- ახლა როგორია გოგიტიძის პოზიცია?**

- იმას ვიტყვი, რაც ვიცი. ვიცი, რომ თქვა, უკანონოდ მოიწვიეთ პრეზიდიუმიო. ამის უფლება არ გქონდათო. პრეზიდიუმში 50 კაცია, შეკრებით კი მხოლოდ რამდენიმე შეიკრიბაო...

პრეზიდიუმში 50 კაცი კი არაა, არამედ 23! თუ ვინმეს არ სჯერა, აქვე გვაქვს ყველა საბუთი, სადაც შავით თეთრზე წერია წევრთა რაოდენობა.

**- აბა, 50 კაცი საიდან გაჩნდა?**

- ეტყობა, პრეზიდიუმის წევრებად მუშა ჯგუფი და კიდევ სხვა ჯგუფებიც ჩათვალა. პრეზიდიუმი 23 წევრისგან შედგება.

**- 15 დეკემბრის საარჩევნო საანგარიშო ყრილობაზე პარლამენტარმა დავით კირკიტაძემ ფედერაციის პრეზიდენტის არჩევამდე ცოტა ხნით ადრე გაგაცნოთ ხელისუფლების თხოვნა, რომლის მიხედვითაც საპრეზიდენტო არჩევნებისგან დროებით უნდა შეგეკავებინათ თავი. კერძოდ, სპორტის დეპარტამენტში რეფორმებია დაგეგმილი და ვიდრე ყველაფერი არ გაირკვევა, კარგი იქნება, თუ თავს შეიკავებთო... ეს ყველაფერი რაიმე კავშირში ხომ არ არის პრეზიდიუმის ახლანდელ გადაწყვეტილებასთან?**

- ვერ გეტყვით, რა რასთან შეიძლება ყოფილიყო კავშირში, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ერთი კანდიდატურა იყო და იგი აუცილებლად აირჩეოდა, რადგან მოცილე არავინ იყო და რომ ყოფილიყო კიდეც, მისი დამმარცხებელი არ იქნებოდა. არ ვიცი, რატომ ითქვა ასე, რა მიზანი ჰქონდათ, რადგან თუ რაიმე ჩანაფიქრი იყო, ამას ჩემამდე არავინ მოიტანდა და არც მაინტერესებდა. ერთადერთი ის მაინტერესებდა, რომ ყრილობა ჩვეულ რიტმში გაგრძელებულიყო.

**- ოდესმე თუ ყოფილა ანალოგიური ვითარება - დაპირისპირებები...**

- არასდროს ასეთი რამ არ ყოფილა. არც საბჭოთა კავშირის დროს და არც მერე. ყოველ შემთხვევაში, მთელი ცხოვრება საჭიდაო სამყაროში ვარ და არ მახსოვს, რაიმე დაძაბულობას ჰქონოდეს ადგილი.


სახელი ______ მისამართი ______

გვარი ______

ასაკი ______ საკონტაქტო ტელეფონის ნომერი ______

სიმაღლე ______

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დახარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა______ თარიღი______

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, მონებაგახსნილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

გთხოვთ შეავსოთ გარკვევით

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დაურთოთ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, [illegible] სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიუწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გამოღებული უნდა იყოს ერთი წლის განმავლობაში.

# რა განსაცდელი ელის საქართველოს

*გაგრძელება. დასაწყისი იხ. N27,28,29,30,31,32,33,34,35,36.*

ვიქტორ რცხილაძე

**ზოგიერთი მოსაზრება სახელმწიფოზე ქრისტიანული მსოფლმხედველობის გათვალისწინებით**

ჟან ჟორესი, სოციალისტური მოძრაობის დიდი ტრიბუნი, მიიჩნევდა, რომ "ისტორიაში არსებობს არა მხოლოდ კლასთა ბრძოლა, არამედ პარტიათა ბრძოლაც. მხედველობაში მაქვს, რომ ეკონომიკური მიზიდულობასა და განზიდულობასთან ერთად ყალიბდებიან ჯგუფები, რომლებიც გაერთიანებულნი არიან ვნებებით, პატივმოყვარეობით, გამარჯვების სურვილით, რომლებიც, ინაწილებენ რა ისტორიის არენას სამოქმედოდ, არცთუ იშვიათად დიდ რყევებს იწვევენ" ("საფრანგეთის რევოლუციის ისტორია", IV, გვ. 158).

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ამონაწერი ალექსანდრე კოჟევის "ჰეგელის ფილოსოფიის შესავლიდან": "რევოლუციური მმართველობა - ეს გამარჯვებული პარტიაა და მისი საბოლოო დამარცხება ისევეა აუცილებელი, როგორც სხვა პარტიათა დამარცხება". А. Кожев, Введение в чтение Гегеля, С.П. 2003, стр. 183.).

როგორც ვხედავთ, პარტიათა ურთიერთ ბრძოლა, ასევე შიდაპარტიული ბრძოლა დიდადაა განპირობებული ადამიანის ნებაზე. როგორია მათი მიმართება სახელმწიფოსთან? სახელმწიფოს თავისი ღრმა დასაბუთება სწორედ იმის შეგნებიდან აქვს, რომ ადამიანი ბოროტია (აქ გამოყენებულია გერმანელი ფილოსოფოსისა და თეოლოგის ფრიდრიხ გოგარტენის 1932 წელს გერმანიაში გამოცემული წიგნი "პოლიტიკური ეთიკა".).

პოლისი, ანუ სახელმწიფო მოწოდებულია, ადამიანი იხსნას იმ ბოროტებისა და ქაოსისაგან, რაც პირველ რიგში ადამიანის საკუთარი არსიდან მომდინარეობს.

ყოველი ინდივიდუალისტური და, ეს სხვაგვარად ნიშნავს, ყოველი არაპოლიტიკური ეთიკა ამოდის იმ წინაპირობიდან, რომ ადამიანი პრინციპულად კეთილია. ეს ინდივიდუალისტური სრულყოფილების ეთიკა სახელმწიფოს თავის მოთხოვნებს უყენებს, რომელიც მან უნდა აღასრულოს, თუკი სურს, აღიარონ ნამდვილ სახელმწიფოდ. ეს პრეტენზიები იქითკენაა მიმართული, რომ სახელმწიფომ ინდივიდუუმის თავისუფლება არ შეზღუდოს და რომ იგი ამ თავისუფლების გარანტად იქცეს. ამრიგად, აქ ბატონობს არა სახელმწიფო, არამედ ინდივიდუუმი, რათა თავისი ზნეობრივი უნარის საფუძველზე დაყრდნობით თავისუფლად განაგებდეს საკუთარ თავს.

კლასიკური გამოხატულება სახელმწიფოს ასეთი გაგებისა არის ამერიკის მიერ ადამიანის უფლებათა გამოცხადება, რომელმაც საფრანგეთის რევოლუციის წყალობით მსოფლიო მნიშვნელობა შეიძინა და თანამედროვე სახელმწიფოს გაგების ქვაკუთხედად იქცა. ჩვენი მხრიდან დავამატებდით, რომ საფრანგეთის რევოლუციის მეტაპოლიტიკურ და მეტაფიზიკურ მნიშვნელობას ჯერ კიდევ მისი თანამედროვენი გრძნობდნენ. აი, რას წერს ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი ედმუნდ ბიორკი (Burke) თავის "განაზრებებში საფრანგეთის რევოლუციაზე", რომელიც 1790 წელს გამოიცა: "საფრანგეთმა რაღაც უზარმაზარი დანაშაულის გამო თავის თავზე იწვნია ღვთაებრივი შურისძიება და, რაღაც დიდი სასჯელის შედეგად იგი მორჩილებს გათახსირებულ და დამამცირებელ ხელისუფლებას". შესაძლოა, ე. ბიორკის ეჭვი გამართლებულიც იყოს, თუ გავიხსენებთ ბიზანტიის იმპერიის ცნობილი მკვლევრის ს. რანსიმენის (S. Runcimann, The Eastern Schism, Cambridge 1966) ცნობას იმის შესახებ, რომ IV ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, როდესაც ლათინელებმა კონსტანტინოპოლი აიღეს, წმ. სოფიას ტაძრის საკურთხეველზე მეძავი ფრანგი გოგონები მხიარულობდნენ. ერთ-ერთი მათგანი პატრიარქის ადგილზე დაჯდა და ფრანგი ჯარისკაცები მას დაცინვით, ვითომცდა პატრიარქს, თაყვანს სცემდნენ და თან არ ივიწყებდნენ დიდებული ვერცხლის კანკელისა და საკურთხევლის მსხვრევასა და დატაცებას.

მართალი გითხრათ, ზემომოყვანილი ადგილი რომ წავიკითხე, და აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ უსწორდებოდნენ ლათინელები, რანსიმენის მიხედვით, მამაკაცებს, ქალებს, ბავშვებს, მღვდლებს, ბერებსა და მონაზვნებს, ჩემი ფიქრი გადაწვდა მეთვრამეტე საუკუნის საფრანგეთის დიდ რევოლუციას, რომელიც ნამდვილ სასჯელად მოევლინა ფრანგ ერს მათი სიწმინდეების შემუსვრით, სამღვდელოების გილიოტინირებით და ა.შ.

მაგრამ დავუბრუნდეთ ზემოგამოთქმულ მსჯელობას იმის შესახებ, რომ სახელმწიფომ ინდივიდუუმის თავისუფლება არ უნდა შეზღუდოს, და იგი ამ თავისუფლების გარანტად იქცეს. მაშინ აქ, როგორც ვთქვით, სახელმწიფო კი არ ბატონობს, არამედ - ინდივიდუუმი.

ამრიგად, თანამედროვე ადამიანი საშინელი დესპოტიზმის ქვეშ გმინავს. და ეს არის მისი საკუთარი ქმედება, რომელიც მას მონად აქცევს. იგი ტყვეობაშია საკუთარი თავისუფლების სიგიჟისა. ის უსახელო, ფარული შიში, რომელმაც მას ამ ტყვეობისაკენ უბიძგა და შეშლილის რწმენა, რომ არსებობს საკუთარი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რომელშიც იგი მშვიდ თავშესაფარს ეძებს ამა ქვეყნის სასტიკ დაუცველობაში, სწორედ ისინი ამყოფებენ მას მონად დაუნდობელი დესპოტისა.

სახელმწიფო არსებობს ბოროტების გამო, რათა აშკარა, გარეშე უსამართლობა მოიგერიოს. იმით, რომ სახელმწიფოს სასჯელით დამუქრება ძალუძს, იგი ღვთის მსახურია, შურისმაძიებელი სასჯელი იმის მიმართ, ვინც ბოროტებას სჩადის (რომ. 13,4). სადაც არ არსებობს ცოდნა ბოროტების შესახებ, სახელდობრ, ცოდნა ბოროტებისა, რომელიც ადამიანის სიცოცხლეს ძირფესვიანად ემუქრება, მაშინ არ არსებობს ცოდნა სახელმწიფოს შესახებ, იქ აღარ არსებობს ნამდვილი სახელმწიფო ძალაუფლება და მაშინ ცდილობენ ადამიანის სიცოცხლეზე ძალაუფლების მოპოვებას საკუთრივ ადამიანის შესაძლებლობიდან, მისი თავისუფლებიდან. მაშინ სახელმწიფოს დანიშნულებას იმაში კი არ ხედავენ, რომ იგი გარანტი იყოს მორჩილებისა, არამედ იმაში, რომ იგი გარანტი იყოს თავისუფლებისა. სახელდობრ თავისუფლებისა ინდივიდუუმის სუვერენობის გაგებით. ტრაგიკული, უფრო სწორად სატანური, აქ არის ის, რომ ამ გზით სახელმწიფო და სახელმწიფო ძალაუფლება ემხობა და ადამიანები აღმოჩნდებიან საშინელი დესპოტიზმის ქვეშ. ნაცვლად იმისა, რომ ეს ადამიანები პასუხისმგებლობის დომინირებით ურთიერთდაკავშირებულნი იყვნენ, ისინი იქცევიან საგანთა მონებად და, ამგვარად, იძულებითი წესით, ერთმანეთის მიმართ უპასუხისმგებლონი ხდებიან. ადამიანური თავისუფლება არასოდეს მდგარა ისეთი საშიშროების წინაშე, როგორც დღეს, როდესაც ინდივიდუუმის თავისუფლება სახელმწიფოსათვის ალფა და ომეგა გამხდარა.

სახელმწიფო ყოველთვის უნდა გადაგვარდეს, როდესაც მის სუვერენიტეტს ხელყოფენ. მაგრამ ეს ხდება აუცილებლობით, თუკი იგი სწორი წესით არ არის დაფუძნებული. სახელმწიფოს გააჩნია თავისი სუვერენობა და უზენაესობა იქიდან, რომ იგი დემონურ, ადამიანის არსებობისათვის საშიშ ძალას თრგუნავს. მხოლოდ აქედან და მხოლოდ აქედან გააჩნია მას სუვერენული ძალა ადამიანის არსებობაზე. სწორედ აქედან უნდა ხდებოდეს მისი დაფუძნება. იმ ფაქტით, რომ იგი ადამიანს არსებობის შესაძლებლობას აძლევს და იმ გზით, როგორადაც იგი ამას აკეთებს, მოცემულია საფუძველი და საზომი მისი სუვერენული ძალაუფლებისა. სადაც არაფერი უწყიან ამ საშიშ ძალაზე, ანუ, პირდაპირ რომ ვთქვათ, ბოროტებაზე, იქ შეუძლებელია სახელმწიფოს სწორი დაფუძნების შესახებ სწორი ცოდნა ჰქონდეთ. მაშინ არ სურთ სახელმწიფოს შესახებ რაიმეს ცოდნა, ან იგი შეგნებულად სულაც აღარ სურთ, როდესაც აღარ სურთ სუვერენული სახელმწიფო ძალაუფლება. იმათ, რომელსაც ეს არ უწყიან, უნდა ეძებონ სახელმწიფოსა და მისი უზენაესობის სხვა გზით დაფუძნება.

დღეს ჰგონიათ, რომ ეს გზა ნაპოვნი აქვთ, როდესაც სახელმწიფოს აფუძნებენ ნაციონალურობაზე. ჩვენში აღმოცენებული ელემენტარული ძლიერება და ვნება გაღვიძებული სახელმწიფო ცნობიერებისა, თითქმის სავსებით ნაციონალურად არის განსაზღვრული. ამას გააჩნია თავისი საფუძველი და თავისი უფლება. სახელმწიფოს ეს განაციონალისტურება ხდება, ჩვეულებისამებრ, როგორც რეაქცია იმის საპასუხოდ, როდესაც სახელმწიფო იქცევა ხოლმე მარტოოდენ საზოგადოებად თავისი "ადამიანის უფლებებით" და მასთან დაკავშირებული ინტერნაციონალიზებით, ხოლო ადამიანის, ინდივიდუუმის უფლებები, როგორც გვახსოვს, დაკავშირებულია იმ შეხედულებასთან, რომ ადამიანი კეთილია, ხოლო ეს, გოგარტენის მტკიცებით, მცდარია.

ზედმეტია იმაზე საუბარი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ნაციონალურ მომენტს სახელმწიფოსათვის. მაგრამ სწორედ ამ დიდი მნიშვნელობის გამო, რაც ნაციონალურს გააჩნია, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ იქნება გაგებული ურთიერთობა სახელმწიფოსა და ნაციონალურს შორის. არის თუ არა სახელმწიფო ნაციონალურზე დაფუძნებული და იგი თავის უფლებას იქიდან ღებულობს, რომ იგი ნაციონალურს ემსახურება, თუ, პირიქით, ნაციონალური თავისი არსებობის აზრს სახელმწიფოდან ღებულობს.

თუ პირველ აზრს გავიზიარებთ, ე.ი. რომ სახელმწიფო ნაციონალურშია დაფუძნებული, მაშინ სახელმწიფო ნასესხებ უზენაესობას ღებულობს. სახელდობრ იმით, რომ ის ნაციონალურს უნდა ემსახუროს, რომ ნაციონალური მისი უმაღლესი მიზანია. მაგრამ ამის ატანა სახელმწიფოს არ შეუძლია, ისე, რომ მან დიდი ზიანი არ განიცადოს. სახელმწიფოს გააჩნია თავისი საკუთარი, სავსებით არა სხვისაგან წარმოებული უზენაესობა და საპირისპირო შემთხვევაში იგი საერთოდ წყვეტს არსებობას, მაგრამ ხაზგასასმელია - თავად ნაციონალურიც ფუჭდება, თუკი მას სახელმწიფოზე მაღლა დააყენებენ. აქ ხდება ცოცხალი კონკრეტულობიდან, სახელდობრ ხალხის ღირსების დამცველი და მისი მასაზრდოებელი ადათ-წესებიდან მკვდარი აბსტრაქციის შექმნა - მეტად თუ ნაკლებად თვითნებურად გამოტანილი იდეა ხალხის განსაკუთრებულ თვისებაზე. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ადამიანზე დამკვიდრდა "ოპტიმისტური" შეხედულება, მას მერე, რაც ადამიანი გაიგება, როგორც აბსოლუტურად ავტონომიური და საკუთარი თავის გამგებელი არსება, ხდება სწორედ ამის გამო ბოროტის შემეცნების, ნამდვილი ეთიკური ფენომენის დაკარგვა და ადამიანის არსებობისათვის საშიში ბოროტების ძალის შესახებ უკვე აღარაფერი უწყიან. აი, მხოლოდ მას შემდეგ გახდა სახელმწიფოს ეს ნაციონალიზება შესაძლებელი. სახელმწიფოს ნაციონალისტური აღქმა მომდინარეობს იმავე თეორიიდან, რომელიც ინდივიდუუმს სახელმწიფოს მიმართ სუვერენულად აცხადებს: საფრანგეთის რევოლუციიდან. ასეთი აღქმის შედეგად დაიკარგა შესაძლებლობა სახელმწიფოს ნამდვილი დასაბუთებისა და თუ არ გვინდა, ნაცვლად სახელმწიფოსი მარტოდენ საზოგადოება შეგვრჩეს, ეს დასაბუთება სხვაგან უნდა ვეძებოთ. ამავე დროს უნდა ვაღიაროთ, რომ ნაციონალისტური აღქმა ყველაზე მეტად ესადაგება სახელმწიფოს არსს. მაგრამ იმაზე თვალის დახუჭვა არ შეიძლება, რომ სახელმწიფოს ნაციონალისტური გაგებით ვუკავშირდებით ისეთ აღქმას, რომელიც ხელყოფს სახელმწიფოს უზენაესობას. ნაციონალური ის რომ ყოფილიყო, რომელიც სახელმწიფოს აფუძნებს და რომლის სამსახურისა და შენარჩუნებისათვის სახელმწიფო არსებობს, მაშინ საჭირო აღარ იქნებოდა სახელმწიფოს უზენაესობა ნამდვილი გაგებით, რომელიც ბოროტების იმ დემონურ ძალას თრგუნავს და ამდენად ადამიანის არსებობას შესაძლებელს ხდის. მაშინ ადამიანს თავისი არსებობა ექნებოდა ნაციონალურიდან, როგორც თავისი უმაღლესი ღირებულებიდან. ფაქტობრივად, ასეთია ნაციონალიზმის შეხედულება. აქედან აფუძნებენ ნაციონალისტები თავიანთ უფლებას, რათა ხელთ იგდონ სახელმწიფო ძალაუფლება და გამოიყენონ თავიანთი იდეებისა და მიზნების განსახორციელებლად. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ნაციონალურს, რომელიც თურმე სახელმწიფოს აფუძნებს და, მაშასადამე, სახელმწიფოზე მაღლა იმყოფება, უმაღლეს რელიგიურ ღირსებას მივაკუთვნებთ. ამგვარად იკავებს ნაციონალური ღმერთის ადგილს. იგი გაღმერთებულია. იგი გაღმერთებული უნდა იყოს. ამგვარად იქცევა სახელმწიფო, რამდენადაც მას სურს, მიანიჭონ უმაღლესი ძალაუფლება და მნიშვნელობა, მსახურად მისთვის უცხო საქმისა.

ისევ მივუბრუნდეთ საფრანგეთის დიდ რევოლუციას. ცნობილია, რომ ამ რევოლუციის დროს დიდი სიმძაფრით განხორციელდა ე.წ. "დექრისტიანიზაცია": კათოლიკური ტაძრების გაუქმება, მღვდლების გილიოტინირება, მათგან სუსტების გადასვლა რევოლუციის მხარეს (გავიხსენოთ გრემ გრინის შესანიშნავი რომანი "ძალა და დიდება" მექსიკურ რევოლუციაზე) და ა.შ. მაგრამ რუსეთის რევოლუციისაგან განსხვავებით, რომელიც ტოტალურმა ათეიზმმა მოიცვა, საფრანგეთში დამყარდა დეიზმის პირმშოს კულტი - პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში ჩატარდა რიტუალი ჯერ "გონების კულტისა" და შემდეგ, რობესპიერის ჩარევით, დამკვიდრდა "უმაღლესი არსების კულტი". საფრანგეთის პატრიოტი ისტორიკოსები, ცნობილი ჟიულ მიშლე და შემდეგ ალფონს ოლარი, ამ აქტს აღფრთოვანებით აფასებდნენ, რადგან მასში ხედავდნენ ქრისტიანობის შეცვლას წმინდა პატრიოტიზმით, ნაციონალიზმით, რაც, მათი აზრით, საფრანგეთს ასე სჭირდებოდა. მაგრამ თუ რა მოუტანა ამ კულტმა საფრანგეთის რევოლუციას ან ნაციზმმა - ჰიტლერულ გერმანიას, ეს საყოველთაოდ ცნობილია.

ზემომოყვანილი მსჯელობიდან გამოსულთ, საინტერესოა, ასეთი კითხვა დავსვათ: ნუთუ ეკლესიამ უნდა დააფუძნოს სახელმწიფო ან მასზე რაიმე ძალაუფლება უნდა გააჩნდეს? პასუხი უარყოფითია. სახელმწიფოს უზენაესობას არ სჭირდება ეკლესიისაგან სანქციონირება. მაგრამ სახელმწიფოს უზენაესობა რომ გამოჩნდეს და აღიარებულ იქნას მისი ძალა ბოროტების დამთრგუნველისა, ამისათვის, რასაკვირველია, მას სჭირდება ეკლესია. ხოლო ეს ძალა ბოროტების დამთრგუნველისა მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, თუკი ბოროტების შეცნობის გზა არსებობს. ეს გზა კი ეკლესიაა, რომელიც ბოროტებას შეგვაცნობინებს და ამავე დროს აღვიძებს ჩვენში რწმენას და მისკენ მოგვიწოდებს. ეკლესიაც თრგუნავს ბოროტებას და გვამცნობს მასზე საბოლოო გამარჯვების შესახებ.

იფარავს რა სახელმწიფო ადამიანს, მის მოქალაქეობრივ არსებობას ბოროტების გამანადგურებელი ძალის წინაშე, ეკლესიაც ასევე იფარავს მას და ილვწის მისი მარადიული სიმრთელის გადასარჩენად. ისევე, როგორც სახელმწიფო კარგავს თავის უზენაესობას და წყვეტს არსებობას როგორც სახელმწიფო, თუკი იგი სხვა რამეზეა დაფუძნებული, გარდა იმისა, რომ მან ბოროტების ძალაუფლება პოლიტიკურად უნდა დათრგუნოს, ასევე კარგავს ეკლესია თავის უზენაესობას და წყვეტს არსებობას, თუკი იგი არ განავრცობს ზეციური მამის სახარებას და არ ამხელს ცოდვის წარმომავლობას ადამიანში.

ხსნა არის მხოლოდ გამამართლებელ რწმენაში: ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ იგი ბოროტია ღვთის წინაშე, ხოლო ღმერთი კეთილია ბოროტი ადამიანის მიმართ. ღვთის ეს სიკეთეა ერთადერთი, რითაც ადამიანი წილნაყარი ხდება სიკეთესთან.

პირველცოდვის გამო ადამიანს სურს სამართლიანობის მიღწევა მხოლოდ საკუთარი ქმნილებებით და საქმეებით. ეს არის სწორედ ცოდვის წყევლა, რომ ადამიანს სხვარიგად არც ძალუძს. განახლებული ადამიანი არ არის ზნეობრივი გაგებით სრულყოფილი ადამიანი.

რასაკვირველია, ძველი და განახლებული ადამიანი ერთურთისაგან არ იხლიჩება, იგი ერთია. მაგრამ მხოლოდ რწმენა იესო ქრისტესადმი მას დაანახებს საკუთარ ცოდვას და ხსნის გზას.

ფრიდრიხ გოგარტენის წიგნს ეხმიანება ცნობილი ამერიკელი თეოლოგის, რაინჰოლდ ნიბურის ნაშრომი - "რატომ არ არის ქრისტიანული ეკლესია პაციფისტური", რომელიც დაიბეჭდა 1940 წელს, ე.ი. გოგარტენის თხზულებების გამოქვეყნებიდან 8 წლის მერე. აქ იგი პირდაპირ აცხადებს, რომ "ადამიანური ეგოიზმი შეუძლებელს ხდის საზოგადოების ყველა წევრის თანამშრომლობას ნებაყოფლობით საფუძველზე. ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს იძულება". თუმცა, იგი იქვე დასძენს, რომ ამ იძულებაში არის ბოროტების ელემენტი, ანუ, ავგუსტინეს სიტყვებით, ის ერთდროულად არის ცოდვის შედეგი და საშუალება მის წინააღმდეგ. შემდეგ ნიბური განაგრძობს: "იმის გამო, რომ სამართლიანობა არ არის თავისუფალი შურისძიების ელემენტისაგან, პაციფისტები ასკვნიან, რომ არასოდეს არ არის საჭირო მტერთან ბრძოლა. ამ დროს ისინი არ ითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ კაპიტულაციამ ადვილად შეიძლება გაგვხადოს მტრის უფრო უარესი შურისძიების ობიექტი". საინტერესოა, რომ "ჰეგელის ფილოსოფიაში არ არის ეთიკა, რომელიც შეძლებდა სიკეთისა და ბოროტების აბსოლუტური დაყოფის დასაბუთებას. სიკეთე მისთვის არის ის, რაც დიალექტიკური პროცესის მოცემულ სტადიაზე გონივრულია და ამით - ნამდვილი. სიკეთე არის "დროული" სწორი დიალექტიკური შემეცნებისა და გაცნობიერების გაგებით. თუკი მსოფლიო ისტორია არის საშინელი სამსჯავრო, მაშინ ეს პროცესია საბოლოო ინსტანციისა და გარკვეული დიზიუნქტიური მსჯავრის გარეშე. ბოროტება არანამდვილია და გაიაზრება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც გაიაზრება რაღაც არადროული..." (C. Schmitt, Die geistesgeschichtliche Lage des heutigen Parlamentarismus. Munchen 1923.).

ცნობილია ტოლსტოის თავდასხმები სახელმწიფოზე. ევგ. ტრუბეცკოი ამას უპირისპირდება. იგი კატეგორიულად უარყოფდა ლევ ტოლსტოის მიერ სახელმწიფოს დაგმობას და ამტკიცებდა, რომ "ეს რადიკალური და ანარქიული გადაწყვეტილება უცხოა ქრისტესა და სახარებისათვის". ევგენი ტრუბეცკოის აზრით, სახარება სწორედ საპირისპიროზე მეტყველებს. იგი ამბობს: "დადებითი პასუხი კითხვაზე, ნებადართულია თუ არა კეისრისათვის გადასახადების გადახდა, უფრო მეტიც, პირდაპირი ბრძანება "მიეც კეისარსა კეისრისა", მიუთითებს უფრო დიდზე, ვიდრე სახელმწიფოს მიმართ მარტო შემწყნარებლურ დამოკიდებულებაზე". ტრუბეცკოი შეგვახსენებს, რომ სახარება არც სამხედრო სამსახურს უარყოფს: "სახარება პირდაპირ გვაუწყებს სამხედროთა მოვალეობებზე: "ნურავის შეურაცხყოფთ, ნურც ცილს დასწამებთ და დასჯერდით საფასურს თქვენსას" (ლუკა, III, 14). "დაბოლოს, - განაგრძობს იგივე ტრუბეცკოი, - განსაცვიფრებელ ილუსტრაციად ქრისტეს დადებითი დამოკიდებულებისა სახელმწიფოს მიმართ გვევლინება მისი სიტყვები პილატეს წინაშე: "არ გექნებოდა არავითარი ხელმწიფება ჩემზე, მაღლიდან რომ არ მოგცემოდა" (იოანე, XIX, II). ევგ. ტრუბეცკოი აღნიშნავს, რომ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს სახარება "ვერ ამჩნევს" მასში მოთავსებული ორი ეთიკის დაპირისპირებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქრისტე არ გმობს "კანონს": "კანონი უპირისპირდება მადლს არა როგორც სიცრუე ჭეშმარიტებას, არამედ როგორც მდაბალი - უმაღლესს, როგორც დადებითი საფეხური - საბოლოო სრულყოფილებას... თითქოსდა რა ადვილია, ტოლსტოისებურად დავგმოთ სახელმწიფოებრივი მახვილით ყოველგვარი ძალდატანება "ბოროტებისადმი წინააღუდგომლობის" სახელით. მაგრამ რატომ არ სჩადის ამას ქრისტე, არამედ, პირიქით, უბრძანებს გადასახადები უხადონ ამ მახვილის მატარებელთ? იმიტომ, რომ გაუქმებული არ არის ერთი აუცილებელი პირობა კანონის ქმედებისა ადამიანურ საზოგადოებაში - ადამიანური გულქვაობა. სამყაროსეული პროცესის საბოლოო მიზანია არა გარეგანი ალაგმვა ბოროტებისა, არამედ მისი სრული შინაგანი გადალახვა, გარდაქმნა ადამიანური ბუნებისა. ამ აზრით არის ნათქვამი - "წინანუ აღუდგები ბოროტს". მაგრამ დიდზე დიდი უმრავლესობა ადამიანებისა ამ მცნებას ვერ ითავისებს: როდესაც ადამიანში მხეცი დაუძლეველია, იმ კანონისა და ძალაუფლების გაუქმება, რომელიც გარეგან ძალდატანებას იყენებს, თავის მხრივ გულქვა და სიყვარულის საპირისპირო გადაწყვეტილება იქნებოდა, რადგან ამით მთელი სამყარო სამხეცედ იქცეოდა და კაცობრიობა მისი მსხვერპლი გახდებოდა. ისტორიის საბოლოო მიზანი - მადლის სამეფოა და არა კანონის გარეგანი სამეფო. მაგრამ სანამ ადამიანს არ ძალუძს შიგნიდან, ორგანულად გადალახოს თავის თავში სატანა, მანამდე სატანას ბორკილი უნდა დაედოს. კაცობრიობის ის მდგომარეობა, სადაც ბოროტება შეკავებულია თუნდაც გარეშე მატერიალური ჯებირებით, ქრისტიანული თვალსაზრისით უსაზომოდ უკეთესია, ვიდრე ის, როდესაც ბოროტებას არაფერი აკავებს. ვისაც სურს, რომ ადამიანური სიცოცხლე ოდესმე, თუნდაც ამ ქვეყნის მიღმა, სამოთხედ გადაიქცეს, მან უნდა დალოცოს ის ძალა, თუნდაც გარეგანი, რომელიც, სოლოვიოვის გამოთქმით, გარკვეულ დრომდე ხელს უშლის სამყაროს ჯოჯოხეთად გადაქცევას".

თუკი ტოლსტოის ანარქიზმს რუსივე ფილოსოფოსი უტევს, ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი და სამართალმცოდნე კარლ შმიტი ასეთივე პათოსით უტევს დოსტოევსკის "ანარქიზმს". იგი წერს: "დოსტოევსკის დიდი ინკვიზიტორი აღიარებს, რომ დაჰყვა სატანის ცდუნებებს მთელი შეგნებით, რადგან მან უწყის, რომ ადამიანი თავისი ბუნებით ბოროტი და სულმდაბალია, მხდალი მეამბოხეა, რომელსაც ბატონი სჭირდება, და მხოლოდ რომის ეკლესიის მღვდელს აქვს ის სიმამაცე, თავის თავზე იტვირთოს მთელი წყევლა, რაც ასეთ ძალაუფლებასთანაა დაკავშირებული. აქ დოსტოევსკიმ დიდი ძალით მოახდინა პროეცირება თავისი საკუთარი პოტენციური ათეიზმისა რომის ეკლესიაზე. მისი, თავისი არსით ანარქისტული, ანუ, ყოველთვის ათეისტური ინსტინქტისათვის ყოველი ძალაუფლება იყო რაღაც ბოროტი და არაადამიანური. დროებისეულ ჩარჩოებში, ცდუნება ბოროტებისადმი, რომელიც დაბუდებულია ყოველგვარ ძალაუფლებაში, რასაკვირველია, მარადიულია, და სავსებით მხოლოდ ღმერთში უქმდება დაპირისპირება ძალაუფლებასა და სიკეთეს შორის; მაგრამ სურვილი ამ დაპირისპირების გაუქმებისა ყოველგვარ ამქვეყნიურ ძალაუფლებაზე უარის თქმით, იქნებოდა კიდევ უარესი არაადამიანურობა. ბნელი, ფართოდ გავრცელებული განწყობილება აღიქვამს კათოლიციზმის ინსტიტუციონალურ სიცივეს როგორც ბოროტებას, ხოლო დოსტოევსკის უსახო ყოვლისმომცველობას - როგორც ჭეშმარიტ ქრისტიანობას. ეს უმარილო-უკბილო რამ არის, როგორც ყველაფერი, რაც განწყობილება-შეგრძნებებს ექვემდებარება, როდესაც ვერც ამჩნევენ, თუ რამდენად არაქრისტიანულია წარმოდგენა, თითქოს ქრისტეს, მისი ამქვეყნად ყოფნის ჟამსა და იმ წამს შორის, როდესაც იგი დაბრუნდება ძალითა და დიდებით საშინელი სამსჯავროს დროს, შეეძლო, ასე ვთქვათ, ექსპერიმენტის სახით, კიდევ ერთხელ და რამდენჯერმე გამოჩენილიყო ადამიანთა შორის". (Carl Schmitt, Romischer Katholizismus und politische Form. Munchen 1925.).

სამართლიანობა ითხოვს აღინიშნოს, რომ კარლ შმიტს დოსტოევსკისთან მიმართებაში ოპონირებას უწევს ლიტველი თეოლოგი ანტანას მაცეინა (А. Мацейна, Великий инквизитор, С.П. 1999, стр. 353-357.). იგი წერს: "თუკი ქრისტიანული ისტორიის დასაწყისში და სამყაროს დასასრულის ჟამს ქრისტე მოქმედებდა და იმოქმედებს ხილული სახით, ისტორიის მსვლელობისას იგი მოქმედებს უხილავად თავისი ეკლესიის მეშვეობით - მისი სიტყვით, მისი საიდუმლოებებით და ხელმძღვანელობით. ისტორიის მსვლელობისას მოქმედი ქრისტე არის ფარული ქრისტე... აი, სწორედ ამ ფარული და უხილავი ქრისტეს ჩვენება სურდა დოსტოევსკის თავის ლეგენდაში... ქრისტე, გამოსახული ლეგენდაში, არის ისტორიაში მოქმედი ქრისტე, რომელიც მოქმედებს ფიზიკურად უხილავ, გრძნობებით ვერაღსაქმელ, მაგრამ რეალური გზით, რომელიც ამსხვრევს მისი მტრების ყველა გეგმას და მიჰყავს კაცობრიობა საბოლოო დახვეწისაკენ. და თუკი დოსტოევსკის ხილულად გამოყავს ქრისტე სევილიის მოედანზე, იგი ამას აკეთებს მხოლოდ პოეტური გამომსახველობისა და კონკრეტულობის გამო... ლეგენდაში ქრისტე დუმს არა იმიტომ, რომ მას სათქმელი არაფერი აქვს და არა იმიტომ, რომ მან ყველაფერი დააკისრა პაპს, როგორც ამას შენიშნავს მას ინკვიზიტორი. იგი დუმს იმიტომ, რომ იგი - პალესტინაში არ არის და რომ კიდევ - ქვეყნის აღსასრული არ დამდგარა. იგი აქ არის, თავად ისტორიის მსვლელობაში. ლეგენდის მდუმარე ქრისტე არის უხილავი ღმერთი ისტორიისა".

მაგრამ დავუბრუნდეთ სახელმწიფოს პრობლემებს. ისმის კითხვა, დავუშვათ და ძლიერ სახელმწიფოში (სახელმწიფოს ძლიერება, ანდრე მარლოს თქმით, არ უნდა აგვერიოს ფაშიზმში), ერთ მშვენიერ დღეს ხელისუფლების სათავეში ტირანი მოექცეს - მაშინ როგორი იქნება ქრისტიანის დამოკიდებულება ტირანის მიმართ? დასაშვები იქნება თუ არა ტირანის წინააღმდეგ ამბოხება და მისი სიკვდილით დასჯა? ისევ და ისევ სახელმწიფო რომ სრული ქაოსისაგან ვიხსნათ, რადგან, თომა აკვინელის სიტყვებით თუ ვიტყვით, "თვით ტირანი გვევლინება მეამბოხედ", რადგან ხალხში იგი ხელს უწყობს არეულობასა და ჯანყს იმ მიზნით, რომ თავისი მბრძანებლობა უფრო უსაფრთხო გახადოს".

ჩემი აზრით, ამ კითხვაზე შესანიშნავ პასუხს იძლევა ცნობილი ქრისტიანი მწერალი გილბერტ კიტ ჩესტერტონი, ერთი შეხედვით თითქოს სრულიად სხვა თემაზე დაწერილ ესეში "ჰამლეტი და ფსიქოანალიტიკოსი": "შექსპირს, ეჭვგარეშეა, სწამდა ჭიდილისა მოვალეობასა და გრძნობას შორის. მაგრამ სწავლულს არ სურს აღიაროს, რომ ეს ბრძოლა სტანჯავდა ჰამლეტს და ცვლის მას ცნობიერისა და ქვეცნობიერის ბრძოლაში. იგი ჰამლეტს აღჭურვავს კომპლექსებით, რათა არ უბოძოს სინდისი. და ეს ყველაფერი კეთდება იმიტომ, რომ იგი, სწავლული, უარს ამბობს სერიოზულად მიიღოს უბრალო, თუ გნებავთ, პრიმიტიული მორალი, რომელსაც ეფუძნება შექსპირის ტრაგედია. ეს მორალი შეიცავს სამ წანამძღვარს, რომელთაც თანამედროვე ავადმყოფური ქვეცნობიერება უფრთხის, როგორც აჩრდილს. პირველ რიგში, ჩვენ უნდა ვიქცეოდეთ სამართლიანად, თუნდაც ძალზეც რომ არ გვინდოდეს; შემდეგ, სამართლიანობამ შეიძლება მოითხოვოს, რომ ჩვენ უნდა დავსაჯოთ ადამიანი, როგორც წესი, - ძლიერი; მესამეც, თვით დასჯა შეიძლება გამოვლინდეს ბრძოლისა და თვით მკვლელობის ფორმით. წინასწარ შექმნილი ცუდი აზრის მქონე თანამედროვე მოაზროვნე პირველ პრინციპს იდეალიზმს უწოდებს, მეორეს - ძალადობას, ხოლო მესამეს - ბარბაროსობას. თანამედროვე ადამიანები ინსტინქტურად თავიანთ თავს უმალავენ, რომ ადამიანმა ზოგჯერ, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, საკუთარ ნებაზე ძალადობით უნდა მოკლას ტირანი. აი, რატომაც გაინავარდეს ტირანებმა ჩვენს დროს".

*დასარული შემდეგ ნომერში*

## ორშაბათი 21.02

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ტელეღიპუცები **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.40** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.05** პერეკრესტოკი **17.25** ტელეღიპუცები **18.30** პატრული **19.00** ქართული ფეხბურთი **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** სუსტი რგოლი **23.00** დოკ. ფილმი "თავდასხმა ციხეზე" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "ერთი მუჭა დოლარისთვის" (გ) (კლინტ ისტვუდი) **02.00** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** აკუსტიკა. 07.00. "გუდ ბაი" იალტა. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **11.05** გადაცემა საოჯახო ფოტოები. **12.15** სამხრეთის ანარეკლი. ბურკინა ფასო. **15.35** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** გარუჯულები. კომედია. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** გადაცემა: თალასა. **23.00** გადაცემა. თვალსაზრისი. **02.55** სპორტული აფრიკა. **04.20** მაშველები. ტელესერიალი.

### პირველი არხი

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "ჰოლივუდი და დანაშაული" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "რედვოლი" **12.45** ანიმაციური ფილმი "ციცქნა მოჩვენებანი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აფხაზურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** "ბიოგრაფიული პორტრეტები" -ლენინი **16.30** დოკ. ფილმი "ჟაკ ლასელი" **17.30** "ვაკანსია" **18.00** "მთავარი" - რეგიონებიდან **18.30** სერიალი "შირლი ჰოლმსი" **19.00** "მედიატორი" **19.30** "გზაჯვარედინი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "მკვლელი მდინარეები" **23.00** მრწამსი - შესამოსელი **23.30** მხ. ფილმი "ქარი" (15) **01.45** საინფ. გამოშვება

### კავკასია

**11.00** ტუწ-ემ **11.30** ვარსკვლავები გვამცნობენ **12.00** საბავ. გადაცემა "ინკოგნიტო" **13.30** ინდ. მხ. ფილმი "სიყვარულის აზარტი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.00** ტუწ-ემ **22.30** საქმე და ეკონომიკა **00.45** მხ. ფილმი "ღამით პარკში" (გ)

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუს. გადაცემა "პროპაგანდა" **18.00** მუსიკა **22.00** სერიალი "დიდი სახლი" **23.00** დებატები 202-ზე

### მზე

**17.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "დიელი და პასკო" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **19.05** სერიალი "ჩენტრო ვეტრინე" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** სერიალი "პოლიციელი ქალები" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** არჩევანის ზღვარზე **00.00** მხ. ფილმი "შეუმჩნეველი ადამიანი" (18) (ალბერტ ფინი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ცხელი ზაფხული" **19.50** "ბაბილინა" **20.05** მულტსერიალი "მარსუპილამი" **20.30** დოკ. ფილმი "დიზაინი" **20.55** დოკ. ფილმი "უკანასკნელი საფარი" **21.45** კონცერტი **22.30** კინოსეანსი "ბუქსირი"

### იმედი

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** დროება **11.25, 17.10, 02.20** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 01.50** ტვ-მარკეტი **13.15** ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყველა ვარსკვლავის მატჩი **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.40** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **17.10** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **17.25** ვაკაფი-ნიუსი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ორი ბედი" **22.55** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **23.55** სპ. პროგრამა "გოლი" **00.25** ნადიმი ჯანრი კაშიასთან ერთად

### აჭარა

**09.00** მუსიკა **09.30** კომედია "აი, პოლიც" **10.55** მუსიკა **11.15** ბოევიკი "ბუნდოკელი წმინდანები" **13.05** მუსიკა **13.20** კომედია "ეს შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო" **16.00** მულტფილმი **17.30** საინფ. დაიჯესტი **17.50** მუსიკა **18.30** საინფ. დაიჯესტი "ნოვოსტი" **18.50** დეტექტივი "გადამზიდველი" **20.20** მუსიკა **20.30** საინფ. დაიჯესტი **21.00** ბოევიკი "მუსა 2. ლეგენდა დაწყევლილ ტბაზე" **23.00** "სტარტი" **23.30** დრამა "კარლიტოს გზა"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Дрю Бэрримор в комедии **"ИСТОРИЯ ВЕЧНОЙ ЛЮБВИ"**. **11.40** Дисней-клуб: "Лило и Стич". **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ"**. **13.10** Юрий Беляев в фильме **"ЕДИНОЖДЫ СОЛГАВ..."**. **15.20** Сериал **"ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ-2"**. **16.20** "Пять вечеров". Понедельник. **17.30** Сериал **"ДВЕ СУДЬБЫ"**. **18.10** Сериал **"ДВЕ СУДЬБЫ"**. Продолжение. **18.40** Сериал **"КЛОН"**. **19.40** Жди меня. **21.00** Время. **21.30** Армен Джигарханян в сериале **"КАВАЛЕРЫ "МОРСКОЙ ЗВЕЗДЫ"**. **22.40** Спецназ. "Игра в ядерную рулетку". **23.30** Ночное "Время". **23.50** Искатели. "Летучий Голландец". **00.20** Док. фильм "Красота из-под скальпеля". **00.50** "Сканер". "Кто заказывает музыку". **01.20** Мелисса Джоан Харт в романтической комедии **"СВЕДИ МЕНЯ С УМА"**. Старшеклассница Николь Мэрис отвечает за организацию бала, посвященного столетнему юбилею школы. Миссия серьезная и очень ответственная: на праздники должны присутствовать все ученики и родители. Мероприятие должно пройти без сучка без задоринки. А у Николь настроение на нуле: она рассорилась со своим другом баскетболистом Брэдом. Чтобы заставить парня ревновать, Николь договаривается со своим соседом Чейзом Хэммондом, который тоже в ссоре со своей девушкой. Теперь для всех молодые люди делают вид, что начали встречаться. Чем же закончится этот эксперимент? **02.40** Джефф Кадьент в приключенческом фильме **"ТРИ НИНДЗЯ: КОСТЯШКИ ВВЕРХ"** **04.10** "Тайны Белого дома". **05.05** Неизвестная планета. "Мир богов Гоа".

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ"**. **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Криминальная Россия. **11.15** Анатолий Солоницын в фильме **"ОДИН ШАНС ИЗ ТЫСЯЧИ"**. **13.35** Сериал **"ТАКСИСТКА"**. **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"РОКИРОВКА"**. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ТОЛЬКО ТЫ..."**. **20.50** Игорь Лифанов в сериале **"ПАРАЛЛЕЛЬНО ЛЮБВИ"**. 1-я с. **22.00** "Страна и мир" **22.40** Юлия Меньшова в сериале **"БАЛЬЗАКОВСКИЙ ВОЗРАСТ, ИЛИ ВСЕ МУЖИКИ СВО..."**. 1-я с. **23.45** Чрезвычайное происшествие. **00.15, 01.45** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ"**. **01.15** Особо опасен! **02.30** Совершенно секретно. Информация к размышлению. **03.15** Сериал "Дикий мир. Борьба за выживание: народ великой пустыни". **04.10** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА"**. **04.55** Сериал **"МОРСКАЯ ПОЛИЦИЯ: СПЕЦОТДЕЛ"**. **05.40** Чрезвычайное происшествие.

## სამშაბათი 22.02

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ტელეღიპუცები **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** სუსტი რგოლი **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 03.30** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ერთი მუჭა დოლარისთვის" (გ) **15.25** ქართული ფეხბურთის მიმოხილვა **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტელეღიპუცები **18.30** პატრული **18.55** ხალხის პირისპირ **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** საფეხბურთო მიმოხილვა **22.45** ჩემპიონთა ლიგა. "რეალი"-"იუვენტუსი" **01.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **02.00** ჩემპიონთა ლიგა. "მანჩესტერი"-"მილანი" **03.45** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.15(შვეიცარია), 02.40(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** დ დიზაინი. **07.00** მემარცხენეთა ისტორია. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.30** გადაცემა: ქრონიკები მთიდან. **11.05** საოჯახო ფოტოები. **16.30** აქტუალური თემა. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** სტალინის მსხვერპლნი. დოკ. ფილმი. **24.30** გადაცემა: რეპორტაჟი ბუნებრივი და ინდუსტრიული კატასტროფების შესახებ. **03.05** სამხრეთის ანარეკლი. ბურკინა ფასო. **04.20** კატარები. დოკ. ფილმი.

### პირველი არხი

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "მკვლელი მდინარეები" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "რედვოლი" **12.45** ანიმაციური ფილმი "ციცქნა მოჩვენებანი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" ოსურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** "არქივი" - დოკ. ფილმი "მთიები" **16.15** სიცილის ოთახი **16.30** დოკ. ფილმი "მოგზაურობა" (ლას-ვეგასი) **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი რატომ" -ძვირფასი ლითონები **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერიალი "შირლი ჰოლმსი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ-"ნოეს კიდობანი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "დიდი გამყინვარება" **23.00** პროფესიონალი - მადნეულის ტექნოლოგი **23.30** მხ. ფილმი "კარლოს პიგმეები" (18) **01.10** საინფ. გამოშვება

### კავკასია

**11.00** ტუწ-ემ **11.30** მხ. ფილმი "ღამით პარკში" (გ) **12.30** ტუწ-ემ **15.45** საქმე და ეკონომიკა **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.15** მხ. ფილმი "დიდი პრიზი" (გ) **00.30** ტუწ-ემ

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუს. გადაცემა "პროპაგანდა" **18.00** მუსიკა **22.00** სერიალი "დიდი სახლი" **23.00** დებატები 202-ზე

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "მოდა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტრო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "დიელი და პასკო" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტრო ვეტრინე" **20.45** სერიალი "პოლიციელი ქალები" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** არჩევანის ზღვარზე **00.00** მხ. ფილმი "მეცხრე სეანსი" (15) (დევიდ კარუზო)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ცხელი ზაფხული" **19.50** "ბაბილინა" **20.05** მულტსერიალი "მარსუპილამი" **20.30** დოკ. ფილმი "დიზაინი" **20.55** დოკ. ფილმი "ოპერაცია "მთვარე" **21.45** სპექტაკლი "ი. ს. ბახი" **22.30** კინოსეანსი "მომხიბვლელი თოვლის ქალი"

### იმედი

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "ორი ბედი" **12.20, 17.10, 03.10** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 02.40** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "მუსოლინი და მე" 1-ლი ნაწ. (ე. ჰოპკინსი) **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.05** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **17.25** სპ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ორი ბედი" **22.40** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.00** პირველები **23.40** მხ. ფილმი "კიკუძირის ზაფხული" **01.35** გოლი -სერია "ა" (იტალიის ჩემპიონატი) **03.45** იმედის მელოდიები

### აჭარა

**09.00** საინფ. დაიჯესტი **09.30** სათავგ. ფილმი "აგენტი კოდი ბენქსი" **11.15** მუსიკა **11.40** "სტარტი" **12.10** მხ. ფილმი "საზიზღარი კაიოტი" **13.50** მუსიკა **14.15** მხ. ფილმი "ფანატი" **16.15** მულტფილმი **17.30** საინფ. დაიჯესტი **17.50** მუსიკა **18.30** საინფ. დაიჯესტი "ნოვოსტი" **18.50** კომედია "ტაქსი-3" **20.30** საინფ. დაიჯესტი **21.00** მხ. ფილმი "ბრიჯიტ ჯონსის დღიური: გონიერების ზღვარზე" **23.00** მუსიკა **23.30** საინფ. დაიჯესტი **00.00** მხ. ფილმი "მოსახვევი"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Сериал **"КАВАЛЕРЫ "МОРСКОЙ ЗВЕЗДЫ"**. **10.30** Сериал **"КЛОН"**. **11.30** Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь". **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ"**. **13.20** Георгий Бурков в фильме **"КАДКИНА ВСЯКИЙ ЗНАЕТ"** **15.20** Сериал **"ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ-2"**. **16.20** "Пять вечеров". Вторник. **17.30** Сериал **"ДВЕ СУДЬБЫ"**. **18.40** Сериал **"КЛОН"**. **19.40** "Кривое зеркало". **21.00** Время. **21.30** Сериал **"КАВАЛЕРЫ "МОРСКОЙ ЗВЕЗДЫ"**. **22.40** Евгений Миронов в боевике **"ПЕРЕД РАССВЕТОМ"**. **00.20** Стивен Чоу в комедии **"УБОЙНЫЙ ФУТБОЛ"** **02.00** Дэнни Джеймс Спэйдер в триллере **"ДВА ДНЯ В ДОЛИНЕ"**. После выполнения очередного заказа, киллер Ли Вудс пытается убить своего напарника Досмо Пиззо. Но Досмо удается выбраться из горящий машины и остаться в живых, благодаря хорошему бронежилету. Он находит убежище в доме, принадлежит страдающему от почечной колики актеру. Хозяин и пришедшие к нему гости становятся заложниками бандита... **03.30** Джон Гудман в фильме **"БЭЙБ"**. Профессионального бейсболиста Бэйба Рута природа одарила редким талантом и уникальными физическими способностями. Он был любимцем всей страны и неустанно приводил в восторг стадионы своими потрясающими ударами. Но, несмотря на всеобщее поклонение, Бэйб не был заражен "звездной болезнью" и оставался добрым и внимательным к чужой беде. Он знал, что такое бедность, одиночество и злые насмешки. Взобравшись на вершину бейсбольного "олимпа", Бэйб даже не помышлял о том, чтобы уйти из спорта. Он обожал "игру в мяч" и не расставался с ней, будучи даже на пороге смерти...

### НТВ

**06.00** "Сегодня утром" **09.05** Сериал **"ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО: КТО УБИЛ ДЖЕЙ БИ ФЛЕТЧЕР?"**. **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.45** "Сегодня" **10.15** Чистосердечное признание. **10.45** Сериал **"АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ-5"**. **11.55** Сериал **"МЕНТОВСКИЕ ВОЙНЫ"**. **13.35** Евгений Жариков в комедии **"АРМИЯ СПАСЕНИЯ"**. Совместные военные учения группы белорусских войск и военных подразделений стран НАТО "Троянский конь" происходили в дружеской обстановке. Троих "особенно отличившихся" генерал отправил в наказание на забытую "точку" для охраны секретной "стратегической трубы". Как раз этой трубой заинтересовался американский генерал и послал спецгруппу для ее захвата. Агенты-диверсанты использовали различные методы для проникновения на объект, но каждый раз сталкивались с "непредсказуемостью" противника, которого, как оказалось, умом не понять. Американский генерал сам возглавил операцию по захвату, прибыв с "гостевым" визитом на объект. Но бойцы под командованием майора сорвали диверсию. **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"АДВОКАТ: ПОБЕГ"**. Часть 2-я. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"МЕНТОВСКИЕ ВОЙНЫ"**. **20.45** Сериал **"АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ-5: ИСЧЕЗАЮЩИЙ ВИД"**. Часть 2-я. **21.50** Чрезвычайное происшествие. **22.35** **Футбол. Лига чемпионов. "РЕАЛ"- "ЮВЕНТУС"**. Прямая трансляция. **01.00** Сериал **"МЕНТОВСКИЕ ВОЙНЫ"**. **02.00** "Футбольный клуб" с Василием Уткиным. **03.00** Бильярд. **03.15** Сериал **"ЗАПАДНОЕ КРЫЛО"**. **04.15** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО"**. **04.55** Остросюжетный сериал **"БЕЗ СЛЕДА-II"**. **05.40** Чрезвычайное происшествие.

## ოთხშაბათი 23.02

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ტელეღიპუცები **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "სიყვარულის ფორმულა" (გ) **15.25** ჩემპიონთა ლიგა. **18.30** პატრული **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** საფეხბურთო მიმოხილვა **22.45** ჩემპიონთა ლიგა. "ბაიერნი"-"არსენალი" **01.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **01.30** ჩემპიონთა ლიგა. "ბარსელონა"-"ჩელსი" **03.45** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00, 02.00** (შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** შავი ყუთი. ბენ ჯონსონი. **07.05** მოგზაურობა ჩაადში. **08.30** ტელედილა. 11.05. გადაცემა საოჯახო ფოტოები. **12.15** გადაცემა: რეპორტაჟი ბუნებრივი და ინდუსტრიული კატასტროფების შესახებ. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** "ოტპიერი" მხ. ფილმი. რეჟისორი ჟანივ პიტენი. 2002. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.30** ფილმის პორტრეტი. დოკ. ფილმი. **23.00** ერთი ფილმის ბედისწერა. **24.30** გადაცემა: ორმაგი მე. **04.20** სამძებრო პოლიცია. ტელესერიალი.

### პირველი არხი

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "დიდი გამყინვარება" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "რედვოლი" **12.45** ანიმაციური ფილმი "ციცქნა მოჩვენებანი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" სომხურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** რაციო - ნაირა გელაშვილი **16.30** დოკ. ფილმი "საიდუმლო ადგილები" **17.30** ვაკანსია **18.00** "მთავარი" რეგიონებიდან **18.30** სერიალი "შირლი ჰოლმსი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ - "ნოეს კიდობანი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "ქარალის დაკარგული პირამიდები" **23.00** ახალი პროექტი - "განზომილება სადღეგრძელო" **23.30** კინოსამყარო "გაქცევა" (გ) **02.10** საინფ. გამოშვება

### კავკასია

**11.00** ტუწ-ემ **11.30** მხ. ფილმი "დიდი პრიზი" (გ) **13.00** ტუწ-ემ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.15** მხ. ფილმი "საშიში პირები" (გ) **00.30** ტუწ-ემ

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუს. გადაცემა "პროპაგანდა" **18.00** მუსიკა **22.00** სერიალი "დიდი სახლი" **23.00** დებატები 202-ზე

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტრო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **16.00** მუსიკა **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "დიელი და პასკო" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტრო ვეტრინე" **20.45** სერიალი "პოლიციელი ქალები" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** არჩევანის ზღვარზე **23.45** მხ. ფილმი "იტირე საყვარელო ქვეყანავ" (12) (ჯეიმს ერლ ჯონსი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ცხელი ზაფხული" **19.50** "ბაბილინა" **20.05** მულტსერიალი "მარსუპილამი" **20.30** დოკ. ფილმი "დიზაინი" **20.55** დოკ. ფილმი "სისი დედოფლობისთვის დაბადებული" **21.45** ექსცენტრიკოსები **22.10** კინოსეანსი "წითური"

### იმედი

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **11.35** სერიალი "ორი ბედი" **12.40, 16.25, 02.05** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "მუსოლინი და მე" მე-2ნ. **14.25, 17.10, 02.35** იმედის მელოდიები **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.55** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **17.20** არტ-ბულვარი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ორი ბედი" **22.50** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.15** "უცნობი საქართველო" **23.45** მხ. ფილმი "პან თადეუში" (გ) (რეჟ. ა. ვაიდა)

### აჭარა

**09.00** საინფ. დაიჯესტი **09.30** სათავგ. ფილმი "განძი" **11.00** მუსიკა **11.30** ფანტასტიკა "გატაკა" **13.15** მუსიკა **13.30** თრილერი "თოვლით დაბრმავება" **15.40** მუსიკა **16.00** მულტფილმი **17.30** საინფ. დაიჯესტი **17.50** მუსიკა **18.30** საინფ. დაიჯესტი "ნოვოსტი" **18.50** კომედია "საქორწილო წვეულება" **20.30** საინფ. დაიჯესტი **21.00** თრილერი "სისხლიანი სამუშაო" **23.00** მუსიკა **23.30** საინფ. დაიჯესტი **00.00** მხ. ფილმი "ხალხი ლარი ფლინტის წინააღმდეგ"

### ОРТ

**06.00, 10.00, 15.00, 18.00** Новости. **06.10** "Кривое зеркало". **07.10** Георгий Жженов в фильме **"ЧЕЛОВЕК НА СДАЕТСЯ"** **08.50** Телесериал **"КАВАЛЕРЫ МОРСКОЙ ЗВЕЗДЫ"**. **10.10** Михаил Пуговкин в комедии **"ГОДЕН К НЕСТРОЕВОЙ"** **11.40** Михаил Ульянов в фильме **"ВЕЛИКИЙ ПОЛКОВОДЕЦ ГЕОРГИЙ ЖУКОВ"** **14.10** Лев Лещенко, Валерия в праздничном концерте **16.10** Леонид Быков в боевой комедии **"МАКСИМ ПЕРЕПЕЛИЦА"**. **18.10** "Смешные люди". Праздничный выпуск. **19.50** Телесериал **"КАВАЛЕРЫ МОРСКОЙ ЗВЕЗДЫ"**. **21.00** Время. **21.20** Александр Балуев в боевике **"МАРШ-БРОСОК"** **23.30** 15 лет группе "Любэ". Юбилейный концерт. **01.10** Влодзимеж Голачинський в фильме **"ПОХИЩЕНИЕ "САВОЙИ"**. **02.50** Шэкил О'Нил в приключенческом фильме **"КАЗААМ"**. Маленький Макс Коннор очень одинок. Отец с матерью развелись, когда ему было 2 года, а он все мечтает, что они помирятся. У мамы новый друг, который малышу совсем не по душе. Мальчишки в школе и на улицах все время его бьют и обижают. Однажды, убегая от хулиганов, Макс проваливается в подвал какого-то старого дома. Тут-то и происходит чудо: ото сна пробуждается настоящий джин Казаам, и, как водится предлагает Максу загадать три желания... **04.20** Приключенческий сериал **"СОБАЧЬЕ ДЕЛО"**. **05.10** Новые чудеса света. "Дом культуры для аборигенов".

### НТВ

**06.00** Бурвиль в комедии **"БОЛЬШАЯ ПРОГУЛКА"** **08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Сегодня. **08.15** Валентина Серова в комедии **"СЕРДЦА ЧЕТЫРЕХ"**. **10.20** Премьера. "В.С. Возлюбленная солдата". **11.25** Василий Шлыков в боевике **"ЧЕРНЫЕ БЕРЕТЫ"**. **13.15** Анатолий Кузнецов в фильме **"БЕЛОЕ СОЛНЦЕ ПУСТЫНИ"** **14.55** "Юбилей". 35 лет кинофильму "Белое солнце пустыни". **16.15** Премьера. "Зато мы делаем ракеты". Фильм Алексея Поборцева. **16.50** Светлана Ходченкова в фильме **"БЛАГОСЛОВИТЕ ЖЕНЩИНУ"** **21.50** "Операция "Праздник". Праздничный концерт в День защитника Отечества с участием. **23.40** Юрий Бердников в детективе **"КРИМИНАЛЬНЫЙ ОТДЕЛ"**. Похитили девочку Женю, взволнованная мать обращается к старому милицейскому другу, полковнику Кравцову, с просьбой о помощи, тот присылает двух толковых оперативников Грибова и Григорьева, только что получивших выволочку от своего начальника за превышение полномочий. Полковник же, объясняет задачу: расследование провести незаметно, так как в письме от похитителей сказано, что девочка будет убита, если вмешается милиция, и дает им десять суток отпуска. Отчим Жени, крупный бизнесмен, категорически против сотрудничества с милицией, он подготовил требуемый миллион долларов и готов встретиться с похитителями... **01.20** **Футбол. Лига чемпионов. "БАРСЕЛОНА" - "ЧЕЛСИ"**. **03.15** Сериал **"ЗАПАДНОЕ КРЫЛО"**. **04.10** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО"**. **04.55** Остросюжетный сериал **"БЕЗ СЛЕДА-II"**. **05.35** Профессия - репортер.

## ხუთშაბათი 24.02

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ტელეღიპუცები **10.00** სერიალი "შეყვარებული ქალები" **11.00** ფორტ-ბოიარდი **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ბოინგი 747" **15.25** ჩემპიონთა ლიგა. **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტელეღიპუცები **18.30** პატრული **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ვის უნდა 50 ათასი **23.00** დოკ. ფილმი "ადამიანის სხეული" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "ფხიზელი ძილი" (18) (უილიამ დეფო) **02.10** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **10.30** ტელეტურიზმი. **11.05** ადდაცემა საოჯახო ფოტოები. **12.20** მაშველები. ტელესერიალი. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.25** გადაცემა: ფრანს ევროპ ინფო. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** გაუგებარი გრძნობები. მხ ფილმი. რეჟისორი ეტიენ პერიე. **22.05** აკუსტიკა. **24.30** მოთხილამურეები. მხ ფილმი. რეჟისორი პატრიკ ლეკონტი. **04.20** ჩქმები. მხ ფილმი. რეჟისორი რენო ბერტრანი. 2003.

### პირველი არხი

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "ქარალის დაკარგული პირამიდები" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "რედვოლი" **12.45** ანიმაციური ფილმი "ციცქნა მოჩვენებანი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აზერბაიჯანულ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** "ბიოგრაფიული პორტრეტები" - რობერტსი, ტრამპი. **16.30** დოკ. ფილმი "ტიმბუქტუს დაკარგული სპილოები" **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი რატომ" -დასაწყისი **18.00** "მთავარი" - რეგიონებიდან **18.30** სერიალი "შირლი ჰოლმსი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ - "ნოეს კიდობანი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "მზის ტყვეები" **23.00** მედიატორი **23.30** ქართ. ფილმი "საფეხური" (გ) **02.00** საინფ. გამოშვება

